

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2009, №2

საქმის წარმოების შეწყვეტა-განახლება

1. საქმის წარმოების შეწყვეტა
 - აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა
 - საქმის წარმოების შეწყვეტა დავის საგნის არარსებობის გამო
 - საქმის წარმოების შეწყვეტა დაკარგული საქმის წარმოუდგენლობის გამო
 - საქმის წარმოების შეწყვეტა დაუშვებლობის მოტივით
 - საქმის წარმოების შეწყვეტა მორიგების გამო
 - საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე, საჩივარზე უარის თქმის გამო
 - საქმის წარმოების შეწყვეტა უფლებამონაცვლეობის დაუშვებლობის გამო
2. საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო
3. კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე

1. საქმის წარმოების შეწყვეტა

საქმის წარმოების შეწყვეტა დაუშვებლობის მოტივით

განჩინება

#ბს-422-400(კ-07)

7 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: საჯარო რეესტრის ამონაწერისა და ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 29 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა ქ. ბათუმის მერიამ და მოითხოვა ქ. ბათუმში, ... ქ.#9-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადება და მშენებლობის აკრძალვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის განცხადება დაკმაყოფილდა. სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ქ. ბათუმში, ... ქ.#9-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2400კვ.მ მიწის ნაკვეთს და აიკრძალა მასზე ყოველგვარი სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს "მერკურმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 16 იანვრის განჩინებით შპს "მერკურის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად სააპელაციო სასამართლოს გადაეგზავნა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 17 აპრილის განჩინებით შპს "მერკურის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის განჩინება დარჩა უცვლელად.

2006 წლის 25 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოში განცხადება წარადგინა შპს "მერკურმა", რომელმაც მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის განჩინების გაუქმება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 26 ივლისის განჩინებით შპს "მერკურის" 2006 წლის 25 ივლისის განცხადება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის განჩინებით გატარებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის განჩინება.

საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 26 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული განჩინების გაუქმება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 1 აგვისტოს განჩინებით ქ. ბათუმის მერიის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 26 ივლისის განჩინება, რაც მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად და ამ მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2006 წლის 20 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. ბათუმის მერიამ მოპასუხეების - შპს "მერკურის", საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და ნოტარიუს ა. ფ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სახელზე გაცემული, საჯარო რეესტრის 2005 წლის 12 თებერვლის ამონაწერის, აგრეთვე, აღნიშნულ ინდივიდუალურ ბინათმშენებლობასა და შპს "მერკურს" შორის 2005 წლის 21 თებერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

ქ. ბათუმში აჭარის ა/რ-ის მინისტრთა საბჭოს სრულყოფილებიანი წარმომადგენლის კაბინეტის 1992 წლის 7 ივნისის #536 გადაწყვეტილებით ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას გამოეყო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2400კვ.მ მიწის ნაკვეთი, ... ქ.#9-ში მდებარე საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული იყო სახლის მშენებლობა, მაგრამ მშენებლობის მხოლოდ მცირე ნაწილი განხორციელდა.

2005 წლის 12 თებერვალს საჯარო რეესტრში აღნიშნული მიწის მესაკუთრედ დარეგისტრირდა არა ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია, არამედ ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ბინათმშენებლობა.

მოსარჩელის აზრით, სადავო მიწის ნაკვეთი უსაფუძვლოდ იქნა რეგისტრირებული ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სახელზე, რამდენადაც მიწის გამოყოფის დოკუმენტში, რომელსაც საჯარო რეესტრი დაეყრდნო, მითითებული იყო მიწის გამოყოფა არა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაზე, არამედ, ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე.

საჯარო რეესტრში რეესტრაციის შემდგომ ინდივიდუალურმა ბინათმშენებლობამ მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული უძრავი ქონება (მიმდინარე მშენებლობა) გაასხვისა შპს "მერკურზე". სანოტარო აქტში მითითებულია, რომ ნოტარიუსმა იხელმძღვანელა სხვადასხვა დოკუმენტებით და დაადგინა, რომ ნასყიდობის საგანი ეკუთვნის გამყიდველს საჯარო რეესტრის ამონაწერისა და აჭარის ა/რ-ის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის კაბინეტის 1992 წლის 7 ივნისის #536 გადაწყვეტილების თანახმად, მაშინ, როდესაც საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული იყო სხვა მისამართი, ხოლო მიწის გამოყოფის დოკუმენტში – სხვა. ნოტარიუსის მხრიდან განხორციელებული ქმედების უკანონობა იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი ვალდებული იყო, გამყიდველისათვის მოეთხოვა საჯარო რეესტრის ამონაწერსა და მიწის გამოყოფის აქტში მითითებული ორი სხვადასხვა მისამართის იგივეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე მოეთხოვა მიწაზე მიმდინარე მშენებლობაზე გამყიდველის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც მის მიერ არ განხორციელებულა. აღნიშნულით დაირღვა "სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ" იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესი. საჯარო რეესტრის სამსახურმა ასევე დაარღვია "მიწის რეესტრაციის შესახებ" კანონი, არ გამოითხოვა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები. ასეთ ვითარებაში შპს "მერკური" არ წარმოადგენდა კეთლისინდისიერ შემძენს. ნასყიდობის საგანი უფლებრივად ნაკლის მქონე იყო, რამდენადაც საჯარო რეესტრში ხელახალი რეესტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ შეიძლება დარეგისტრირებულიყო არა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, არამედ ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია. მოცემულ შემთხვევაში შემძენს უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, მით უფრო, როცა ნოტარიუსთან წარდგენილი იყო მიწის გამოყოფის დოკუმენტი, რეესტრის ამონაწერი და აღნიშნულ დოკუმენტებს შემძენი, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გასცნობოდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გაუქმდებოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები ქ. ბათუმში, ... ქ. #9-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2400კვ.მ მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადებისა და მასზე ყოველგვარი სამშენებლო სამუშაოების აკრძალვის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. ბათუმში აჭარის ა/რ-ის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის კაბინეტის 1992 წლის 7 ივნისის #536 გადაწყვეტილებით ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას გამოეყო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2400კვ.მ მიწის ნაკვეთი ... ქ. #9-ში მდებარე საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2005 წლის 12 თებერვალს განხორციელდა ცვლილებები საჯარო რეესტრში და აღნიშნული მიწის მესაკუთრედ დარეგისტრირდა ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. საჯარო რეესტრში რეესტრაციის შემდეგ ინდივიდუალურმა ბინათმშენებლობამ თავმჯდომარის სახელით მოახდინა მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე ქონების გასხვისება შპს "მერკურზე".

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მიწის რეესტრაციის შესახებ კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრიდან ამონაწერი გაიცემა სააღრიცხვო ბარათის საფუძველზე, რაც, ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად, არის სარეგისტრაციო ფურცელი, რომელიც მოიცავს მონაცემებს მიწისა და სხვა უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. ამდენად, კანონის თანახმად, ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი და ამონაწერი, რომელიც ასეთი ჩანაწერის საფუძველზე გაიცემა. მოსარჩელემ ვერ წარადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ რატომ უნდა ყოფილიყო ცნობილი ამონაწერი ბათილად. მოსარჩელემ ასევე ვერ წარადგინა საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, რომ აღნიშნული მიწა მის საკუთრებას წარმოადგენს.

საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ თავის დროზე აღნიშნული მიწა სწორედ ბინათმშენებლობისათვის გამოეყო ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას, რომელსაც უკვე დაფუძნებული ჰქონდა ამ მიზნით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი (1992 წლის 16 თებერვლის გამგეობის სხდომის #4 ოქმიდან ამონაწერის თანახმად). შემდგომში, ბინათმშენებლობის დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის 1992 წლის 7 სექტემბრის გამგეობის სხდომის ოქმის თანახმად განხორციელდა მასთან არსებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის რეორგანიზაცია ინდივიდუალურ ბინათმშენებლობად, დამტკიცდა მისი წესდება და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა

რეგისტრაციაში გატარდა ქ. ბათუმში აჭარის ა/რ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლის კაბინეტის 1992 წლის 7 ოქტომბრის #789 გადაწყვეტილებით. ამდენად, სახელმწიფომ უკვე გამოხატა ნება სადავო მიწის ნაკვეთთან მიმართებაში და იგი მიზნობრივად, სწორედ ბინათმშენებლობისათვის, გამოუყო ჯერ ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას, რომელსაც ამ მიზნით დაფუნდებული ჰქონდა მასთან არსებული კოოპერატივი, ხოლო შემდგომ, კოოპერატივის "ინდივიდუალურ ბინათმშენებლობად" რეორგანიზაციის შედეგად აღნიშნული მიწა აღმოჩნდა ამ უკანასკნელის განკარგულებაში, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად გააჩნდა აღნიშნული მიწის თავის საკუთრებაში დარეგისტრირების სრული უფლება.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" კანონის მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების, აგრეთვე, "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთები, რომლებიც ბინათმშენებლობისათვის თავის დროზე გამოეყოთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ექვემდებარებოდა მათ საკუთრებაში გადაცემას.

საქალაქო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია ქ. ბათუმის მერიის პრეტენზია მშენებარე ობიექტთან მიმართებაში. სასამართლოს აზრით, სადავო მიწის ნაკვეთზე რაიმე უფლება ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას კიდევ რომ არ ჰქონოდა, ასეთ შემთხვევაშიც ქ. ბათუმის მერიის პრეტენზია გაუგებარი იყო. აღნიშნული მშენებარე ობიექტი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წევრთა საკუთრებას წარმოადგენდა მათ წილთა შესაბამისად და წესდების თანახმად, თითოეულ მათგანს გააჩნდა თავისი წილის თავისუფლად განკარგვის უფლება.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შპს "მერკური" არაკეთილსინდისიერ შემქმენს წარმოადგენდა. "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის მე-17 მუხლით მიწის პირველადი რეგისტრაცია აბსოლუტურად განსხვავდებოდა ამავე კანონის 22-ე და 26-ე მუხლებით განსაზღვრული საკუთრების უფლების გასხვისების (გადასვლის) რეგისტრაციისაგან. როგორც საქმის მასალებით დგინდებოდა, ვიდრე შპს "მერკური" შეისყიდდა მიწის ნაკვეთს ქ. ბათუმში, ... ქ. #9-ში, აღნიშნულ ქონებაზე უფლებამოსილმა პირმა, კერძოდ, ინდივიდუალურმა ბინათმშენებლობამ განახორციელა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია, რაშიც შპს "მერკურის" ხელმძღვანელობას არანაირი მონაწილეობა არ მიუღია და, ბუნებრივია, ვერც მიიღებდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, შპს "მერკურისათვის", როგორც მყიდველისთვის, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქონებას ინდივიდუალური ბინათმშენებლობისაგან შეიძენდა, თუ სხვა პირისაგან. მას აღნიშნული ქონების სანაცვლოდ გამყიდველისათვის მაინც საბაზრო ღირებულება უნდა გადაეხადა. შპს "მერკურმა" ინდივიდუალური ბინათმშენებლობისაგან 2005 წლის 21 თებერვლის ხელშეკრულებით შეიძინა ქ. ბათუმში, ... ქ. #9-ში მდებარე უძრავი ქონება, რაზედაც გამყიდველის საკუთრების უფლება დასტურდებოდა მის მიერ უკვე განხორციელებული პირველადი რეგისტრაციით. მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელა შპს "მერკურმა" შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის 22-ე და 26-ე მუხლების თანახმად. შესაბამისად, შპს "მერკურის" ხელმძღვანელობა კეთილსინდისიერ შემქმენს წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტის მითითებით, საქმის მასალებით დადგენილი იყო ის გარემოება, რომ ქ. ბათუმში აჭარის ა/რ-ის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის კაბინეტის 1992 წლის 7 ივნისის #536 გადაწყვეტილებით ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ქ. ბათუმში, ... ქ. #9-ში გამოეყო 2400კვ.მ მიწის ნაკვეთი. როგორც საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდებოდა, გამოყოფილი მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია განხორციელდა არა ავღანეთის ვეტერანთა კავშირის სახელზე, არამედ -არარეგისტრირებულ კავშირზე -ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაზე. საჯარო რეესტრის მასალებში პირველადი რეგისტრაციის საფუძველად მითითებულ იქნა "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონი. აპელანტისათვის გაურკვეველია, თუ როგორ მოახდინა საჯარო რეესტრის სამსახურმა მიწის ნაკვეთის იმ სუბიექტზე რეგისტრაცია, რომელზეც იგი გამოყოფილი არ ყოფილა.

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად მიუთითა "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონის იმ მუხლებზე, რომლითაც ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე ექვემდებარებოდა საკუთრებაში გადაცემას, რამდენადაც ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, როგორც არარეგისტრირებული კავშირი, არ წარმოადგენდა კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საქალაქო სასა-

მართლოს გადაწყვეტილებაში ასევე მითითებული იყო, რომ კავშირთან არსებული ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ფუნქციონირებდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახით. თუ სასამართლო აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას დადასტურებულად მიიჩნევდა, მას მხედველობაში უნდა მიეღო სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლი, რომელმაც სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების დღიდან გაუქმებულად გამოაცხადა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, მის უფლებამონაცვლედ კი მიიჩნია ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა, რომელიც არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს. აქედან გამომდინარე, საინტერესო იყო, თუ რა სამართლებრივი სტატუსი გააჩნდა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას.

აპელანტის აზრით, სადავო ქონება ნასყიდობის მომენტში უფლებრივად ნაკლის მქონე იყო და ასეთ ვითარებაში შემძენის მიმართ ვერ იმოქმედებდა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი კეთილ-სინდისიერების პრინციპი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა შპს "მერკურმა", რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც სასამართლომ დაადგინა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის განჩინებით გატარებული უზრუნველყოფის ღონისძიებები უნდა გაუქმებულიყო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის მითითებით, ქ. ბათუმის მერიამ გაუშვა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე კოდექსის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის დასაშვებობისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ერთთვიანი ვადა, რამდენადაც მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2005 წლის 14 თებერვალს გაცემული ამონაწერის ბათილად ცნობა, ხოლო სარჩელი მის მიერ წარდგენილ იქნა 2006 წლის 20 იანვარს.

მოცემულ შემთხვევაში ქ. ბათუმის მერიამ დაადასტურა უკვე არსებული გარიგება და სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე დაკარგა შეცვლების უფლება, რამდენადაც შპს "მერკურს" დაუმტკიცა შესაბამისი პროექტი და სადავო მიწის ნაკვეთზე გასცა მშენებლობის ნებართვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად შპს "მერკურს" არსებითი ზიანი ადგება. იმის მიუხედავად, რომ შპს "მერკურმა" სასამართლოს წინაშე 2006 წლის 28 მარტს აღძრა შუამდგომლობა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების თაობაზე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2006 წლის 30 მარტის სხდომაზე ადგილზე თათბირით არ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა. მეტიც, შპს "მერკურმა" ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2006 წლის 1 აგვისტოს შეიტანა განცხადება და კვლავ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება. ბათუმის საქალაქო სასამართლომ თავისი 2006 წლის 2 აგვისტოს განჩინებით არ დააკმაყოფილა აღნიშნული განცხადება და მოტივად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ თუკი შპს "მერკურს" აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად ზარალი მიადგებოდა, შემდგომშიც შეეძლო მოეთხოვა ამ ზარალის ანაზღაურება. საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 თებერვლის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი და შპს "მერკურის" შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. ბათუმში აჭარის ა/რ-ის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის კაბინეტის 1992 წლის 7 ივლისის #536 გადაწყვეტილებით ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას გამოეყო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2400კვ.მ მიწის ნაკვეთი ... ქ.#9-ში მდებარე საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე. 2005 წლის 12 თებერვალს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ დაარეგისტრირა ავღანელთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. 2005 წლის 21 თებერვალს ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალურ ბინათმშენებლობასა და შპს "მერკურს" შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით დასტურდებოდა, რომ ბათუმში, ... ქ. #9-ში მდებარე 2400კვ.მ მიწის ნაკვეთი, აგრეთვე, სამშენებლო მასალები და მშენებარე ობიექტები შეიძინა შპს "მერკურმა", რომელმაც შემდგომში აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მოახდინა უძრავი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში და ამჟამად სადავო ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებულია შპს "მერკური". აღნიშნული ჩანაწერი მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა "უძრავ ნაგებობაზე უფლების რეგისტრაციის შესახებ" კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, საჯარო რეესტრის ჩანაწერი უქმდება, თუ წარმოდგენილია ახალი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უფლების გაგრძელების ან შეწყვეტის ფაქტს. ამავე კანონის მე-20 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებით საბუთს წარმოადგენს ყველა ხელშეკრულება ან სხვა

დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უძრავ ნივთზე საკუთრების, სხვა სანივთო ან ვალდებულებითი უფლების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში ასეთ საბუთს წარმოადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულება, ანუ ახალი უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში სათანადო ჩანაწერის განხორციელების შემდეგ ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ბინათმშენებლობიდან გადავიდა შპს "მერკურზე". შესაბამისად, ახალი მესაკუთრის რეგისტრაციამ გამოიწვია საჯარო რეესტრში ძველი მესაკუთრის ჩანაწერის გაუქმება, ანუ გაუქმებული იყო 2005 წლის 12 თებერვლის ჩანაწერი, რომლის ბათილად ცნობასაც ითხოვდა ბათუმის მერია. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა დავის საგანი, ასეთ პირობებში კი მოთხოვნა გაუქმებული ჩანაწერის ბათილად ცნობაზე უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, ასევე უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ შპს "მერკური" წარმოადგენდა არაკეთილსინდისიერ შემქმენს. დადგენილი იყო, რომ ვიდრე შპს "მერკური" შეისყიდდა ბათუმში, ხიმშიაშვილის ქ. #9-ში მდებარე მიწის ნაკვეთს, აღნიშნულ ქონებაზე ინდივიდუალურმა ბინათმშენებლობამ განახორციელა საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია, რაშიც შპს "მერკურის" ხელმძღვანელობას მონაწილეობა არ მიუღია და ვერც მიიღებდა. შპს "მერკურმა" ინდივიდუალური ბინათმშენებლობისაგან 2005 წლის 21 თებერვლის ხელშეკრულებით შეიძინა ბათუმში, ხიმშიაშვილის ქ. #9-ში მდებარე უძრავი ქონება, რაზედაც გამყიდველის საკუთრების უფლება დადასტურდა მის მიერ უკვე განხორციელებული პირველადი რეგისტრაციით, თანახმად საქმეში არსებული 2005 წლის 14 თებერვალს გაცემული ამონაწერისა. მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელა შპს "მერკურმა" მშენებარე ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის 22-ე და 26-ე მუხლების თანახმად, შესაბამისად, შპს "მერკური" სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად წარმოადგენდა კეთილსინდისიერ შემქმენს და მისი, როგორც მყიდველის არაკეთილსინდისიერების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა.

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის შესაბამისად, რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მისი უზუსტობა იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და რეესტრში ეს უფლება გამსხვიების სახელზე რეგისტრირებული. რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემქმენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტო იყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია შპს "მერკურის" შეგებებული სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონის ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების კანონიერ ძალაში შესვლას უკავშირებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა კანონი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გაუქმდება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ღონისძიებები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში აპელანტის ყველა არგუმენტი უნდა შეამოწმოს და შეაფასოს. სასამართლოს მხრიდან აღნიშნული არგუმენტების გაუზიარებლობას აუცილებლად ესაჩიროება შესაბამისი დასაბუთება. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარში მითითებული არგუმენტები. სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთ მოტივს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ქ. ბათუმში, აჭარის ა/რ-ის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის კაბინეტის 1992 წლის 7 ივნისის #536 გადაწყვეტილებით ქ. ბათუმში, ... ქ. #9-ში 2400კვ.მ მიწის ნაკვეთი გამოეყო ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას, მისი პირველადი რეგისტრაცია კი საჯარო რეესტრში უკანონოდ განხორციელდა ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ბინათმშენებლობაზე. ამავე სააპელაციო საჩივარში საჯარო რეესტრის უკანონო ქმედებად მიჩნეული იყო ის გარემოება, რომ ვინაიდან ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, როგორც არარეგისტრირებული კავშირი, სამოქალაქო

კოდექსის 1509-ე მუხლის შესაბამისად, არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს, მას არ შეიძლება წარმოშობოდა "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონით გათვალისწინებული უფლება, მოეხდინა ქ. ბათუმში, ხიმშიაშვილის ქ. #9-ში მდებარე 2400კვ.მ მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია, ხოლო საჯარო რეესტრს უფლება - მიწის ნაკვეთი აღერიცხა არა იურიდიული პირის საკუთრებაში.

კასატორის მითითებით, თუკი სასამართლო დადასტურებულად ჩათვლიდა, რომ ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციასთან არსებული ბინათმშენებლობა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახით არსებობდა და ეს შესაძლებელს ხდიდა "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონის საფუძველზე მიწის ნაკვეთის მასზე, როგორც იურიდიულ პირზე რეგისტრაციას, სასამართლოს ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლის შესაბამისად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, როგორც იურიდიული პირები, გაუქმებულად ჩათვალა 1997 წლის 25 ნოემბრიდან, ხოლო მათ უფლებამონაცვლებად მიჩნეულ იქნენ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენდნენ.

ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა იმ ფაქტს, რომ საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერი "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონის შესაბამისად კანონიერი იყო.

კასატორის აზრით, ასევე უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. ბათუმის მერია სადავოდ არ ხდის შპს "მერკურზე" საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ ჩანაწერებს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია ინდივიდუალურ ბინათმშენებლობასა და შპს "მერკურს" შორის დადებული იმ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისაკენ, რომელიც საფუძველად უდევს სადავო მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში შპს "მერკურის" საკუთრებაში აღრიცხვას და რომლის ბათილად ცნობის შემთხვევაში საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების საფუძველი თავისთავად ხდება სასამართლოს გადაწყვეტილება.

ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარზე შეგებებული საკასაციო საჩივარი წარადგინა შპს "მერკურმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მისი შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ნაწილში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

შეგებებული კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლი, როდესაც მიუთითა, რომ კანონის აღნიშნული ნორმის მიხედვით, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების კანონიერ ძალაში შესვლა უკავშირდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსი მდგომარეობს კრედიტორის სასარგებლო გადაწყვეტილების აღსრულებისადმი მომავალში მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მიხედვით, განცხადებაში, რომლითაც მხარე ითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას, მითითებული უნდა იყოს იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც ასეთი ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ამავე კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას სასამართლო განიხილავს შეტანიდან ერთი დღის ვადაში მოპასუხისათვის შეუტყობინებლად, ხოლო 195-ე მუხლის საფუძველზე განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ აღსრულებდა დაუყოვნებლივ.

კანონის ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, როგორც გატარებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ სასამართლოს განჩინება არის დაუყოვნებლივ აღსასრულებელი, ასევე უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება შესაბამის ნაწილში არის დაუყოვნებლივ აღსასრულებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობით შეიძლება გაძნელდეს გადაწყვეტილების აღსრულება ან მას საფრთხე შეექმნას, ასევე უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დროულად აღსრულებლობამ შეიძლება მოპასუხეს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. სწორედ ამ მიზნით იქნა ცვლილებები განხორციელებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ, მას დაემატა 199¹ მუხლი, რომლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შპს "მერკურმა" თავისი შეგებებული საკასაციო საჩივრის მოტივად დამატებით დაასახელა ის გარემოება, რომ დავის არსებობის პერიოდში, ქ. ბათუმის მერიის 2007 წლის 9 ნოემბრის ბრძანებით სადავო მიწის ნაკვეთზე შპს "მერკურის" მიერ აშენებული

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მიღებულ იქნა ექსპლოატაციაში, რის შემდეგაც აღნიშნული საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით შპს "მერკურის" სახელზე დარეგისტრირდა. შპს "მერკურის" მითითებით, ქ. ბათუმის მერიას მოცემულ საქმეზე სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი არ გააჩნია და მოითხოვა საქმეზე წარმოების შეწყვეტა. მანვე მოითხოვა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქ. ბათუმის მერიისთვის დაკისრება.

საკასაციო სასამართლოში გამოცხადებულმა ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული საქმის მიმართ ქ. ბათუმის მერიას იურიდიული ინტერესი არ გააჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრისა და შეგებებული საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შპს "მერკურის" შეგებებული საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრის დავის საგანია ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სახელზე გაცემული საჯარო რეესტრის 2005 წლის 12 თებერვლის ამონაწერის, აგრეთვე ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალურ ბინათმშენებლობასა და შპს "მერკურს" შორის 2005 წლის 21 თებერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

საპროცესო კანონმდებლობა ყოველ დაინტერესებულ პირს უფლებას ანიჭებს, სარჩელით მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების, ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლების მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობისათვის აუცილებელია სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესის არსებობა. სწორედ აღნიშნული საკითხის გამორკვევას ემსახურება სარჩელის დასაშვებობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ პროცესში, რომლის მიზანია, კანონით გათვალისწინებულ მთელ რიგ აუცილებელ საკითხებთან ერთად გაირკვეს, არის თუ არა მოსარჩელე მოცემულ კონკრეტულ მოთხოვნასა და შესაბამის სამართალწარმოებაზე უფლების მქონე პირი, გააჩნია თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე რეალური სამართლებრივი ინტერესი.

დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2007 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, შესაძლებელია ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე, ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, საქმის საკასაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას საკასაციო სასამართლო ასევე უფლებამოსილია, მიიღოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი -ქ. ბათუმის მერია საკასაციო სასამართლოს სხდომებზე სისტემატურად არ ცხადდებოდა არასაპატიო მიზეზით. საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის სხდომაზე კი გამოცხადებული კასატორის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საქმეზე ქ. ბათუმის მერიას იურიდიული ინტერესი არ გააჩნია. იმავდროულად, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შპს "მერკურმა" განმარტა, რომ მოცემული დავის არსებობის პერიოდში, ქ. ბათუმის მერიამ 2007 წლის 9 ნოემბრის ბრძანებით სადავო მიწის ნაკვეთზე შპს "მერკურის" მიერ აშენებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ექსპლოატაციაში მიიღო, რის შედეგადაც აღნიშნული საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით შპს "მერკურის" სახელზე დარეგისტრირდა, რაც ასევე ქ. ბათუმის მერიის მხრიდან საქმეზე რეალური იურიდიული ინტერესის არქონას ადასტურებდა. აღნიშნულის საწინააღმდეგო განმარტება ქ. ბათუმის მერიას არ დაუფიქსირებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმის მერიას არა აქვს ნამდვილი იურიდიული ინტერესი საქმის მიმართ, რის გამოც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^{2.6} მუხლის საფუძველზე საქმე ექვემდებარება წარმოებით შეწყვეტას საჯარო რეესტრის 2005 წლის 12 თებერვლის ამონაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში.

რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნას, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმებას დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ სარჩელს, საჯარო რეესტრის 2005 წლის 12 თებერვლის ამონაწერის ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელის დაუშვებლად ცნობა, თავის მხრივ, გამორიცხავს სარჩელის მეორე მოთხოვნის -ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალურ ბინათმშენებლობასა და შპს "მერკურს" შორის 2005 წლის 21 თებერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რამდენადაც მოსარჩელე აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებას ითხოვს მხოლოდ იმ საფუძველით, რომ 2005 წლის 12 თებერვალს საჯარო რეესტრში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სადავო მიწის ნაკვეთი უსაფუძვლოდ იქნა დარეგისტრირებული ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სახელზე, რამაც გამოიწვია მისი არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ გასხვისება. საჯარო რეესტრის

2005 წლის 12 თებერვლის ამონაწერის ბათილად ცნობის ნაწილში ქ. ბათუმის მერიის სარჩელზე დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოებით შეწყვეტის შედეგად, საფუძველი ეცლება ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ბინათმშენებლობასა და შპს "მერკურს" შორის 2005 წლის 21 თებერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნასაც, რის გამოც ამ ნაწილში არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას შპს "მერკურის" შეგებებული სააპელაციო საჩივრის თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის განჩინებით გატარებული უზრუნველყოფის ღონისძიებების საქმის წარმოების დასრულების შემდეგ გაუქმებასთან დაკავშირებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-199¹ მუხლებიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ხანგრძლივობა უკავშირდება საქმეზე წარმოების დასრულებას და მის შედეგს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის მიხედვით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მოცემულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით, ანუ სარჩელთან დაკავშირებით საქმის წარმოება არ იყო დასრულებული და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული. შესაბამისად, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმებას არ ექვემდებარებოდა, რაც სწორად განმარტა სააპელაციო სასამართლომ. ამჟამად საქმის წარმოების დასრულება სარჩელის დაკმაყოფილების გარეშე თავისთავად განაპირობებს აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ქ. ბათუმის მერიას შპს "მერკურის" სასარგებლოდ უნდა დაეკისროს შპს "მერკურის" მიერ შეგებებულ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი -150 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, იმის გათვალისწინებით, რომ შპს "მერკურის" შეგებებული საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორის მიერ საკასაციო სასამართლოში გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26² მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს "მერკურის" შეგებებული საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის 2005 წლის 12 თებერვლის ამონაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნაზე ქ. ბათუმის მერიისათვის უარის თქმის ნაწილში;
4. ამ ნაწილში ქ. ბათუმის მერიის სარჩელზე დაუშვებლობის მოტივით შეწყდეს საქმის წარმოება;
5. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად;
6. ქ. ბათუმის მერიას შპს "მერკურის" სასარგებლოდ დაეკისროს შპს "მერკურის" მიერ შეგებებულ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი -150 ლარი;
7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა დაუშვებლობის მოტივით; აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა

განჩინება

#ბს-113-113(კ-08)

8 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე

მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 5 ივნისს ქობულეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა თ. კ-მემ მოპასუხე დ. ჩაქვის საკრებულოს გამგეობის მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ დ. ჩაქვში, ... ქუჩის #83-ში მდებარე 428 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული რესტორანი "ვარსკვლავი" 1987 წლიდან იმყოფებოდა მის კანონიერ მფლობელობასა და სარგებლობაში. აჭარის ა/რ ქობულეთის რაიონის გამგეობის 1994 წლის 1 აპრილის #87 განკარგულებით (საზოგადოებრივი კვების კოოპერატივი "ვარსკვლავის" წესდების ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ) საზოგადოებრივი კვების კოოპერატივის ბაზაზე ჩამოყალიბდა (დამფუძნებელი თ. კ-მე) მცირე საწარმო "ვარსკვლავი".

მოსარჩელემ განმარტა, რომ იმჟამად რეგისტრირებული იყო ინდივიდუალურ მეწარმედ და კეთილსინდისიერად ახორციელებდა ... ქუჩის #83-ში მდებარე 428 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული რესტორან "ვარსკვლავის" კანონიერ ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას. ი/მ "თ. კ-მის" მიმართ ქობულეთის რ-ნის დ. ჩაქვის საკრებულოს გამგეობას არანაირი პრეტენზია ჰქონდა.

მოსარჩელემ მიუთითა "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე და განმარტა, რომ ფიზიკურ პირებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს კერძო საკუთრების უფლება მიენიჭებოდათ მათ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგ მიწებზე -ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის სარგებლობაში დადგენილი წესით გამოყოფილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დადგენილი წესით ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით კერძო საკუთრებად არ იყო გამოცხადებული, უსასყიდლოდ გადადიოდა მათ საკუთრებაში, გარდა იმ მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც გამოყოფილი ჰქონდათ სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებს საბინაო მშენებლობისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მიხედვით, მფლობელობა წარმოიშობოდა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით, ხოლო, იმავე კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად, კეთილსინდისიერად ითვლებოდა მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობდა ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლებოდა მიჩნეულიყო საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საკუთრების უფლების დადგენა დ. ჩაქვში, ... ქ. # 83-ში მდებარე 425 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე (რესტორანზე).

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 ივნისის განჩინებით ქობულეთის რ-ნის გამგეობა მოცემულ საქმეში ჩაბმულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად მოპასუხის მხარეზე.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -ქობულეთის რ-ნის დ. ჩაქვში, ... ქუჩის #83-ში მდებარე 428 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა აღიარებულ იქნა თ. კ-მის საკუთრებად საქმეში წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის ფარგლებში.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ჩაქვის მუშათა კოოპერატივს 1987 წლის 14 სექტემბრის აქტით და აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 15 აპრილის #138 დადგენილებით გამოეყო კოოპერატიული სასაბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთი; აჭარის ა/რ ქობულეთის რ-ნის გამგეობის 1994 წლის 1 აპრილის #87 განკარგულებით, საზოგადოებრივი კვების კოოპერატივის ბაზაზე ჩამოყალიბდა მცირე საწარმო "ვარსკვლავი", რომლის

დამფუძნებელიც იყო მოსარჩელე თ. კ-ძე, რომელიც იმჟამად აწარმოებდა ინდივიდუალურ მეწარმეობას და კეთილსინდისიერად ფლობდა, სარგებლობდა 428 კვ.მ მიწის ნაკვეთით და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (რესტორანი).

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ 428 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (რესტორანი) "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონის შესაბამისად, ამ უკანასკნელის საკუთრებად გამოცხადება, ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის დადგენილი წესით ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით კერძო საკუთრებად არ გამოცხადებულა, უსასყიდლოდ გადადიოდა მათ საკუთრებაში, გარდა იმ მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც გამოყოფილი ჰქონდათ სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებს საბინაო მშენებლობისათვის.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა - უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, რაიონულმა სასამართლომ მართებულად მიიჩნია დადგენილად ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ჩაქვის მუშათა კოოპერატივს 1987 წლის 14 სექტემბრის აქტით და აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 15 აპრილის #138 დადგენილებით გამოეყო კოოპერატიული სასაბაზო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთი. ქობულეთის რ-ნის გამგეობის 1994 წლის 1 აპრილის #87 განკარგულებით საზოგადოებრივი კვების კოოპერატივის ბაზაზე ჩამოყალიბდა მცირე საწარმო "ვარსკვლავი", რომლის დამფუძნებელი იყო თ. კ-ძე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე ამ ფაქტობრივ გარემოებას ვერ უარყოფდა. "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ფიზიკურ პირებს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს კერძო საკუთრების უფლება მიენიჭებოდათ მათ სარგებლობაში არსებულ, დადგენილი წესით გამოყოფილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 15 აპრილის #138 დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 21 ოქტომბრის #381 გადაწყვეტილება დამტკიცდა და ჩაქვის მუშათა კოოპერატივს კოოპერატიული სასაბაზო მშენებლობისათვის ჩაქვის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს მიწებიდან გამოეყო 0,04 ჰა გამოუყენებელი მიწის ნაკვეთი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით, აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭო წარმოადგენდა ხელისუფლების ორგანოს, რომელსაც გააჩნდა კომპეტენცია, კოოპერატივის სარგებლობისათვის (მშენებლობისათვის) გადაეცა გარკვეული რაოდენობის მიწის ფართი მათ მიერ მითითებულ ტერიტორიის ფარგლებში. "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დადგენილი წესით ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით კერძო საკუთრებად არ გამოცხადებულა, უსასყიდლოდ გადადიოდა მათ საკუთრებაში, გარდა იმ მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც გამოყოფილი ჰქონდათ სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებს საბინაო მშენებლობისათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს არ გააჩნდა საკმარისი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა საკუთრების უფლებით სადავო ქონების ფლობის უფლებას. საქმეში წარმოდგენილი იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის უარი სადავო ქონების რეესტრში რეგისტრაციაზე საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო. მოსარჩელე, მართალია, ეყრდნობოდა ქობულეთის რ-ნის დ. ჩაქვის საკრებულოს პასუხს, რომ მოცემული ქონება იმყოფებოდა მოსარჩელის მფლობელობაში, მაგრამ დასახელებული პასუხით არ ირკვეოდა, გამოეყო თუ არა მას ეს ქონება საკუთრებაში ან სარგებლობაში. პრეტენზიის არქონა მფლობელისათვის არ ნიშნავს საკუთრების უფლების აღიარებას.

კასატორის მითითებით, მოსარჩელე თავის მოთხოვნას აფუძნებდა "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტზე, სადაც

საუბარია ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემაზე. მოცემული მიწის ნაკვეთი არ ყოფილა გამოყოფილი ზემოაღნიშნული მიზნისათვის და შესაბამისად, მოცემული ნორმა სადავო მიწის ნაკვეთზე ვერ გავრცელდებოდა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება აღნიშნული ნორმის შინაარსზე.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით, აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭო წარმოადგენდა ხელისუფლების ორგანოს, რომელსაც გააჩნდა კომპეტენცია, კოოპერატივის სარგებლობისათვის გადაეცა გარკვეული რაოდენობის მიწის ფართი მათ მიერ მითითებულ ტერიტორიის ფარგლებში.

კასატორი აღნიშნავს, რომ, მართალია, აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭო წარმოადგენდა ხელისუფლების ორგანოს, თუმცა ამ შემთხვევაში მიწის ნაკვეთი არ იყო გამოყოფილი საკუთრების უფლებით და შესაბამისი აქტი არ წარმოადგენს მიწის საკუთრების უფლებით გადაცემის დოკუმენტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 4 თებერვლის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 27 მარტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 8 მაისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ დ. ჩაქვის საკრებულოს გამგეობის მიმართ, დ. ჩაქვში, ... ქ. # 83-ში მდებარე 425 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ (რესტორანი) შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების დადგენის თაობაზე, დაუშვებლობის მოტივით, თ. კ-ძის სარჩელზე უნდა შეწყდეს წარმოება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლზე (სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე), რომლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის (აღიარებითი სარჩელი) მიხედვით, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ამ კოდექსის 22-ე-24-ე მუხლების საფუძველზე. ხსენებული კოდექსის 26² მუხლის (განმწესრიგებელი სხდომა) მე-6 ნაწილის თანახმად კი საქმის საკასაციო წესით განხილვისას, დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების გამოვლენისას სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება, რომელიც არ საჩივრდება.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ 2006 წლის 5 ივნისს ქობულეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა თ. კ-ძემ მოპასუხე დ. ჩაქვის საკრებულოს გამგეობის მიმართ, ამასთან, მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლზე (აღიარებითი სარჩელი) და ამ მუხლის შესაბამისად მოითხოვა საკუთრების უფლების დადგენა დ. ჩაქვში, ... ქ. #83-ში მდებარე 425 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ (რესტორანი) შენობა-ნაგებობაზე. ამდენად, თ. კ-ძემ აღძრა აღიარებითი სარჩელი საკუთრების უფლების დასადგენად, ანუ საკუთრების უფლების მისთვის მისანიჭებლად და არ გამოიყენა სარჩელის ის სახე, რომელიც ამ მიზნით უნდა გამოიყენებინა, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, სარჩელის წარმოებაში მიღებისას რომ არც ქობულეთის რაიონულ სასამართლოს და არც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია თ. კ-ძის სარჩელის დასაშვებობაზე, ანუ იმ საკითხზე, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად იყო დასაშვები თ. კ-ძის აღიარებითი სარჩელი, რომლითაც იგი მოითხოვდა საკუთრების უფლების აღიარებას განსაზღვრულ ქონებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თ. კ-მეს დ. ჩაქვი, ... ქ. #83-ში მდებარე 425 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ (რესტორანი) შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების დადგენის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე განცხადებით არ მიუმატავს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის (დ. ჩაქვის საკრებულოს გამგეობისათვის), ამ საქმეში არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება და მან პირდაპირ აღიარებითი სარჩელი წარადგინა სასამართლოში. ამდენად, თ. კ-მისათვის მოცემული სარჩელის აღძვრამდე უცნობი იყო ხსენებული ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია მის მოთხოვნასთან მიმართებაში და მან არ დაიცვა სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისი სარჩელის სახის არჩევის წესი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, ვინაიდან მოცემულ საქმეზე სარჩელის საგანს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენა, შესაბამისად, თ. კ-მის სარჩელი უშუალოდ არის დაკავშირებული საკუთრების მატერიალურ, სანივთო უფლებასთან. ამდენად, თ. კ-მის სარჩელი არ პასუხობს ამ სახის სარჩელთა დასაშვებობას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით დადგენილი წესით, ანუ იგი ვერ მოექცევა ამ მუხლის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, თუ შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ შესაძლებელი იყო აღძრულიყო შეცვლების ან მავალდებულებელი სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-24-ე მუხლებით დადგენილი საფუძვლით, ანუ შეცვლებისა და მავალდებულებელი სარჩელის აღძვრის ფაქტობრივი შესაძლებლობა ობიექტურად გამორიცხავს განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის მოთხოვნით აღიარებითი სარჩელის აღძვრის იური-დიულ შესაძლებლობას, ხოლო ასეთ შემთხვევაში, უკვე აღძრული აღიარებითი სარჩელის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის (განმწესრიგებელი სხდომა) მე-6 ნაწილით რომლის თანახმად, უფლებამოსილია მიიღოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება, რომელიც არ საჩივრდება. საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2007 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების თანახმად (აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდა 2008 წლის 18 იანვრიდან), შესაძლებელია ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, რაც იმას ნიშნავს, რომ დასახელებული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ საკასაციო სასამართლოც უკვე უფლებამოსილია, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას პირდაპირ შეწყვიტოს სარჩელზე წარმოება. ამ მხრივ იგი აღარ არის პროცესუალურად შეზღუდული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირმა საკუთრების უფლების მოსაპოვებლად უნდა გამოიყენოს მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი, ანუ ისეთი სახის სარჩელი, რომელიც მას იური-დიულად მისცემს შესაძლებლობას, მოიპოვოს საკუთრების უფლება ამა თუ იმ ქონებაზე. აღიარებითი სარჩელის აღძვრა უნდა გამომდინარეობდეს მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესებიდან აღიარებითი სარჩელის სპეციალური ფორმის მიმართ და ამავე დროს აღიარებითი სარჩელი დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს. მოსარჩელე ვერანაირად ვერ იქნება აღიარებითი სარჩელის აღძვრით სამართლებრივად დაინტერესებული, თუ მას შესაძლებლობა აქვს, სარჩელის სხვა ფორმით მიადგინოს მიზანი. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ აღიარებითი სარჩელი არ მოიცავს მოპასუხის მიმართ შესრულების მოთხოვნას ან ამ შესრულების იძულების წესით განხორციელებას, რის გამოც საკუთრების უფლების მინიჭება ვერ მოხდება აღიარებითი სარჩელით და საკუთრების მატერიალური უფლების რეალიზებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მავალდებულებელი სახის სარჩელი -საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით რეგლამენტირებული სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. კ-მის სარჩელი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილ სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნებს, რის გამოც ხსენებულ სარჩელზე, დ. ჩაქვის საკრებულოს გამგეობის მიმართ, დ. ჩაქვი, ... ქ. # 83-ში მდებარე 425 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ (რესტორანი) შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების დადგენის თაობაზე, დაუშვებლობის მოტივით, უნდა შეწყდეს წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26² მუხლის პირველი და მე-6 ნაწილებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. კ-მის სარჩელზე, დ. ჩაქვის საკრებულოს გამგეობის მიმართ, დ. ჩაქვი, ... ქ. # 83-ში მდებარე 425 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე (რესტორანი) საკუთრების უფლების დადგენის თაობაზე, დაუშვებლობის მოტივით შეწყდეს წარმოება;

2. გაუქმდეს ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა დავის საგნის არარსებობის გამო

განჩინება

#ბს-1228-1190(კს-08) 25 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 24 ივლისს ლ. წ-შვილმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლედ სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" ცნობა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა.

განმცხადებლის განმარტებით, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ 2005 წლის 9 მარტს ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 2 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვითაც კრედიტორს -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს ლ. წ-შვილის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა 3182,24 ლარი. აღნიშნულ სააღსრულებო ფურცელზე თბილისის სააღსრულებო ბიუროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა დაიწყო სააღსრულებო საქმის წარმოება. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 ივნისის #410 ბრძანებულებით საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ლიკვიდირებულ იქნა და მის უფლებამონაცვლედ ხსენებულ ვალდებულებებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის #190/ნ ბრძანების თანახმად, ცნობილ იქნა სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტო".

თბილისის სააღსრულებო ბიუროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა, მოვალის -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ლიკვიდაციის გამო, "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, განმცხადებელს მოსთხოვა ახალი სააღსრულებო ფურცლის წარმოდგენა, სადაც მოვალედ მითითებული იქნებოდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე -სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტო".

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 აგვისტოს განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, ლ. წ-შვილის განცხადება უფლებამონაცვლეობის დადგენისა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განჩინებით ლ. წ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტო" და დადგინდა სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

2008 წლის 16 სექტემბერს ლ. წ-შვილმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და აღნიშნა, რომ იმის მიუხედავად, რომ მისი განცხადება უფლებამონაცვლეობის დადგენისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ დაკმაყოფილდა, მასზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა არ ხდებოდა იმ მოტივით, რომ ხსენებულ განჩინებაზე დაიშვებოდა კერძო საჩივარი და განჩინება არ იყო კანონიერ ძალაში შესული.

განმცხადებლის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა არ აჩერებდა იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვდა სააღსრულებო ფურცლის გაცემას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინებით ლ. წ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა განმცხადებელმა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ გასაჩივრებული განჩინება უკანონოა, რადგან სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლი, რომლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული. ასეთი საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო გაეცა სააღსრულებო ფურცელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის განჩინებით ლ. წ-შვილის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 25 დეკემბერს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ლ. წ-შვილის კერძო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განჩინებით ლ. წ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სსიპ “სოციალური სუბსიდიების სააგენტო” და დადგინდა სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

2008 წლის 16 სექტემბერს ლ. წ-შვილმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და აღნიშნა, რომ იმის მიუხედავად, რომ მისი განცხადება უფლებამონაცვლეობის დადგენისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ დაკმაყოფილდა, მასზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა არ ხდებოდა იმ მოტივით, რომ ხსენებულ განჩინებაზე დაიშვებოდა კერძო საჩივარი და განჩინება არ იყო კანონიერ ძალაში შესული.

განმცხადებლის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა არ აჩერებდა იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვდა სააღსრულებო ფურცლის გაცემას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინებით ლ. წ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა განმცხადებელმა.

საქმის მასალებით, ასევე, დადგენილია, რომ 2008 წლის 8 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ლ. წ-შვილზე გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი.

ამდენად, დღეისათვის დავის საგანი არ არსებობს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა გახილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. წ-შვილის კერძო საჩივარზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის “ა¹” პუნქტის შესაბამისად, რადგან არ არსებობს დავის საგანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 372-ე, 399-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. წ-შვილის კერძო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე, საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

#ბს-931-893(კ-07)

26 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა გ. დ-შვილის, ნ. ბ-ანის და მ. ც-შვილის განცხადება სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 16 აპრილს თ. ს-უამ, ბ. უ-ვამ, ე. ჩ-ძემ და სხვებმა სარჩელით მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების -მ. კ-ძის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის, ხონის საგადასახადო ინსპექციის და ხონის მიწის მართვის სამმართველოს მიმართ და 2003 წლის 24 მარტის სპეციალიზებული ღია აუქციონის ოქმის #1 დანართის მე-12 პუნქტის ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის #37,07,07,066 ჩანაწერის გაუქმება მოითხოვეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 22 სექტემბრის საოქმო განჩინებით, მოცემულ საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩაება საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ხონის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივი, რომელმაც სარჩელი აღძრა ხონის რაიონულ სასამართლოში იმავე მოთხოვნით იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით რაც მითითებული იყო თავდაპირველ სარჩელში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. ჩ-ძისა და სხვა ფიზიკური პირების, აგრეთვე, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლების მქონე მესამე პირის - საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ხონის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის სარჩელები არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა -ბ. უ-ვამ, თ. ს-უამ და ე. ჩ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. დანარჩენ მოსარჩელებს, მათ შორის განცხადების ავტორებს, გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ. მოცემული დავა ორჯერ იქნა განხილული უზენაესი სასამართლოს მიერ, თუმცა განცხადების ავტორები კასატორები არც ერთხელ ყოფილან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.07.2007 წ. გადაწყვეტილებით, ბ. უ-ვას, თ. ს-უას, ე. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 01.12.2004 წ. გადაწყვეტილება ხონის მიწის მართვის სამმართველოს რეესტრის ჩანაწერების # 37,07,07,066 გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილში, თ. ს-უასა და სხვათა, აგრეთვე, ხონის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის -ბ. უ-ვას სარჩელები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა ხონის მიწის მართვის სამმართველოს რეესტრის # 37, 07, 07, 066 ჩანაწერი. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს 24.06.07 გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. კ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ბ. უ-ვას თ. ს-უას, და ე. ჩ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საკასაციო პალატას განცხადებით მიმართეს გ. დ-შვილმა, ნ. ბ-ანმა და მ. ც-შვილმა და აღნიშნეს, რომ დარწმუნდნენ, აუქციონის კანონიერად ჩატარებაში და იმაში, რომ მასზე გაიყიდა ერთიანი სავაჭრო ცენტრი და მ. კ-ძე არის კეთილსინდისიერი მყიდველი, რის გამოც ეთანხმებიან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და უარს ამბობენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. ჩ-ძისა და სხვა ფიზიკური პირების, აგრეთვე, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლების მქონე მესამე პირის - საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ხონის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის სარჩელები არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა -ბ. უ-

ვამ, თ. ს-უამ და ე. ჩ-მემ, რომლებმაც მოთხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1.12.2004 წ. გადაწყვეტილება თავდაპირველი მოსარჩელების უმეტესობის, მათ შორის, განცხადების ავტორების მიერ არ ყოფილა გასაჩივრებული, რითაც ისინი ფაქტობრივად დაეთანხმნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და უარი თქვეს უფლებაზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მოეთხოვათ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება. სასამართლოს გადაწყვეტილება მათ მიმართ კანონიერ ძალაშია შესული. სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, გავლენას ვერ მოახდენს საქმის შემდგომ მსვლელობაზე და არ წარმოადგენს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. დ-შვილს, ნ. ბ-ანს და მ. ც-შვილს უარი უნდა ეთქვათ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილით, 285-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. დ-შვილს, ნ. ბ-ანს და მ. ც-შვილს განცხადება სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

#ბს-836-798(კ-07) 28 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ჩინჩალაძე

ნ. სხირტლაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. და ჯ. ც-ძეების მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის თაობაზე განცხადებასთან დაკავშირებით, მ. ც-ძის, თ. ლ-ძის, ნ. ს-ძის, ე. ც-ძის, ნ. ჭ-ძისა და ჯ. ც-ძის საკასაციო საჩივარზე ე. და ჯ. ც-ძეების ნაწილში წარმოების შეწყვეტის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 6 ოქტომბერს მ. ც-ძემ, თ. ლ-ძემ, ნ. ს-ძემ, ე. ც-ძემ, ნ. ჭ-ძემ და ჯ. ც-ძემ სარჩელი აღძრეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების - ზესტაფონის რაიონის ადმინისტრაციული ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურისა და ზესტაფონის რაიონის გამგეობის მიმართ, ხოლო მესამე პირებად მიუთითეს ე. გ-ძეზე, ე. ო-ძესა და ტ. წ-ძეზე.

მოსარჩელებმა მოითხოვეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განმკარგავი მუდმივმოქმედი კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს ოქმის გაუქმება, რომლითაც განისაზღვრა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე აუქციონის ჩატარება 2006 წლის 8 სექტემბერს, ზესტაფონის რაიონის გამგეობის შენობაში.

მოსარჩელებმა მოითხოვეს, აგრეთვე, ქ. ზესტაფონში, ... ქ. #87-ის მიმდებარე ტერიტორიის გასაყიდი ობიექტების ნუსხაში ჩასმის შესახებ დასკვნის, ასევე, მისი თანამდევი ყველა შედეგის, კერძოდ, ზესტაფონის რაიონის გამგეობის 2006 წლის 4 აგვისტოს #68 დადგენილების, ქ. ზესტაფონში, ... ქ. #87-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთების ღია ტიპის აუქციონის წესით გასხვისების

ნაწილში გაუქმება, აგრეთვე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განმკარგავი მუდმივმოქმედი კომისიის 2006 წლის 8 სექტემბრის ოქმის გაუქმება აუქციონში გამარჯვებულად ე. გ-მის, ე. ო-მისა და ტ. წ-მის ცნობის ნაწილში, ასევე, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმება და სადავო მიწის ფართის გამოთავისუფლება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინებით მ. ც-მისა და სხვათა წარმომადგენელ ი. დ-მის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; ე. გ-მეს, ე. ო-მესა და ტ. წ-მეს აეკრძალათ ქ. ზესტაფონში, ... ქ. #87-ში მდებარე ტერიტორიაზე, შესაბამისად, 2006 წლის 8 სექტემბრის ღია ტიპის აუქციონზე შეძენილ 22 კვ.მ, 22 კვ.მ და 29 კვ.მ მიწის ნაკვეთებზე, მშენებლობის წარმოება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ც-მისა და სხვათა სასარჩელო განცხადებას უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ც-მემ, თ. ლ-მემ, ნ. ს-მემ, ე. ც-მემ, ნ. ჭ-მემ და ჯ. ც-მემ, რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის განჩინებით მ. ც-მის, თ. ლ-მის, ნ. ს-მის, ე. ც-მის, ნ. ჭ-მისა და ჯ. ც-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. ც-მემ, თ. ლ-მემ, ნ. ს-მემ, ე. ც-მემ, ნ. ჭ-მემ და ჯ. ც-მემ, რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ც-მის, თ. ლ-მის, ნ. ს-მის, ე. ც-მის, ნ. ჭ-მისა და ჯ. ც-მის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 14 სექტემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 21 ნოემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ნოემბრის განჩინებით მ. ც-მის, თ. ლ-მის, ნ. ს-მის, ე. ც-მის, ნ. ჭ-მისა და ჯ. ც-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2008 წლის 17 იანვარს, 11.00 საათზე.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორებმა -ე. და ჯ. ც-მეებმა წარმოადგინეს ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, რომლითაც უარი განაცხადეს საკასაციო საჩივარზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა ე. და ჯ. ც-მეების განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის თაობაზე და მიაჩნია, რომ აღნიშნული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და მ. ც-მის, თ. ლ-მის, ნ. ს-მის, ე. ც-მის, ნ. ჭ-მისა და ჯ. ც-მის საკასაციო საჩივარზე ე. და ჯ. ც-მეების ნაწილში უნდა შეწყდეს წარმოება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. იმავე კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლენაა, რომლის მიხედვითაც მხარეები არა მარტო იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, არამედ მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს -ცნოს სარჩელი, ამასთან, ფიზიკური პირის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო შეწყვეტს

საკასაციო საჩივარზე წარმოებას და არ ამოწმებს საკასაციო საჩივარზე უარის თქმის კანონიერებას, თუ წარმოდგენილია ამის თაობაზე ნოტარიულად დამოწმებული განცხადება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო-სათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ე. და ჯ. ც-ძეებს განუმარტავს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, ე. და ჯ. ც-ძეების ნაწილში ზემოხსენებულ საკასაციო საჩივარზე წარმოების შეწყვეტის შემდეგ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. და ჯ. ც-ძეების განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. შეწყდეს მ. ც-ძის, თ. ლ-ძის, ნ. ს-ძის, ე. ც-ძის, ნ. ჭ-ძისა და ჯ. ც-ძის საკასაციო საჩივარზე წარმოება ე. და ჯ. ც-ძეების ნაწილში;
3. ე. და ჯ. ც-ძეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

#ბს-658-567-კ-04 12 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე

ნ. სხირტლაძე

განხილვის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 17 ივნისს სს "ეზასმა" სარჩელი აღძრა თბილისის საოლქო სასამართლოში მოპასუხე რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიმართ, მესამე პირად მიუთითა საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე და მიყენებული ზიანის -631955 ლარის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით სს "ეზასის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს "ეზასმა", რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 10 ივლისის განჩინებით სს "ეზასის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -გააუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სს "ეზასის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციას სს "ეზასის" სასარგებლოდ მიყენებული ზიანის - 313936 ლარის გადახდა დაეკისრა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ და სს "ეზასმა" საკასაციო წესით ცალ-ცალკე გაასაჩივრეს.

2004 წლის 23 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას განცხადება-შუამდგომლობით მიმართა და მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის 2004 წლის 28 ივლისის #26-4-5/3/1680 წერილის თანახმად, სს "ეზასის" ამ საქმესთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის მოკვლევათი ღონისძიებები მიმდინარეობდა, რაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრებზე წარმოების შეჩერების საფუძველი იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; საკასაციო საჩივრებზე შეჩერდა წარმოება სისხლის სამართლის წესით წარმოებული ზემოაღნიშნული საქმის საბოლოოდ დასრულებამდე.

2007 წლის 28 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა შუამდგომლობა, რომლითაც მოითხოვა შესაბამისი მტკიცებულებების გამოთხოვა და საქმის წარმოების განახლება, ამასთანავე, ხსენებულმა სამსახურმა შუამდგომლობას დაურთო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2007 წლის 19 ივნისის #12/4/8-767 პასუხი ამავე სამსახურის 2007 წლის 28 მაისის #16-01/10/4579 წერილზე, რომლის მიხედვითაც, ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე ერიცხებოდა ყოფილი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის გამომიებელს, ხოლო სხვა მონაცემები ამ საქმესთან დაკავშირებით, ამავე სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ოპერატიული აღრიცხვის სამმართველოს არ გააჩნდა. აღნიშნულმა სამსახურმა შუამდგომლობას ასევე დაურთო იმავე სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის უფროსი გამომიებლის 2007 წლის 17 მაისის #16-03/5/3/4-566 წერილი, რომლის თანახმად, 2004 წლის 20 აგვისტოს სს "ეზასის" საქმიანობის ამსახველი მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა ყოფილი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტში #03596 სისხლის სამართლის საქმეზე დასართავად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ივლისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა სს "ეზასის" სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებული საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდს გამო.

2008 წლის 12 მარტს სს "ეზასის" წარმომადგენელმა ი. ჟ-ნტმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და აღნიშნა, რომ მოცემულმა დავამ მოსარჩელე სს "ეზასისთვის" დაკარგა ინტერესი, რის გამოც მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა მოსარჩელე სს "ეზასის" მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო სს "ეზასის" წარმომადგენელ ი. ჟ-ნტის განცხადებას სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ხსენებული კოდექსის მე-3 მუხლის (დიდპოზიციურობის პრინციპი) შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. იმავე კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად, თავიანთი შეხედულებისამებრ განკარგონ საკუთარი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-

ერთი გამოვლენაა, რომლის მიხედვითაც მხარეები არა მარტო იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, არამედ მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი, ამასთან, კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას და არ ამოწმებს სარჩელზე უარის თქმის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, ამ შემთხვევაში საკასაციო საჩივრები წარმოდგენილი აქვთ სამ კასატორს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს (უფლებამონაცვლე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციას, რომლის უფლებამონაცვლეა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) და სს "ეზას", მაგრამ, ვინაიდან სს "ეზასის" წარმომადგენელმა ი. ჟ-ნტმა სარჩელზე უარის თქმით მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზება, აღნიშნული, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, ვინაიდან სასამართლოს საპროცესო უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლით, რომლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სს "ეზასის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციას სს "ეზასის" სასარგებლოდ მიყენებული ზიანის – 313936 ლარის გადახდა დაეკისრა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სს "ეზასის" სარჩელზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება მოსარჩელე სს "ეზასის" მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლო განუმარტავს მხარეებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო განუმარტავს მხარეებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. სს "ეზასის" წარმომადგენელ ი. ჟ-ნტის განცხადება სარჩელზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება;
3. სს "ეზასის" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) შორის დავაზე საქმის წარმოება შეწყდეს;
4. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე დავაზე, იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

#ბს-390-375(23-08)

29 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტმა მ. კ-მემ 2006 წლის მაისში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირთან კოლექტიური მოლაპარაკების წარმოების დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირთან კოლექტიური მოლაპარაკების წარმოება დარგობრივი შეთანხმების დადების მიზნით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა – უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად; მხარეებს განესაზღვრა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 2008 წლის 22 მაისის განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მიუთითა, ვინაიდან შედგა შეთანხმება მათსა და მოსარჩელეს შორის და იგეგმება მოლაპარაკების წარმოება სადავო საკითხზე, აღნიშნული დავის გაგრძელების მიმართ დაკარგეს ინტერესი და უარს ამბობენ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადების განხილვის შედეგად თვლის, რომ განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს საკასაციო საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

ვინაიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივრის განხილვაზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მისი განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოება უნდა შეწყდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 378-ე და 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ;
2. შეწყდეს მოცემულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოება;
3. საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

#ბს-767-354(კ-05) 16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ქონების რეკვიზიცია

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 15 დეკემბერს ქ. თბილისის მერიამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის დ. ბ-შვილის მიმართ ბინიდან გამოსახლების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის, "საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" ორგანული კანონისა და ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 28 თებერვლის #23 გადაწყვეტილების შესაბამისად, დ. ბ-შვილების ოჯახის საცხოვრებელი ბინიდან იძულებით გამოყვანას სანაცვლო ბინის ან ფულადი კომპენსაციის მიცემით.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 18 ივნისის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება შპს "ცენტრ პოინტ ჯგუფი".

მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა სათანადო ფულადი ანაზღაურების 1 კვ.მ 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის ეროვნულ ვალუტაში გადახდის შემდეგ მოპასუხე დ. ბ-შვილს ჩამორთმეოდა საკუთრების უფლება ქ. თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე ავარიულ სახლზე, მის სახელზე აღრიცხულ საცხოვრებელ და დამხმარე, სულ -68,22 კვ.მ-ზე; დ. ბ-შვილი გამო-სახლებულ ყოფილიყო მასთან ერთად მცხოვრებ პირებთან ერთად.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა -მოპასუხე დ. ბ-შვილს ქ. თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე ავარიულ სახლზე საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, სათანადო ფულადი ანაზღაურების (1კვ.მეტრზე 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის ეროვნულ ვალუტაში) მიცემის შემდეგ ჩამოერთვა საჯარო რეესტრში მის სახელზე აღრიცხული უძრავი ქონება - ბინა საცხოვრებელი და დამხმარე ფართით, რაც მთლიანობაში შეადგენდა 68,22 კვ.მ-ს და დ. ბ-შვილი გამოსახლდა ზემოაღნიშნული ბინიდან თანმხლებ პირებთან ერთად.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა დ. ბ-შვილის წარმომადგენელმა მ. ბ-შვილმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26

ივლისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 29 სექტემბრის საოქმო განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება, ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარზე, მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) -დ. ბ-შვილის საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

2007 წლის 10 ივლისს ქ. თბილისის მერიამ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კასატორ -ქ. თბილისის მერიის განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მისი შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა შეწყდეს საქმის წარმოება ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში კასატორმა -ქ. თბილისის მერიამ უარი განაცხადა რა საკასაციო საჩივარზე, გამოხატა ნება თავისი საპროცესო უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე მხარის ნების შეუზღუდავი გამოვლენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, თუ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ არსებული ნორმები განსხვავებულ დებულებებს არ ითვალისწინებს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ანალოგიის პრინციპის გამოყენებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" პუნქტზე, რომლის შესაბამისადაც, საქმის წარმოება წყდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე და განმარტავს, რომ მითითებულ პუნქტს საფუძვლად უდევს დისპოზიციურობის პრინციპი, კერძოდ, პირის შესაძლებლობა, განკარგოს საკუთარი პროცესუალური უფლებები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს, თვლის, რომ ქ. თბილისის მერიის მხრიდან სარჩელზე უარის თქმა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

აქვე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, დაუშვებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება;
3. კასატორს განემარტოს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს იგივე გადაწყვეტილება საკასაციო წესით;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

#ბს-1051-1004(კ-07წ) 29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: მოპასუხეებისათვის სოლიდარულად თანხის დაკისრების შესახებ

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გამოარკვია:

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა: ე. ც-ძემ, ს. კ-ძემ, ე. დ-ძემ, გ. კ-ძემ და მ. ც-ძემ სარჩელი აღძრეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხეების -ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ... მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობისა და ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს მოპასუხეებისათვის სოლიდარულად თანხის ანაზღაურების დაკისრება.

საქმის გარემოებები:

ხელვაჩაურის რ-ნში აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს სრულყოფილიანი წარმომადგენლის 1992 წლის #378 განკარგულებით დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის რ-ნის მეცხოველეობის სახელმწიფო სანაშენე მეურნეობის მოთხოვნა და მეცხოველეობის ფერმაში შესასვლელი გზის მარცხენა მხარეს, საბავშვო ბაგა-ბაღის ტერიტორიის მახლობლად, საფირმო მაღაზიის აშენების უფლება მიეცა. 1994 წლის 5 იანვარს ხელვაჩაურის რ-ნის მეცხოველეობის ფერმასა და საინიციატივო ჯგუფს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საფირმო მაღაზიის აშენების შესახებ. მოსარჩელეთა განმარტებით, მათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულეს ერთ წელიწადში, მშენებლობა აწარმოეს სანიტარული, სახანძრო და ეკოლოგიური ნორმების დაცვით, სამშენებლო მასალების შესყიდვა და თანხების ხარჯვა ხორციელდებოდა მეურნეობის დირექტორთან შეთანხმებით. მშენებლობის დასრულების შემდეგ მოითხოვეს მშენებლობაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. მშენებლობის დამკვეთს არ გააჩნდა შესაბამისი თანხა და არც ობიექტი გაუშვია ექსპლუატაციაში. მოპასუხე ორგანიზაცია მოსარჩელეებს ჰპირდებოდა, რომ მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებდა მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, როცა ამის საშუალება ექნებოდათ.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

2002 წელს ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობამ შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიღების გარეშე, მეურნეობის დირექტორთან შეთანხმებით, დაანგრია მათ მიერ აშენებული შენობა. მოსარჩელეებმა აღნიშნეს, რომ მოპასუხეები ადასტურებდნენ მათი მოთხოვნის კანონიერებას. ფინანსთა სამინისტროში განკარგულების პროექტიც შედგა მათთვის სადავო თანხის გამოყოფის თაობაზე, თუმცა ამ კანონით დადგენილი წესით არ დამტკიცებულა.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელეებმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317.1, 361-ე მუხლების საფუძველზე, მოითხოვეს მოპასუხეების მიერ სოლიდარულად 14,725 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარის გადახდა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს -ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ... მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობასა და ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელეთა სასარგებლოდ

14,725 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მოსარჩელეთა სასარგებლოდ, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

აჭარის ა/რ სრულყოფილებიანი წარმომადგენლის 1992 წლის #378 განკარგულებით დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის რ-ნის მეცხოველეობის სახელმწიფო სანაშენე მეურნეობის მოთხოვნა და მეცხოველეობის ფერმაში შესასვლელი გზის მარცხენა მხარეს, საბავშვო ბაგა-ბაღის ტერიტორიის მახლობლად, საფირმო მაღაზიის აშენების უფლება მიეცა. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, 1994 წლის 5 იანვარს ხელვაჩაურის რ-ნის მეცხოველეობის ფერმასა და საინიციატივო ჯგუფს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, საინიციატივო ჯგუფს უნდა აეშენებინა მაღაზია. საინიციატივო ჯგუფმა თავისი ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, ჯიშსაშენი მეურნეობის მიერ გამოყოფილ ადგილზე აშენდა მაღაზია შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების მეურნეობის დირექტორთან შეთანხმებით, რისთვისაც მშენებელთა საინიციატივო ჯგუფის მიერ გაწეულ იქნა ხარჯები -14,725 აშშ დოლარი. მშენებლობა მიმდინარეობდა ასევე სხვა საჭირო ნებართვების შესაბამისად.

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 408-ე, 409-ე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლები და განმარტა, რომ აღნიშნულ ნორმათა საფუძველზე სასარჩელო მოთხოვნა ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, ვინაიდან ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მიერ უკანონოდ დაინგრა საინიციატივო ჯგუფის მიერ აშენებული შენობა, ხოლო ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას გადაწყვეტილება აღნიშნული შენობის დანგრევის თაობაზე კანონის შესაბამისად არ მიუღია. ამასთან, არ მომხდარა არანაირი მსჯელობა არც სასამართლო ინსტანციებში და არც სხვა უწყებებში შენობის არსებობის კანონიერებასა და უკანონობაზე. შენობის დემონტაჟი მოხდა ხელვაჩაურის რ-ნის იმჟამინდელი გამგებლის სიტყვიერი განკარგულების საფუძველზე.

რაც შეეხება 2002 წლის 5 მარტს ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის წარმომადგენელთა მიერ შედგენილ აქტს, სასამართლოს განმარტებით, ის არ შეიძლება მიჩნეულიყო რაიმე დამადასტურებელ მტკიცებულებად. აქტის შედგენა შეიძლება გამხდარიყო საფუძველი შენობის დანგრევის თაობაზე მსჯელობის დაწყებისა და არა დანგრევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა. ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მიმართ მოთხოვნის კანონიერებას ადასტურებდა ხელვაჩაურის რ-ნის გამგებლის - ჯ. ა-ძის წერილები აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს მიმართ, საიდანაც ჩანდა, რომ გამგეობა, ფაქტობრივად, აღიარებდა საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნის კანონიერებას და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვდა საინიციატივო ჯგუფის სასარგებლოდ საკომპენსაციო თანხების გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, ასევე აჭარის ა/რ ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 23 აპრილის წერილი, რომლითაც ირკვეოდა, რომ არსებობდა თანხების გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც დარჩა განუხორციელებელი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ... მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობა "კახაბერმა", რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, რაიონულმა სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა მხოლოდ მოსარჩელების მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ყოფილი დირექტორის განმარტებების საფუძველზე და არ გაითვალისწინა სახელმწიფო ინტერესი. რაიონულმა სასამართლომ სრულყოფილად არ შეაფასა 1994 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, ასევე ყოფილი დირექტორის - გ. ბ-ძის მიერ დამტკიცებული აქტები, სადაც ხელს აწერდნენ დაინტერესებული პირები მაშინ, როცა იმ დროს ჯიშსაშენ მეურნეობას შტატით გათვალისწინებული ჰყავდა და მუშაობდა ინჟინერ-მშენებელი რ. კ-შვილი, რითაც ჩანდა, რომ ყველა აქტი დაწერილი იყო ერთი პირის მიერ. სასამართლომ ასევე არ გამოიკვლია, ჰქონდა თუ არა ჯიშსაშენ მეურნეობას დებულებით გათვალისწინებული მაღაზიის მშენებლობა.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 1995 წლის 30 ივნისამდე, ხოლო შენობის დანგრევის მომენტში შენობა დაუსრულებელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მითითებული ხელშეკრულება დადებული იყო 1994 წლის 5 იანვრიდან 2004 წლის 5 იანვრამდე, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ხელშეკრულება და სხვა შესაბამისი აქტები შედგენილი იყო შენობის დანგრევის შემდეგ. ამასთან, პროექტი არ იყო დამტკიცებული და არ არსებობდა გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. მაღაზიის ტერიტორია მოხვედრილი იყო აეროპორტის საფრენი ბილიკის გაფართოების ზოლში, სადაც აკრძალული იყო ყოველგვარი მშენებლობა. აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებული იყო იმ დროს ჯიშსაშენი მეურნეობის დირექტორსა და მისი ოჯახის წევრებს შორის. ამდენად, დირექტორის ქმედებაში არსებობდა სხვა დანაშაულის ნიშნები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ... მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობა "კახაბრის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ... მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობასა და ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას მოსარჩელეთა სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 7000 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. ც-დემ, ს. კ-დემ, ე. დ-დემ, გ. კ-დემ და მ. ც-დემ, რომლებმაც მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის განჩინებით ე. ც-დის და სხვათა, ასევე ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის საკასაციო საჩივრების საფუძველზე გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით მეცხოველეობის სახელმწიფო ჯიშაშენი საწარმო "კახაბრის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ც-დისა და სხვათა სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობა იცნობდა ზიანის ანაზღაურების ორ ძირითად ფორმას - ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე და დელიქტის საფუძველზე წარმოშობილ ზიანს. ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდნენ საინიციატივო ჯგუფის წევრები (მოსარჩელები) მეურნეობისაგან. გამგეობის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოადგენდა დელიქტის (ნაგებობის უკანონო დემონტაჟის) საფუძველზე წარმოშობილ ზიანს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელი იყო, იარსებებდა ქმედების მართლწინააღმდეგობა. საქმის მასალებით დადასტურდა, რომ შენობა აშენდა პროექტისა და ნებართვის გარეშე, რაც წარმოადგენდა მისი დემონტაჟის საფუძველს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დადგომისათვის უნდა არსებულიყო ზიანის მიმყენებლის ბრალი. სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ ბათუმის საქალაქო პროკურორის დადგენილებით დასტურდებოდა, რომ შენობის დემონტაჟის წინააღმდეგი არ იყო მისი ფორმალური მესაკუთრე ჯიშაშენი მეურნეობის დირექტორი. ამდენად, არ იკვეთებოდა მოხელეთა ბრალი ზიანის მიყენებაში.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ეს ზიანი. მოცემულ შემთხვევაში, შენობა აშენებული იყო პროექტისა და ნებართვის გარეშე, რაც წარმოადგენდა დემონტაჟის საფუძველს. ამდენად, არ არსებობდა არც მართლსაწინააღმდეგო და არც ბრალეული ქმედება, რაც გამორიცხავდა სსკ-ის 1005.1. მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. დ-დემ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და უკანონოა. იგი მიღებულია საპროცესო ნორმათა არსებითი დარღვევით. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად განმარტა კანონი. სასამართლომ არ შეასრულა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის განჩინებაში გათვალისწინებული მითითებები. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა ბათუმის საქალაქო პროკურატურის 2004 წლის 26 ნოემბრის დადგენილება. აღნიშნული ვერ გახდებოდა ობიექტის კანონიერად დანგრევის მტკიცების საფუძველი, ვინაიდან, როგორც დადგენილებიდან ჩანდა, მასში საუბარი იყო ხელვაჩაურის რ-ნის ყოფილი გამგებლის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით. პროკურატურამ მხოლოდ სისხლისსამართლებრივი კუთხით გამოიკვლია გამგებლის ქმედება, ხოლო მოქმედებდა თუ არა ხელვაჩაურის გამგეობა, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ამის შესახებ დადგენილებაში არაფერი იყო მითითებული. ამდენად, აღნიშნული დადგენილება ვერ გახდებოდა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მშენებლობის დანგრევა კანონიერად განხორციელდა.

კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობაზე მიუთითებს ასევე 1994 წლის 5 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 პუნქტი. აღნიშნული პუნქტის ბოლო ნაწილის შესაბამისად, ჯიშაშენი მეურნეობა იღებს ვალდებულებას, მშენებლობის ხარჯების ანაზღაურებამდე, მაღაზიის ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან საინიციატივო ჯგუფს გადაუხადოს ქირა, დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობამ აღნიშნულის უფლებაც მოუსპო საინიციატივო ჯგუფის წევრებს თავისი უკანონო ქმედებით, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მათ.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის განჩინებით ე. დ-დის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "გ" პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა ე. დ-დემ წარმოადგინა წერილობითი განცხადება, რომლის მიხედვით, მან და თანამოსარჩელებმა: ე. და მ. ც-ძეებმა, გ. და ს. კ-ძეებმა უარი

განაცხადეს სარჩელის მოთხოვნის ნაწილზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ. კასატორმა ჯიშაშენი საწარმო "კახაბერის" მიმართ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება და მისთვის 14725 აშშ დოლარის დაკისრება მოსარჩელეთა სასარგებლოდ.

მოსარჩელეთა საპროცესო უფლების -სარჩელზე უარის თქმის, რელიზაციას საკასაციო სასამართლოში დაეთანხმა მოწინააღმდეგე მხარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ე. დ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და ე. დ-მისა და სხვათა სარჩელის ნაწილზე ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მიმართ, შეწყდეს საქმის წარმოება სარჩელზე უარის თქმის გამო, ხოლო ე. დ-მისა და სხვათა სარჩელი ჯიშაშენი საწარმო "კახაბერის" მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის "ა" და "ე" პუნქტების მოთხოვნები; სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

სააპელაციო სასამართლოს სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისას არ უმსჯელია სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების თაობაზე, მაშინ, როცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლი ცალსახად განსაზღვრავს სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ნაგებობის დემონტაჟის საკითხში ადმინისტრაციულ ორგანოსთან ერთად კერძოსამართლის სუბიექტის სოლიდარული პასუხისმგებლობის წარმოშობას. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონო ნაგებობის დემონტაჟი წარმოადგენს ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებას. ნაგებობის მესაკუთრეს წარმოადგენდა ჯიშაშენი საწარმო "კახაბერი", რომელთანაც მოსარჩელებს აკავშირებდათ სახელშეკრულებო ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სუბიექტთა სოლიდარული ვალდებულება უმეტესად დამახასიათებელია სამოქალაქო ბრუნვისათვის, როდესაც ურთიერთობის ერთ მხარეზეა რამდენიმე მოვალე, მეორე მხარეს კრედიტორი. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა საჯაროსამართლებრივ სივრცეში, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, რომლის მოქმედების კანონიერების შემოწმების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნდა სწორედ ჯიშაშენ საწარმო "კახაბერს", როგორც ნაგებობის მესაკუთრეს და არა საწარმოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ ფიზიკურ პირებს.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში ადგილი არა აქვს სოლიდარული პასუხისმგებლობისათვის სავალდებულო მოვალეთა სიმრავლეს ვალდებულებაში, რაც სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი არ ყოფილა, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393.2. მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელე ე. დ-მემ უარი განაცხადა სარჩელის მოთხოვნის ნაწილზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, რასაც დაეთანხმნენ თანამოსარჩელები და მოწინააღმდეგე მხარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი. ამდენად, მოსარჩელებმა სარჩელის მოთხოვნის ნაწილზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ მოითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელებმა, უარი თქვეს რა სარჩელის მოთხოვნის ნაწილზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, ამგვარად გამოხატეს ნება თავიანთი საპროცესო და მატერიალური უფლების რელიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე ფიზიკური პირების ნების შეუზღუდავი გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ე. დ-მისა და სხვათა სარჩელის ნაწილზე, მოპასუხე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის სსკ-ის 272 "გ" მუხლის საფუძველზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება, მოსარჩელეთა მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე, დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ე. დ-მისა და სხვათა სარჩელი ჯიშაშენი საწარმო "კახაბრის" მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს უფლებამოსილ ქუთაისის საპედაგოგო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საინიციატივო ჯგუფის წევრების -ე. ც-მის, ს. კ-მის, ე. დ-მის, გ. კ-მისა და მ. ც-მის სარჩელი თავდაპირველად მიმართული იყო, მოპასუხეების - ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ... მეცხოველეობის სანაშენი სახელმწიფო მეურნეობისა და ადმინისტრაციული ორგანოს ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოსარჩელები მოითხოვდნენ მოპასუხეებისათვის სოლიდარულად თანხის ანაზღაურების დაკისრებას. იმ ვითარებაში, როცა საქმის წარმოება მოპასუხე ხელვაჩაურის რ-ნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ შეწყდა, მოსარჩელეთა მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, მოცემული დავა არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას და იგი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რამდენადაც, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სა-ართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხე კერძო სამართლის იურიდიული პირის ჯიშაშენი საწარმო "კახაბრისათვის" თანხის ანაზღაურების დაკისრება, რაც წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელიც გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, არამედ, კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, კერძოდ, სწორედ სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სამოქალაქო საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს სამართლებრივ ურთიერთობას, ასე მაგალითად, სსს კოდექსის 11.1. "ა" მუხლის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას აღარ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი არც ერთი ელემენტი, კერძოსამართლებრივი დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და სარჩელი არ არის მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26-ე), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1. მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუზღავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე "ა" მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ე. დ-მის სარჩელი მოპასუხე ჯიშსაშენი საწარმო "კახაბერის" მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 272-ე, 390-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. დ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება;
3. ე. დ-მის და სხვათა სარჩელის ნაწილზე ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მიმართ შეწყდეს საქმის წარმოება, სარჩელზე უარის თქმის გამო;
4. ე. დ-მის და სხვათა სარჩელი ჯიშსაშენი საწარმო "კახაბერის" მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
5. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

#ბს-508-486(კ-08) 31 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სამივლინებო დღიური ხარჯების დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

02.03.05წ. გ. დ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მის სასარგებლოდ სამივლინებო დღიური ხარჯების დავალიანების -5425 აშშ დოლარის (ეროვნულ ვალუტაში -11332 ლარი)

გადახდის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის დროს სწავლობდა ქ. კიევში, უკრაინის ნაციონალურ აკადემიაში, დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ აკადემიაში. 1999, 2000 და 2002 წლებში, სწავლასთან დაკავშირებით, იგი იმყოფებოდა მივლინებაში ქ. კიევში, კერძოდ, 1999 წლის 29 ოქტომბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით (63 დღე), 2000 წლის 21 სექტემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით (51 დღე), და 2002 წლის 19 მარტიდან 24 ივნისის ჩათვლით (104 დღე), სულ -218 დღე. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 38-ე და 39-ე მუხლების თანახმად, მოსამსახურეს ჰქონდა უცხოეთში გრძელვადიანი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება, მაგრამ მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოსარჩელეს აღნიშნულ წლებში მივლინების მხოლოდ გზის და ბინის ქირის ხარჯები გადაუხადა, ხოლო სამივლინებო დღიური ხარჯები, რაც საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 4 აპრილის #220 ბრძანებულების #3 დანართის შესაბამისად, ერთ დღეზე შეადგენდა 25 აშშ დოლარს და რაც 218 დღეზე იყო 5425 აშშ დოლარი, მისთვის არ აუნაზღაურებიათ. მოსარჩელის მტკიცებით, მან არაერთხელ მიმართა მოპასუხეს თანხის მიღების მოთხოვნით, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თავისი პასუხით აღიარებდა მოსარჩელის მიმართ ვალს და ჰპირდებოდა მის გადახდას, მაგრამ დღემდე არ აქვს გადახდილი. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ ვალის აღიარება უნდა ჩათვლილიყო საკმარის მტკიცებულებად.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 25.03.05წ. განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.12.05წ. გადაწყვეტილებით გ. დ-იას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე გ. დ-იას სასარგებლოდ დაეკისრა სამივლინებო თანხის ანაზღაურება 5425 აშშ დოლარის ოდენობით, რაც ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 11332 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.12.05წ. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.12.06წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა -უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.12.05წ. გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.12.06წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 27.06.07წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.12.06წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.01.08წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.12.05წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. დ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5425 აშშ დოლარის სამივლინებო თანხის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.01.08წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 16.05.08წ. განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი. მხარეებს უფლება მიეცათ აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით.

17.07.08წ. გ. დ-იამ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც უარი თქვა სასარჩელო მოთხოვნაზე და საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა გ. დ-იას შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რის შესაბამისადაც მხარე უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მოსარჩელემ, ფიზიკურმა პირმა -გ. დ-იამ განაცხადა რა უარი სარჩელზე, გამოხატა ნება თავისი საპროცესო უფლების განსაკარგავად, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება წყდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ასკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს და არა ფიზიკური პირის მიერ სარჩელზე უარის თქმის განცხადებაზე.

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. დ-იას განცხადება სარჩელზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.01.08წ. გადაწყვეტილება, გ. დ-იასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებულ დავაზე საქმის წარმოება შეწყდეს;

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა სარჩელით იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა კერძო საჩივარზე უარის გამო

განჩინება

#ბს-830-798(2კს-08) 12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ტ. ლ-შვილისა და თ. ნ-შვილის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინებაზე შეტანილ კერძო საჩივარზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა, საქმეზე ტ. ლ-შვილისა და თ. ნ-შვილის სარჩელისა გამო მოპასუხე ქ. რუსთავის მთავრობის (უფლებამონაცვლე თვითმმართველის ქალაქი რუსთავის მერია) მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

სასამართლომ გამოარკვია:

ტ. ლ-შვილმა და თ. ნ-შვილმა 2003 წლის ივნისში სარჩელით მიმართეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ქ. რუსთავის მთავრობის მიმართ და მოითხოვეს ქ. რუსთავის მთავრობის 2003 წლის 10 მარტის #49, 8 აპრილის #75 დადგენილებებისა და 14 აპრილის #39/კ განკარგულების ბათილად ცნობა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2004 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები: ქ. რუსთავის მთავრობის #49 და #75 დადგენილებები და ქ. რუსთავის მერიის #39 განკარგულება მიღებულია და გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის

გამოც სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები და მოპასუხეს დაევალა, სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა შესაბამისად ახალი ადმინისტრაციული აქტები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ქ. რუსთავის მთავრობამ. მოცემული დავა არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში.

ტ. ლ-შვილმა და თ. ნ-შვილმა 2005 წლის 29 მარტს განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას და მოითხოვეს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 31 მარტის განჩინებით აღნიშნული განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის 2005 წლის 31 მარტის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ტ. ლ-შვილმა და თ. ნ-შვილმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 მაისის განჩინებით ტ. ლ-შვილისა და თ. ნ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 31 მარტის განჩინების ის ნაწილი, რომლითაც უარი ეთქვათ განმცხადებლებს ქ. რუსთავის მთავრობის 2003 წლის 8 აპრილის #75 დადგენილების მოქმედების შეჩერებაზე და შეჩერდა ქ. რუსთავის მთავრობის 2003 წლის 8 აპრილის #75 დადგენილების მოქმედება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2008 წლის 5 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტზე, რომლითაც შეჩერდა ქ. რუსთავის მთავრობის 2003 წლის 8 აპრილის #75 დადგენილების მოქმედება, გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულომ 2008 წლის 24 ივნისს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განახორციელოს რუსთავის თვითმმართველობამ #75 დადგენილების მოქმედების შეჩერება, როცა აღნიშნული დადგენილებით რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ლიკვიდაციის პროცესი დასრულებულია 2003 წელს; მოქმედების შეჩერება კი გულისხმობს, რომ რუსთავის თვითმმართველობას უფლება არ აქვს განახორციელოს რაიმე ქმედება აღნიშნული დადგენილების მიმართ, რაც რეალურად ხორციელდება კიდევ. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა იმ სამართლებრივი შედეგების განმარტება, რაც მოყვება #75-ე დადგენილების მოქმედების შეჩერებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განჩინებით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 მაისის განჩინების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინებით ტ. ლ-შვილის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 10 ივნისისა და 5 ივლისის განჩინებებზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრეს ტ. ლ-შვილმა და თ. ნ-შვილმა.

ტ. ლ-შვილმა და თ. ნ-შვილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას მიმართეს განცხადებით, რომლითაც უარს აცხადებენ კერძო საჩივრის განხილვაზე; მათ ასევე შუამდგომლობით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც მოითხოვეს საქმის წარმოების შეჩერება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე; შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, კერძოდ, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებაზე გაცემულ სააღსრულებო ფურცლის აღსრულებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. ასევე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს ქ. რუსთავის მთავრობის 2003 წლის 8 აპრილის #75 დადგენილების ნამდვილობასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ტ. ლ-შვილისა და თ. ნ-შვილის განცხადება კერძო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც

დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის მიხედვით სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. საკასაციო პალატა ასევე თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია ტ. ლ-შვილისა და თ. ნ-შვილის კერძო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება და განმარტავს, რომ კერძო საჩივარზე უარის თქმით მათ ერთმევათ უფლება, კვლავ გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოს განჩინება; ასევე მათი კერძო საჩივრის თაობაზე შეწყვეტილ უნდა იქნეს საქმის წარმოება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. საკასაციო პალატა თვლის, რომ ტ. ლ-შვილმა და თ. ნ-შვილმა საქმის წარმოების შეჩერების შუამდგომლობაში ვერ დაასაბუთეს ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად რატომ არის შეუძლებელი რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის კერძო საჩივრის განხილვა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მისი დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 279-ე, 378-ე, 419-420-ე მუხლებით, და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს ტ. ლ-შვილისა და თ. ნ-შვილის განცხადება კერძო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ;
2. შეწყდეს ტ. ლ-შვილისა და თ. ნ-შვილის კერძო საჩივრის წარმოება;
3. განემარტოთ მხარეებს, რომ მათ ერთმევათ უფლება, კვლავ გაასაჩივრონ კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინება;
4. არ დაკმაყოფილდეს ტ. ლ-შვილისა და თ. ნ-შვილის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

#ბს-1080-1042(კ-08) 16 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის განცხადების გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებაზე ამავე სამსახურის საკასაციო საჩივრის წარმოების შეწყვეტის საკითხი.

2007 წლის 25 აპრილს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა შპს "ავიატორის"

სახელზე 14500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების შესახებ სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელს უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირებად ჩაეზღწეა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და შპს "ბათუმის აეროპორტი".

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაეზღწეა შპს "ავიატორი".

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 2005 წლის 21 ოქტომბრის სარეგისტრაციო ჩანაწერი შპს "ავიატორის" სახელზე 14500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2008 წლის 15 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და უარი ეთქვა საკასაციო საჩივარზე.

საკასაციო სასამართლო კასატორის განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ხსენებული კოდექსის 378-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შემდეგაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი ეთქვა სარჩელზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი ეთქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურმა საკასაციო საჩივარზე უარის თქმით მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლება-მოსილია, საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი ეთქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე და 272-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს საკასაციო საჩივრის წარმოება.

საკასაციო სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 378-ე მუხლის თანახმად, მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით აღარ შეიძლება, ხოლო საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, კასატორს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 378-ე, 372-ე, 272-ე მუხლებით, 273-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. მოცემულ საქმეზე შეწყდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივრის წარმოება;

3. მხარეებს განემარტოთ, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით აღარ შეიძლება; კასატორს განემარტოს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მორიგების გამო

განჩინება

#ბს-13-13(კ-08)

22 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 11 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა "#44 ამხანაგობამ" მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მერიის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანებით მას ჩამოერთვა საკუთრების უფლება. მოსარჩელემ მოითხოვა ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების ბათილად ცნობა. აღნიშნული ბრძანების მოქმედების შეჩერება მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე; ყველა იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმება, რომლებიც ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ჩანაწერების გაუქმება; ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხვა "#44 ამხანაგობის" სახელზე.

2007 წლის 29 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა "#44 ამხანაგობამ" და მოპასუხედ, ქ. ბათუმის მერიასთან ერთად, მიუთითა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური. მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მას უფლება ჰქონდა, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების

დამთავრებამდე შეეცვალა სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაედიდებინა, ან შეემცირებინა სასარჩელო მოთხოვნები. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ამცირებდა თავის მოთხოვნებს და აზუსტებდა სარჩელს.

მოსარჩელემ განმარტა, რომ იგი სადავოდ არ ხდიდა მოპასუხის -ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების იმ ნაწილს, რომლითაც ბათილად გამოცხადდა ქ. ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 1 აგვისტოს #11 ადმინისტრაციული მოსმენის საოქმო ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტები; ქ. ბათუმის მერიას არ ჰქონდა სამართლებრივი უფლება, მოეთხოვა მოსარჩელისათვის მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აშენებული საცხოვრებელი სახლის 10%-ის საცხოვრებელი ზინების სახით ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საკუთრების უფლებით გადაცემა.

მოსარჩელემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ "უმრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" კანონის 28-ე მუხლი გაუქმებული იყო და ამდენად, საჯარო რეესტრს არ ჰქონდა უფლება, განხორციელებინა მოსარჩელის სახელზე რიცხული ჩანაწერის გაუქმება; ამ სამართლებრივი გარემოების გამო, მოცემულ პროცესში მოპასუხის სახით უნდა ჩართულიყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური.

მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლზე და მოითხოვა ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, კერძოდ, ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტის (აზხაცის) ბათილობა, რომლითაც მისი ძალაში შესვლის დღიდან ბათილად გამოცხადდა ქ. ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 1 აგვისტოს #11 ადმინისტრაციული მოსმენის საოქმო ბრძანების პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურს დაევა ქ. ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის კაბინეტის 1992 წლის 18 დეკემბრის #1105 გადაწყვეტილების შესაბამისად, #44 ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაზე წითელი ხაზების გავლება "გლდანის" ტიპის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საჭირო მიწის ნაკვეთის ფართის გათვალისწინებით; ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების მე-2-6 პუნქტების ბათილად ცნობა; ყველა იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმება, რომლებიც ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების საფუძველზე იქნა განხორციელებული, კერძოდ: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ჩანაწერების გაუქმება; ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით "#44 ამხანაგობის" სახელზე აღრიცხვა; ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტების (აზხაცები) უცვლელად დატოვება, რომლებითაც მისი ძალაში შესვლის დღიდან ბათილად გამოცხადდა ქ. ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებლის, 2006 წლის 1 აგვისტოს #11 ადმინისტრაციული მოსმენის საოქმო ბრძანების მეორე და მესამე პუნქტები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით "#44 ამხანაგობის" სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტი და მე-2-6 პუნქტები; გაუქმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ჩანაწერი და ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღრიცხა "#44 ამხანაგობის" სახელზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა -უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 18 იანვრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის

მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 6 მარტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის განჩინები, ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2008 წლის 17 აპრილს, 12.00 საათზე.

მოცემული საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, კერძოდ, 2008 წლის 20 მაისს, კასატორმა ქ. ბათუმის მერიამ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა და "#44 ამხანაგობამ" საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინეს ერთობლივი განცხადება, რომელსაც დაურთეს მორიგების აქტი და აღნიშნეს, რომ ამ საქმეზე მხარეებს, ერთი მხრივ, ქ. ბათუმის მერიასა და მეორე მხრივ, "#44 ამხანაგობას" შორის 2008 წლის 16 მაისს გაფორმდა მორიგების აქტი, რომელიც ხელმოწერილ იქნა მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, ხოლო ისინი, როგორც მხარეები, ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია წარმოდგენილი მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმის წარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. განმცხადებლები ითხოვენ მხარეთა შორის 2008 წლის 16 მაისს გაფორმებული მორიგების აქტის დამტკიცებას.

მხარეთა შორის 2008 წლის 16 მაისს გაფორმებულ მორიგების აქტში აღნიშნულია შემდეგი:

"საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაშია #ბს-13-13(კ-08) ადმინისტრაციული საქმე ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივრის გამო, #44 ამხანაგობის მიმართ საქმეზე, @#44 ამხანაგობის სარჩელის გამო ქ. ბათუმის მერიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და ყველა იმ სამართლებრივი შედეგების გაუქმების თაობაზე, რომელიც განხორციელდა ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების საფუძველზე, კერძოდ: საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობის თაობაზე, რომლის მიხედვითაც გაუქმდა ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის #44 ამხანაგობის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების უფლება და აღნიშნული მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღირიცხა თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე.

მხარეები, ერთი მხრივ, "#44 ამხანაგობა" და მეორე მხრივ, თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანო -ქ. ბათუმის მერია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური შეთანხმდნენ და წინამდებარე მორიგების აქტს ვაფორმებთ შემდეგზე:

1. მხარეები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ #ბს-13-13(კ-08) საქმეს დაამთავრებენ მორიგებით შემდეგი პირობებით:

1.1. "#44 ამხანაგობა" კისრულობს შემდეგ უფლებებსა და ვალდებულებებს:

1.1.1. ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სავალდებულოა ააშენოს მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი.

1.1.2. საცხოვრებელი სახლის საერთო საცხოვრებელი ფართის 10% საცხოვრებელი ბინების სახით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადმოსცეს თვითმმართველ ქ. ბათუმს. საანგარიშო საერთო ფართში არ გაითვალისწინება საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული საერთო ფართი და ნულოვანი სართულების საერთო ფართი.

1.1.3. თვითმმართველ ქ. ბათუმისათვის ფართის გადმოცემა უნდა მოხდეს შემდეგ მდგომარეობაში: ბინის კონტურის კედლები; ბინის შიდა ტიხრები (შეთანხმებით); ელექტრო გაყვანილობა ბინაში; კედლის კონტურებისა და ტიხრების შელესვა და შეღებვა; ჩართული საკანალიზაციო ქსელები; იატაკის მოჭიმვა და ლამინატის დაგება (გარდა აბაზანის, ტუალეტის და სამზარეულოს ოთახებისა), მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები; ბინის შესასვლელი რკინის კარი; მოწესრიგებული სადარბაზო, ფასადი, სახურავი და ტერიტორიის კეთილმოწყობა;

1.1.4. მშენებლობა დაიწყოს წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა და დაასრულოს მშენებლობის დაწყებიდან არაუგვიანეს 36 თვისა. მშენებლობის დასრულება ნიშნავს საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში შეყვანას.

1.1.5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია შეიტანოს ცვლილებები მაღლივი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციაში, რომელიც არ იძლევა საფუძველს შესაბამისი სამსახურის მიერ პირველად შეთანხმებული პროექტის შესაბამისად თვითმმართველ ქ. ბათუმისათვის გადასაცემი ფართის შემცირებისათვის.

1.1.6. მიწის ნაკვეთი არ დატვირთოს სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა პირთა სასარგებლოდ იმდაგვარად, რითაც შეუძლებელი გახდება მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენება ან/და თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

1.1.7. "#44 ამხანაგობა" უფლებამოსილია ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით

არსებული წესით კომერციული ბანკებიდან აიღოს მიზნობრივი კრედიტი და საჭიროებისას იპოთეკით დატვირთოს აღნიშნული მიწის ნაკვეთი.

1.1.8. თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე არსებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე არ მოახდინოს ამხანაგობის ლიკვიდაცია.

1.1.9. ფორს-მაჟორულ სიტუაციად არ მოითხოვოს მისი ფინანსური სიმძნელების, საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან ურთიერთობის გამო დამდგარი შედეგების აღიარება.

1.2. ქ. ბათუმის მერია კისრულობს შემდეგ უფლებებსა და ვალდებულებებს:

1.2.1. ქ. ბათუმის მერია თანახმაა გაუქმდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც სადავო ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების საფუძველზე თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და იგი წინამდებარე მორიგების აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხოს "#44 ამხანაგობაზე".

1.2.2. 1.1.3. პუნქტის პირობების დაცვით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით მიიღოს საცხოვრებელი სახლის საერთო საცხოვრებელი ფართის 10% საცხოვრებელი ბინების სახით. საანგარიშო საერთო ფართში არ გაითვალისწინება საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული საერთო ფართი და ნულოვანი სართულების საერთო ფართი.

1.2.3. კანონმდებლობით გათვალისწინებული თავისი კომპეტენციის ფარგლებში უშუალოდ ან მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით ხელი შეუწყოს #44 ამხანაგობას 1.1.1. პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში, რაც არ გულისხმობს თვითმმართველ ქ. ბათუმის ორგანოების ან მისი სტრუქტურული ერთეულების ვალდებულებას განახორციელონ საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში რაიმე სახის ქონებრივი შენატანები.

1.3. განსაკუთრებული პირობები

1.3.1. #44 ამხანაგობა" ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესამე პირებზე განკარგვა ან/და მესამე პირზე შენობა-ნაგებობის აღმართვის უფლების მინიჭება მოახდინოს მხოლოდ წინამდებარე მორიგების აქტის 1.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნობრივი გამოყენების და თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე "#44 ამხანაგობის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების მესამე პირის მიერ შესრულების პირობით (მათ შორის 1.4. პუნქტით გათვალისწინებული მხარეთა პასუხისმგებლობისა და მოთხოვნათა უზრუნველყოფის პირობების მესამე პირის მიერ საკუთარ თავზე აღების პირობით), რაც ითვლება "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" 2005 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვად.

1.3.2. ეთხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს, წინამდებარე მორიგების აქტის 1.3.1. პუნქტის შესაბამისად ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში მოახდინოს შემდეგი შინაარსის შეზღუდვის რეგისტრაცია - "მიწის ნაკვეთის გასხვისება მესამე პირზე ან/და შენობა-ნაგებობის აღმართვის უფლების მინიჭება მესამე პირისათვის დასაშვებია მხოლოდ წინამდებარე მორიგების აქტის 1.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნობრივი გამოყენების და თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე #44 ამხანაგობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების მესამე პირის მიერ შესრულების პირობით".

1.3.3. 1.3.1. პუნქტის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად #44 ამხანაგობასა და მესამე პირს შორის დადებული ნებისმიერი გარიგება, რომელიც ითვალისწინებს წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე ან მის ნაწილზე საკუთრების უფლების გადასვლას მესამე პირზე ან/და მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აღმართვის უფლებას ანიჭებს მესამე პირს, არ ათავისუფლებს მესამე პირს წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენებისა და თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე #44 ამხანაგობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან, რადგან წინამდებარე მორიგების აქტის 1.3.1. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

1.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და მოთხოვნათა უზრუნველყოფა:

1.4.1. წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული 1.1.1. პუნქტის დარღვევისას ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილია წინამდებარე მორიგების აქტი წარადგინოს აღსასრულებლად. 1.1.1. პუნქტი დარღვეულად ჩაითვლება, თუ 1.1.4. პუნქტით განსაზღვრული მშენებლობის დასრულების ვადაში ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საერთოდ არ დაიწყება მშენებლობა.

1.4.2. წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული 1.1.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისას #44 ამხანაგობას ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრება თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე გადასაცემი საცხოვრებელი ბინების საერთო საბაზრო ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 1.1.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება "#44 ამხანაგობის" მიერ უნდა მოხდეს საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში

შესვლიდან სამი თვის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილია წინამდებარე მორიგების აქტი წარადგინოს აღსასრულებლად.

1.4.3. წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული 1.1.3. პუნქტების დარღვევისას “#44 ამხანაგობას” ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრება თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე გადასაცემი საცხოვრებელი ბინების საერთო საბაზრო ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 1.1.3. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება “#44 ამხანაგობის” მიერ უნდა მოხდეს საცხოვრებელი ბინების თვითმმართველ ქ. ბათუმისათვის გადაცემის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილია წინამდებარე მორიგების აქტი წარადგინოს აღსასრულებლად.

1.4.4. წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული 1.1.4. პუნქტის დარღვევისას “#44 ამხანაგობას” ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრება თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადასაცემი საცხოვრებელი ბინების საერთო საბაზრო ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თუ არ მომხდარა მხარეთა შეთანხმება მშენებლობის დაწყების ან დასრულების ვადების გაგრძელების თაობაზე.

1.4.5. წინამდებარე მორიგების აქტის 1.1.6. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში “#44 ამხანაგობას” ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრება თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადასაცემი საცხოვრებელი ბინების საერთო საბაზრო ღირებულების 0,05% არსებული მდგომარეობის განმავლობაში ყოველ თითოეულ დღეზე, ხოლო თუ აღნიშნული გაგრძელება სამ თვეზე მეტი ვადით ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილია, წინამდებარე მორიგების აქტი წარადგინოს აღსასრულებლად.

1.4.6. წინამდებარე მორიგების 1.3.1. პუნქტის დარღვევისას, როდესაც ხდება წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შეცვლა, “#44 ამხანაგობას” ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო მესამე პირთან დადებული ხელშეკრულების საერთო ფასის ოდენობით, ხოლო მესამე პირთან დადებული გარიგების უსასყიდლობისას ან/და როდესაც მესამე პირს ენიჭება მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აღმართვის უფლება, თვითმმართველ ქ. ბათუმისათვის წინამდებარე მორიგების აქტით #44 ამხანაგობის მიერ გადმოსაცემი (ასაშენებელი) საერთო ფართის საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით.

1.5. დადასტურება და სხვა პირობები:

1.5.1. ქ. ბათუმის მერია ადასტურებს, რომ იგი თანახმაა ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი წინამდებარე მორიგების აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხოს #44 ამხანაგობის” სახელზე.

1.5.2. “#44 ამხანაგობა” ადასტურებს, რომ წინამდებარე მორიგების აქტის პირობები შეესაბამება მის მიერ გამოვლენილ ნებას და მზადაა უზრუნველყოს საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული მიზნობრივი გამოყენება და თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულება;

1.5.3. წინამდებარე მორიგების აქტის 1.3.2. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის რეგისტრაციის მიზნით წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტი წარედგინოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს.

1.5.4. წინამდებარე მორიგების აქტის 1.3.1. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა უქმდება მხოლოდ “#44 ამხანაგობის” ან მესამე პირის მიერ ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენების შედეგად წინამდებარე მორიგების აქტის პირობების შესაბამისად აშენებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისა და თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადასაცემი (ასაშენებელი) ფართის საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შემდეგ, თუ არ იქნება მხარეთა სხვაგვარი შეთანხმება შეზღუდვის უფრო ადრე გაუქმების თაობაზე;

1.5.5. “#44 ამხანაგობის” მიერ მშენებლობის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აღების შემდეგ, მშენებლობის ნებართვის აღებიდან ოთხი თვის ვადაში მხარეების მიერ მოხდება შეთანხმება წინამდებარე მორიგების აქტით თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადმოსაცემი ბინების ზუსტი ადგილმდებარეობის (სადარბაზო, სართული, ბინის ნომერი და სხვა) განსაზღვრის შესახებ, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე მორიგების აქტის განუყოფელ ნაწილს და აქვს იგივე იურიდიული ძალა.

1.5.6. წინამდებარე მორიგების აქტის 1.4. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის დასადგენად, თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადმოსაცემი საცხოვრებელი ბინების საერთო საბაზრო ღირებულების განსაზღვრა ხდება პირგასამტეხლოს მოთხოვნის წარმოშობის დროისათვის არსებული საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით აუდიტორული დასკვნის საფუძველზე. აუდიტორის ხარჯები ეკისრება დამრღვევ მხარეს.

1.5.7. წინამდებარე მორიგების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება საქართველოს უზენაეს სასამართლოს დასამტკიცებლად, ხოლო თითო ეგზემპლარი რჩებათ მხარეებს.

2. მხარეთა მიერ ამ შეთანხმების პირობები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში;

3. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი წარმოადგენენ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს და აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

4. მხარეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმისწარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

5. შეთანხმების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების მიღწევის შემდგომ და სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული რომელიმე სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, სასამართლო გადაწყვეტილება, ან მიმდინარე სასამართლო დავა, ზეგავლენას ვერ მოახდენს ამ შეთანხმების ნამდვილობაზე მთლიანად ან მისი ცალკეული დებულებების აღსრულებაზე;

6. მხარეები წინამდებარე შეთანხმებით ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას, იმიჯსა და ავტორიტეტს. ადასტურებენ და იღებენ ვალდებულებებს უარი თქვან ისეთ ქმედებებზე, რაც საზიანოა ერთმანეთის იმიჯისათვის და ატარებს რეპუტაციის შემლახველ ხასიათს. ასევე თანხმდებიან მასზედ, რომ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები არ განახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც შეურაცხმყოფელი იქნება მხარეთა საქმიანი რეპუტაციისათვის და არ მიმართავენ ისეთ ხერხებს, რომელიც გამოიხატება მხარეთა იმიჯის შემლახვი ცნობების გავრცელებაში საჯაროდ თუ დახურული ფორმით;

7. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალეზელ სამართლებრივ დოკუმენტს;

8. წინამდებარე შეთანხმება თანაბრად სავალდებულოა შესასრულებლად როგორც მისი ხელმოწერილი მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლელებისათვის;

9. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტი წარმოადგენს მხარეთა ურყევი ნების გამოხატულებას. ისინი მოქმედებენ გონივრული განსჯის საფუძველზე და რაიმე უარყოფით ზემოქმედებას მხარეთა ნების გამოვლენის მიმართ ადგილი არ ჰქონია;

10. მხარეები თანახმანი არიან წინამდებარე შეთანხმება გადაეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მორიგების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, რათა შეწყდეს სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება;

11. წინამდებარე მორიგების აქტის 1.3.2. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის საჯარო რეესტრში რეესტრაციის, ასევე თვითმმართველ ქ. ბათუმზე უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადმოცემული საცხოვრებელი ბინების თვითმმართველ ქ. ბათუმზე საჯარო რეესტრში რეესტრაციის მიზნით საჭირო გარიგებების კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებისათვის, საცხოვრებელი ბინების უსასყიდლოდ გადაცემისა და ამ ბინების საჯარო რეესტრში რეესტრაციის ხარჯები ეკისრება ქ. ბათუმის მერიას."

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო ქ. ბათუმის მერიას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეესტრაციო სამსახურსა და "#44 ამხანაგობას" შორის 2008 წლის 16 მაისს გაფორმებულ, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2008 წლის 20 მაისს წარმოდგენილ მორიგების აქტს და მიაჩნია, რომ მხარეთა შორის მორიგება უნდა დამტკიცდეს აღნიშნული აქტის მიხედვით და მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, ხოლო იმავე კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია

საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა ქ. ბათუმის მერიას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურსა და "#44 ამხანაგობას" შორის 2008 წლის 16 მაისს გაფორმებული, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2008 წლის 20 მაისს წარმოდგენილი მორიგების აქტი და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხსენებული მორიგების აქტი არ შეიცავს რაიმე კანონსაწინააღმდეგო დებულებას, აღნიშნული მორიგების აქტით არ ილახება სახელმწიფო (საჯარო) ინტერესები და ამდენად, შესაძლებელია დასახელებული მორიგების აქტის დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლზე და მხარეებს განუმარტავს, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მერიას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურსა და "#44 ამხანაგობას" შორის 2008 წლის 16 მაისს გაფორმებული, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2008 წლის 20 მაისს წარმოდგენილი მორიგების აქტის მიხედვით, მხარეთა მორიგება შემდეგი პირობებით:

"საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაშია #ბს-13-13(კ-08) ადმინისტრაციული საქმე ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივრის გამო, #44 ამხანაგობის მიმართ საქმეზე @#44 ამხანაგობის სარჩელის გამო ქ. ბათუმის მერიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და ყველა იმ სამართლებრივი შედეგების გაუქმების თაობაზე, რომელიც განხორციელდა ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების საფუძველზე, კერძოდ: საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობის თაობაზე, რომლის მიხედვითაც გაუქმდა ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის #44 ამხანაგობის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების უფლება და აღნიშნული მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღირიცხა თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე.

მხარეები, ერთი მხრივ, "#44 ამხანაგობა" და მეორე მხრივ, თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანო -ქ. ბათუმის მერია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური შევთანხმდით და წინამდებარე მორიგების აქტს ვაფორმებთ შემდეგზე:

1. მხარეები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ #ბს-13-13(კ-08) საქმეს დაამთავრებენ მორიგებით შემდეგი პირობებით:

1.1. "#44 ამხანაგობა" კისრულობს შემდეგ უფლებებსა და ვალდებულებებს:

1.1.1. ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სავალდებულოა ააშენოს მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი.

1.1.2. საცხოვრებელი სახლის საერთო საცხოვრებელი ფართის 10% საცხოვრებელი ბინების სახით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადმოსცეს თვითმმართველ ქ. ბათუმს. საანგარიშო საერთო ფართში არ გაითვალისწინება საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული საერთო ფართი და ნულოვანი სართულების საერთო ფართი.

1.1.3. თვითმმართველ ქ. ბათუმისათვის ფართის გადმოცემა უნდა მოხდეს შემდეგ მდგომარეობაში: ბინის კონტურის კედლები; ბინის შიდა ტიხრები (შეთანხმებით); ელექტრო გაყვანილობა ბინაში; კედლის კონტურებისა და ტიხრების შელესვა და შეღებვა; ჩართული საკანალიზაციო ქსელები; იატაკის მოჭიმვა და ლამინატის დაგება (გარდა აბაზანის, ტუალეტის და სამზარეულოს ოთახებისა), მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები; ბინის შესასვლელი რკინის კარი; მოწესრიგებული სადარბაზო, ფასადი, სახურავი და ტერიტორიის კეთილმოწყობა;

1.1.4. მშენებლობა დაიწყოს წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა და დაასრულოს მშენებლობის დაწყებიდან არაუგვიანეს 36 თვისა. მშენებლობის დასრულება ნიშნავს საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში შეყვანას.

1.1.5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია შეიტანოს ცვლილებები მაღლივი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციაში, რომელიც არ იძლევა საფუძველს

შესაბამისი სამსახურის მიერ პირველად შეთანხმებული პროექტის შესაბამისად თვითმმართველ ქ. ბათუმისათვის გადასაცემი ფართის შემცირებისათვის.

1.1.6. მიწის ნაკვეთი არ დატვირთოს სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა პირთა სასარგებლოდ იმდაგვარად, რითაც შეუძლებელი გახდება მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენება ან/და თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

1.1.7. "#44 ამხანაგობა" უფლებამოსილია, ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით არსებული წესით კომერციული ბანკებიდან აიღოს მიზნობრივი კრედიტი და საჭიროებისას იპოთეკით დატვირთოს აღნიშნული მიწის ნაკვეთი.

1.1.8. თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე არსებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე არ მოახდინოს ამხანაგობის ლიკვიდაცია.

1.1.9. ფორს-მაჟორულ სიტუაციად არ მოითხოვოს მისი ფინანსური სიძნელების, საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან ურთიერთობის გამო დამდგარი შედეგების აღიარება.

1.2. ქ. ბათუმის მერია კისრულობს შემდეგ უფლებებსა და ვალდებულებებს:

1.2.1. ქ. ბათუმის მერია თანახმაა გაუქმდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც სადავო ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 16 აპრილის #319 ბრძანების საფუძველზე თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და იგი წინამდებარე მორიგების აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხოს "#44 ამხანაგობაზე".

1.2.2. 1.1.3. პუნქტის პირობების დაცვით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით მიიღოს საცხოვრებელი სახლის საერთო საცხოვრებელი ფართის 10 (ათი)% საცხოვრებელი ბინების სახით. საანგარიშო საერთო ფართში არ გაითვალისწინება საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული საერთო ფართი და ნულოვანი სართულების საერთო ფართი.

1.2.3. კანონმდებლობით გათვალისწინებული თავისი კომპეტენციის ფარგლებში უშუალოდ ან მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით ხელი შეუწყოს #44 ამხანაგობას 1.1.1 პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში, რაც არ გულისხმობს თვითმმართველ ქ. ბათუმის ორგანოების ან მისი სტრუქტურული ერთეულების ვალდებულებას განახორციელონ საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში რაიმე სახის ქონებრივი შენატანები.

1.3. განსაკუთრებული პირობები

1.3.1. #44 ამხანაგობა" ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესამე პირზე განკარგვა ან/და მესამე პირზე შენობა-ნაგებობის აღმართვის უფლების მინიჭება მოახდინოს მხოლოდ წინამდებარე მორიგების აქტის 1.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნობრივი გამოყენების და თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე "#44 ამხანაგობის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების მესამე პირის მიერ შესრულების პირობით (მათ შორის 1.4. პუნქტით გათვალისწინებული მხარეთა პასუხისმგებლობისა და მოთხოვნათა უზრუნველყოფის პირობების მესამე პირის მიერ საკუთარ თავზე აღების პირობით), რაც ითვლება "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" 2005 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვად.

1.3.2. ეთხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს, წინამდებარე მორიგების აქტის 1.3.1. პუნქტის შესაბამისად ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში მოახდინოს შემდეგი შინაარსის შეზღუდვის რეგისტრაცია - "მიწის ნაკვეთის გასხვისება მესამე პირზე ან/და შენობა-ნაგებობის აღმართვის უფლების მინიჭება მესამე პირისათვის დასაშვებია მხოლოდ წინამდებარე მორიგების აქტის 1.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნობრივი გამოყენების და თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე #44 ამხანაგობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების მესამე პირის მიერ შესრულების პირობით".

1.3.3. 1.3.1. პუნქტის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად #44 ამხანაგობისა და მესამე პირს შორის დადებული ნებისმიერი გარიგება, რომელიც ითვალისწინებს წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე ან მის ნაწილზე საკუთრების უფლების გადასვლას მესამე პირზე ან/და მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აღმართვის უფლებას ანიჭებს მესამე პირს, არ ათავისუფლებს მესამე პირს წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენებისა და თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე #44 ამხანაგობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან, რადგან წინამდებარე მორიგების აქტის 1.3.1. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

1.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და მოთხოვნათა უზრუნველყოფა:

1.4.1. წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული 1.1.1. პუნქტის დარღვევისას ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილია წინამდებარე მორიგების აქტი წარადგინოს აღსასრულებლად. 1.1.1. პუნქტი დარღვეულად ჩაითვლება, თუ 1.1.4. პუნქტით განსაზღვრული მშენებლობის დასრულების

ვადაში ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საერთოდ არ დაიწყება მშენებლობა.

1.4.2. წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული 1.1.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისას #44 ამხანაგობას ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრება თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე გადასაცემი საცხოვრებელი ბინების საერთო საბაზრო ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 1.1.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება "#44 ამხანაგობის" მიერ უნდა მოხდეს საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში შესვლიდან სამი თვის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილია, წინამდებარე მორიგების აქტი წარადგინოს აღსასრულებლად.

1.4.3. წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული 1.1.3. პუნქტების დარღვევისას "#44 ამხანაგობას" ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრება თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე გადასაცემი საცხოვრებელი ბინების საერთო საბაზრო ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 1.1.3. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება "#44 ამხანაგობის" მიერ უნდა მოხდეს საცხოვრებელი ბინების თვითმმართველ ქ. ბათუმისათვის გადაცემის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილია წინამდებარე მორიგების აქტი წარადგინოს აღსასრულებლად.

1.4.4. წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული 1.1.4. პუნქტის დარღვევისას "#44 ამხანაგობას" ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრება თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადასაცემი საცხოვრებელი ბინების საერთო საბაზრო ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თუ არ მომხდარა მხარეთა შეთანხმება მშენებლობის დაწყების ან დასრულების ვადების გაგრძელების თაობაზე.

1.4.5. წინამდებარე მორიგების აქტის 1.1.6. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში "#44 ამხანაგობას" ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრება თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადასაცემი საცხოვრებელი ბინების საერთო საბაზრო ღირებულების 0,05% არსებული მდგომარეობის განმავლობაში ყოველ თითოეულ დღეზე, ხოლო თუ აღნიშნული გაგრძელება სამ თვეზე მეტი ვადით ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილია წინამდებარე მორიგების აქტი წარადგინოს აღსასრულებლად.

1.4.6. წინამდებარე მორიგების 1.3.1. პუნქტის დარღვევისას, როდესაც ხდება წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შეცვლა, "#44 ამხანაგობას" ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო მესამე პირთან დადებული ხელშეკრულების საერთო ფასის ოდენობით, ხოლო მესამე პირთან დადებული გარიგების უსასყიდლოობისას ან/და როდესაც მესამე პირს ენიჭება მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აღმართვის უფლება, თვითმმართველ ქ. ბათუმისათვის წინამდებარე მორიგების აქტით #44 ამხანაგობის მიერ გადმოსაცემი (ასაშენებელი) საერთო ფართის საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით.

1.5. დადასტურება და სხვა პირობები:

1.5.1. ქ. ბათუმის მერია ადასტურებს, რომ იგი თანახმაა ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე 2160 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი წინამდებარე მორიგების აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხოს "#44 ამხანაგობის" სახელზე.

1.5.2. "#44 ამხანაგობა" ადასტურებს, რომ წინამდებარე მორიგების აქტის პირობები შეესაბამება მის მიერ გამოვლენილ ნებას და მზადაა უზრუნველყოს საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული მიზნობრივი გამოყენება და თვითმმართველ ქ. ბათუმის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულება;

1.5.3. წინამდებარე მორიგების აქტის 1.3.2. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის რეგისტრაციის მიზნით წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტი წარედგინოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს.

1.5.4. წინამდებარე მორიგების აქტის 1.3.1. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა უქმდება მხოლოდ "#44 ამხანაგობის" ან მესამე პირის მიერ ქ. ბათუმში, ... ქ. #5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენების შედეგად წინამდებარე მორიგების აქტის პირობების შესაბამისად აშენებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისა და თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადასაცემი (ასაშენებელი) ფართის საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შემდეგ, თუ არ იქნება მხარეთა სხვაგვარი შეთანხმება შეზღუდვის უფრო ადრე გაუქმების თაობაზე;

1.5.5. "#44 ამხანაგობის" მიერ მშენებლობის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აღების შემდეგ, მშენებლობის ნებართვის აღებიდან ოთხი თვის ვადაში მხარეების მიერ მოხდება შეთანხმება წინამდებარე მორიგების აქტით თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადმოსაცემი ბინების ზუსტი ადგილმდებარეობის (სადარბაზო, სართული, ბინის ნომერი და სხვა) განსაზღვრის შესახებ, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე მორიგების აქტის განუყოფელ ნაწილს და აქვს იგივე იურიდიული ძალა.

1.5.6. წინამდებარე მორიგების აქტის 1.4. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის დასადგენად, თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადმოსაცემი საცხოვრებელი ბინების საერთო საბაზრო ღირებულების განსაზღვრა ხდება პირგასამტეხლოს მოთხოვნის წარმოშობის დროისათვის

არსებული საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით აუდიტორული დასკვნის საფუძველზე. აუდიტორის ხარჯები ეკისრება დამრღვევ მხარეს.

1.5.7. წინამდებარე მორიგების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება საქართველოს უზენაეს სასამართლოს დასამტკიცებლად, ხოლო თითო ეგზემპლარი რჩებათ მხარეებს.

2. მხარეთა მიერ ამ შეთანხმების პირობები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში;

3. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი წარმოადგენენ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს და აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

4. მხარეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმისწარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

5. შეთანხმების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების მიღწევის შემდგომ და სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული რომელიმე სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, სასამართლო გადაწყვეტილება, ან მიმდინარე სასამართლო დავა, ზეგავლენას ვერ მოახდენს ამ შეთანხმების ნამდვილობაზე მთლიანად ან მისი ცალკეული დებულებების აღსრულებაზე;

6. მხარეები წინამდებარე შეთანხმებით ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას, იმიჯსა და ავტორიტეტს. ადასტურებენ და იღებენ ვალდებულებებს უარი თქვან ისეთ ქმედებებზე, რაც საზიანოა ერთმანეთის იმიჯისათვის და ატარებს რეპუტაციის შემლახველ ხასიათს. ასევე თანხმდებიან მასზე, რომ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები არ განახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც შეურაცხმყოფელი იქნება მხარეთა საქმიანი რეპუტაციისათვის და არ მიმართავენ ისეთ ხერხებს, რომელიც გამოიხატება მხარეთა იმიჯის შემლახავი ცნობების გავრცელებაში საჯაროდ თუ დახურული ფორმით;

7. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალეხელ სამართლებრივ დოკუმენტს;

8. წინამდებარე შეთანხმება თანაბრად სავალდებულოა შესასრულებლად როგორც მისი ხელმოწერილი მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეებისათვის;

9. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტი წარმოადგენს მხარეთა ურყევი ნების გამოხატულებას. ისინი მოქმედებენ გონივრული განსჯის საფუძველზე და რაიმე უარყოფით ზემოქმედებას მხარეთა ნების გამოვლენის მიმართ ადგილი არ ჰქონია;

10. მხარეები თანახმანი არიან წინამდებარე შეთანხმება გადაეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მორიგების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, რათა შეწყდეს სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება;

11. წინამდებარე მორიგების აქტის 1.3.2. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის საჯარო რეესტრში რეესტრაციის, ასევე თვითმმართველ ქ. ბათუმზე უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადმოცემული საცხოვრებელი ბინების თვითმმართველ ქ. ბათუმზე საჯარო რეესტრში რეესტრაციის მიზნით საჭირო გარიგებების კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებისათვის, საცხოვრებელი ბინების უსასყიდლოდ გადაცემისა და ამ ბინების საჯარო რეესტრში რეესტრაციის ხარჯები ეკისრება ქ. ბათუმის მერიას."

2. გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განჩინება;

3. მოცემულ საქმეზე შეწყდეს წარმოება მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო;

4. მორიგების აქტი ძალაში შედის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან და მოქმედებს მხარეების მიერ მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე;

5. მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის - მორიგების აქტის იძულებითი აღსრულების ჩათვლით);

6. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მორიგების გამო

განჩინება

№ბს-1053-1006(კ-07) 23 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სარჩელში –შპს “ჰელიოსის” წესდების 1.2 პუნქტის –შპს “ჰელიოსის” შპს “მრავალდარგობრივი ფირმა ჰელიოსის” სამართალმემკვიდრედ ცნობისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ბათუმის მერიამ 2006 წლის 4 იანვარს სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს “ჰელიოსის” წინააღმდეგ და მოითხოვა 1997 წლის 31 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ რეგისტრირებული შპს “ჰელიოსის” წესდების იმ პუნქტის ბათილად ცნობა, რომლითაც იგი გამოცხადდა 1994 წლის 23 სექტემბერს ქ. ბათუმის მერიის მიერ რეგისტრირებული შპს მრავალდარგობრივი ფირმა “ჰელიოსის” სამართალმემკვიდრედ და საჯარო რეესტრის იმ მონაცემების ბათილად ცნობა, რომლითაც ქ. ბათუმში, ... ქ. #25ა-ში მდებარე 1386,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრედ ითვლება შპს “ჰელიოსის”.

მოპასუხე შპს “ჰელიოსმა” შეგებებული სარჩელი შეიტანა სასამართლოში ქ. ბათუმის მერიის მიმართ და მოითხოვა ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 17 თებერვლის დადგენილების I ნაწილის “ბ” პუნქტისა და II პუნქტის (1996 წლის 7 ივნისის #333 გადაწყვეტილების) ნაწილში ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ მოპასუხის მოქმედებით ხელყოფილი იქნა შპს “ჰელიოსის” საკუთრების უფლება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო; შპს “ჰელიოსის” შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა –ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 17 თებერვლის #46 დადგენილების I ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი და ამავე დადგენილების მეორე ნაწილი –ქ. ბათუმის მერიის 1996 წლის 16 ივლისის #333 გადაწყვეტილებით ნაწილში; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 16 დეკემბრის განჩინებით მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა ქ. ბათუმში, ... ქ. #25ა-ში მდებარე შპს “ჰელიოსის” საკუთრებაში რიცხულ 1386 კვ.მ მიწის ნაკვეთს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება; დაკმაყოფილდა ბათუმის მერიის სარჩელი; ბათილად იქნა ცნობილი შპს “ჰელიოსის” წესდების 1.2 პუნქტი შპს “ჰელიოსის” შპს “მრავალდარგობრივი ფირმა ჰელიოსის” სამართალმემკვიდრედ ცნობის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი 1999 წლის 24 დეკემბრის საჯარო რეესტრის ამონაწერი ბათუმში, ... ქ. #25ა-ში მდებარე 1386 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების შპს “ჰელიოსის” საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ, სარეგისტრაციო მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა –ქ. ბათუმი, კოდი-05, სექტორი-მიკრორაიონი-04, კვარტლის #02, ნაკვეთის #01, ფართობი –1386 კვ.მ მიწის ფუნქცია –არასასოფლო-სამეურნეო. მისამართი: ... ქ. #25ა; არ დაკმაყოფილდა შპს “ჰელიოსის” შეგებებული სარჩელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ქ. ბათუმის მერიის განცხადება; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეხუთე აზვაცი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის

ჩანაწერი ბათუმში, ... ქ. #25ა-ში მდებარე 1386 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების შპს “ჰელიოსის” საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ, სარეგისტრაციო მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა –ქ. ბათუმი, კოდი-05, სექტორი-მიკრორაიონი-04, კვარტლის #02, ნაკვეთის #01, ფართობი –1386 კვ.მ მიწის ფუნქცია –არასასოფლო-სამეურნეო. მისამართი: ... ქ. #25ა; აღნიშნული ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვის ნაწილში გადაწყვეტილების გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს “ჰელიოსმა” გასაჩივრებული გადაწყვეტილების

გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში ხელახლა განსახილველად დაბრუნების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინებით შპს "ჰელიოსის" საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 1 მაისს 15:00 მხარეთა დასწრებით.

მოცემული საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას მხარეებმა იშუამდგომლეს საქმის მორიგებით დამთავრების თაობაზე და მოითხოვეს მოცემული საქმის გადადება. მათ 2008 წლის 19 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინეს ქ. ბათუმის მერიასა და შპს "ჰელიოსის" შორის 2008 წლის 16 მაისს გაფორმებული მორიგების აქტი. წარმოდგენილი მორიგების აქტის მიხედვით მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მხარეები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ #ბს-1053-1006(კ-07) ადმინისტრაციულ საქმეს დაამთავრებენ მორიგებით და შპს "ჰელიოსის" ქ. ბათუმის მერიის ანგარიშზე შეიტანს მიწის ნაკვეთის ღირებულებას 1 კვ.მ-ზე 100 ლარს;

2. შპს "ჰელიოსის" საბოლოოდ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ გადაიხდის 138 600 ლარს.

3. შპს "ჰელიოსის"-ს მიერ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის 138 600 ლარის სრულად გადახდა განხორციელდება 2008 წლის 1 ივლისამდე.

4. შპს "ჰელიოსის" თანხის გადარიცხვას მოახდენს ქ. ბათუმის მერიის მიერ მოწოდებულ შემდეგ საბანკო ანგარიშზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ბათუმი); მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: 200122900; ანგარიშის ნომერი: 300693390.

5. მხარეები თანახმა არიან, რომ გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 16 დეკემბრის #215 ყ/დ განჩინება და ყადაღა მოეხსნას ქ. ბათუმში, ... ქ. #25ა-ში მდებარე, შპს "ჰელიოსის"-ს საკუთრებაში არსებულ 1 386 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს.

6. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი წარმოადგენენ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს და აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

7. შეთანხმების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების მიღწევის შემდგომ და სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული რომელიმე სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, სასამართლო გადაწყვეტილება, ან მიმდინარე სასამართლო დავა, ზეგავლენას ვერ მოახდენს ამ შეთანხმების ნამდვილობაზე მთლიანად ან მისი ცალკეული დებულებების აღსრულებაზე;

8. მხარეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმისწარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

9. მხარეების წინამდებარე შეთანხმებით ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას, იმიჯსა და ავტორიტეტს. ადასტურებენ და იღებენ ვალდებულებებს უარი თქვან ისეთ ქმედებებზე, რაც საზიანოა ერთმანეთის იმიჯისათვის და ატარებს რეპუტაციის შემლახველ ხასიათს. ასევე თანხმდებიან მასზე, რომ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები არ განახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც შეურაცხმყოფელი იქნება მხარეთა საქმიანი რეპუტაციისათვის და არ მიმართავენ ისეთ ხერხებს, რომელიც გამოიხატება მხარეთა იმიჯის შემლახვი ცნობების გავრცელებაში საჯაროდ თუ დახურული ფორმით;

10. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალბელ სამართლებრივ დოკუმენტს;

11. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები თანახმანი არიან, რომ მორიგების პროცესში ერთმანეთისათვის ცნობილი კომერციული, პირადი და საქმიანი ინფორმაციები დაცული იქნება მესამე პირებზე გადაცემისაგან;

12. წინამდებარე შეთანხმება თანაბრად სავალდებულოა შესასრულებლად როგორც მისი ხელმოწერილი მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლელებისათვის;

13. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტი წარმოადგენს მხარეთა ურყევი ნების გამოხატულებას. ისინი მოქმედებენ გონივრული განსჯის საფუძველზე და რაიმე უარყოფით ზემოქმედებას მხარეთა ნების გამოვლენის მიმართ ადგილი არ ჰქონია;

14. წინამდებარე მორიგების შეთანხმებაზე ხელისმოწერით მხარეები ადასტურებენ საჯარო რეესტრში შპს "ჰელიოსის"-ს საკუთრების უფლების ნამდვილობას მიწის ნაკვეთთან მიმართებაში;

15. მხარეები თანახმანი არიან, წინამდებარე შეთანხმება გადაეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მორიგების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, რათა შეწყდეს სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება;

16. წინამდებარე მორიგების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინა საქართველოს უზენაეს სასამართლოს დასამტკიცებლად, ხოლო თითო ეგზემპლარი რჩებათ მხარეებს.

17. მხარეთა მიერ, ამ შეთანხმების პირობები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში.

ქ. ბათუმის მერიასა და შპს "ჰელიოსს" შორის გაფორმებული, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2008 წლის 19 მაისს წარმოდგენილი მორიგების აქტი ხელმოწერილია ქ. ბათუმის მერიის მხრიდან ქ. ბათუმის მერის რ. ჩ-ძისა და შპს "ჰელიოსს" მხრიდან ამავე საზოგადოების დირექტორ რ. მ-ძის მიერ.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო ქ. ბათუმის მერიასა და შპს "ჰელიოსს" შორის გაფორმებულ, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2008 წლის 19 მაისს წარმოდგენილ მორიგების აქტის შინაარსს და თვლის, რომ მხარეთა შორის მორიგება უნდა დამტკიცდეს აღნიშნული აქტის მიხედვით და მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, ხოლო იმავე კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა ქ. ბათუმის მერიასა და შპს "ჰელიოსს" შორის გაფორმებული, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2008 წლის 19 მაისს წარმოდგენილი მორიგების აქტი და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხსენებული მორიგების აქტი არ შეიცავს რაიმე კანონსაწინააღმდეგო დებულებას, აღნიშნული მორიგების აქტით არ ილახება სახელმწიფო (საჯარო) ინტერესები და, ამდენად, შესაძლებელია დასახელებული მორიგების აქტის დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. მხარეები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ #ბს-1053-1006(კ-07) ადმინისტრაციულ საქმეს დაამთავრებენ მორიგებით და შპს "ჰელიოსი" ქ. ბათუმის მერიის ანგარიშზე შეიტანს მიწის ნაკვეთის ღირებულებას 1 კვ.მ-ზე 100 ლარს;

2. შპს "ჰელიოსი" საბოლოოდ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ გადაიხდის 138 600 (ას ოცდათვრამეტი ათას ექვსასი) ლარს.

3. შპს "ჰელიოსი"-ს მიერ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის 138 600 ლარის სრულად გადახდა განხორციელდება 2008 წლის 1 ივლისამდე.

4. შპს "ჰელიოსი" თანხის გადარიცხვას მოახდენს ქ. ბათუმის მერიის მიერ მოწოდებულ შემდეგ საბანკო ანგარიშზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ბათუმი); მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: 200122900; ანგარიშის ნომერი: 300693390.

5. მხარეები თანახმა არიან, რომ გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 16 დეკემბრის #215 ყ/დ განჩინება და ყადაღა მოეხსნას ქ. ბათუმში, ... ქ. #25ა-ში მდებარე, შპს "ჰელიოსი"-ს საკუთრებაში არსებულ 1 386 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს.

6. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი წარმოადგენენ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს და აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

7. შეთანხმების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების მიღწევის შემდგომ და სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული რომელიმე სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, სასამართლო გადაწყვეტილება, ან მიმდინარე სასამართლო დავა, ზეგავლენას ვერ მოახდენს ამ შეთანხმების ნამდვილობაზე მთლიანად ან მისი ცალკეული დებულებების აღსრულებაზე;

8. მხარეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმისწარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

9. მხარეების წინამდებარე შეთანხმებით ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას, იმიჯსა და ავტორიტეტს. ადასტურებენ და იღებენ ვალდებულებებს უარი თქვან ისეთ ქმედებებზე, რაც საზიანოა ერთმანეთის იმიჯისათვის და ატარებს რეპუტაციის შემლახველ ხასიათს. ასევე თანხმდებიან, რომ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები არ განახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც შეურაცხყოფელი იქნება მხარეთა საქმიანი რეპუტაციისათვის და არ მიმართავენ ისეთ ხერხებს, რომელიც გამოიხატება მხარეთა იმიჯის შემლახვი ცნობების გავრცელებაში საჯაროდ თუ დახურული ფორმით;

10. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალბებელ სამართლებრივ დოკუმენტს;

11. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები თანახმანი არიან, რომ მორიგების პროცესში ერთმანეთისათვის ცნობილი კომერციული, პირადი და საქმიანი ინფორმაციები დაცული იქნება მესამე პირებზე გადაცემისაგან;

12. წინამდებარე შეთანხმება თანაბრად სავალდებულოა შესასრულებლად როგორც მისი ხელმოწერილი მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლელებისათვის;

13. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტი წარმოადგენს მხარეთა ურყევი ნების გამოხატულებას. ისინი მოქმედებენ გონივრული განსჯის საფუძველზე და რაიმე უარყოფით ზემოქმედებას მხარეთა ნების გამოვლენის მიმართ ადგილი არ ჰქონია;

14. წინამდებარე მორიგების შეთანხმებაზე ხელისმოწერით მხარეები ადასტურებენ საჯარო რეესტრში შპს "ჰელიოსი"-ს საკუთრების უფლების ნამდვილობას მიწის ნაკვეთთან მიმართებაში;

15. მხარეები თანახმანი არიან, წინამდებარე შეთანხმება გადაეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მორიგების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, რათა შეწყდეს სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება;

16. წინამდებარე მორიგების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინა საქართველოს უზენაეს სასამართლოს დასამტკიცებლად, ხოლო თითო ეგზემპლარი რჩებათ მხარეებს.

17. მხარეთა მიერ, ამ შეთანხმების პირობები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს; ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის მორიგების გამო კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მერიასა და შპს "ჰელიოსს" შორის გაფორმებული, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2008 წლის 19 მაისს წარმოდგენილი მორიგების აქტი შემდეგი პირობებით:

1. მხარეები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ #ბს-1053-1006(კ-07) ადმინისტრაციულ საქმეს დაამთავრებენ მორიგებით და შპს "ჰელიოსი" ქ. ბათუმის მერიის ანგარიშზე შეიტანს მიწის ნაკვეთის ღირებულებას 1 კვ.მ-ზე 100 ლარს;

2. შპს "ჰელიოსი" საბოლოოდ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ გადაიხდის 138 600 ლარს.

3. შპს "ჰელიოსი"-ს მიერ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის 138 600 ლარის სრულად გადახდა განხორციელდება 2008 წლის 1 ივლისამდე.

4. შპს "ჰელიოსი" თანხის გადარიცხვას მოახდენს ქ. ბათუმის მერიის მიერ მოწოდებულ შემდეგ საბანკო ანგარიშზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ბათუმი); მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: 200122900; ანგარიშის ნომერი: 300693390.

5. მხარეები თანახმა არიან, რომ გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 16 დეკემბრის #215 ყ/დ განჩინება და ყადაღა მოეხსნას ქ. ბათუმში, ... ქ. #25ა-ში მდებარე, შპს "ჰელიოსი"-ს საკუთრებაში არსებულ 1 386 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს.

6. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი წარმოადგენენ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს და აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

7. შეთანხმების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების მიღწევის შემდგომ და სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული რომელიმე სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, სასამართლო გადაწყვეტილება, ან მიმდინარე სასამართლო დავა, ზეგავლენას ვერ მოახდენს ამ შეთანხმების ნამდვილობაზე მთლიანად ან მისი ცალკეული დებულებების აღსრულებაზე;

8. მხარეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმისწარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

9. მხარეების წინამდებარე შეთანხმებით ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას, იმიჯსა და ავტორიტეტს. ადასტურებენ და იღებენ ვალდებულებებს უარი თქვან ისეთ ქმედებებზე, რაც საზიანოა ერთმანეთის იმიჯისათვის და ატარებს რეპუტაციის შემლახველ ხასიათს. ასევე თანხმდებიან, რომ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები არ განახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც შეურაცხმყოფელი იქნება მხარეთა საქმიანი რეპუტაციისათვის და არ მიმართავენ ისეთ ხერხებს, რომელიც გამოიხატება მხარეთა იმიჯის შემლახავი ცნობების გავრცელებაში საჯაროდ თუ დახურული ფორმით;

10. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალბელ სამართლებრივ დოკუმენტს;

11. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები თანახმანი არიან, რომ მორიგების პროცესში ერთმანეთისათვის ცნობილი კომერციული, პირადი და საქმიანი ინფორმაციები დაცული იქნება მესამე პირებზე გადაცემისაგან;

12. წინამდებარე შეთანხმება თანაბრად სავალდებულოა შესასრულებლად როგორც მისი ხელმოწერილი მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლელებისათვის;

13. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტი წარმოადგენს მხარეთა ურყევი ნების გამოხატულებას. ისინი მოქმედებენ გონივრული განსჯის საფუძველზე და რაიმე უარყოფით ზემოქმედებას მხარეთა ნების გამოვლენის მიმართ ადგილი არ ჰქონია;

14. წინამდებარე მორიგების შეთანხმებაზე ხელისმოწერით მხარეები ადასტურებენ საჯარო რეესტრში შპს "ჰელიოსი"-ს საკუთრების უფლების ნამდვილობას მიწის ნაკვეთთან მიმართებაში;

15. მხარეები თანახმანი არიან, წინამდებარე შეთანხმება გადაეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მორიგების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, რათა შეწყდეს სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება;

16. წინამდებარე მორიგების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინა საქართველოს უზენაეს სასამართლოს დასამტკიცებლად, ხოლო თითო ეგზემპლარი რჩებათ მხარეებს.

17. მხარეთა მიერ, ამ შეთანხმების პირობები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში.

2. მხარეთა მორიგების გამო გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება და შეწყდეს მოცემულ საქმეზე წარმოება;

3. განმარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება;

4. კასატორ შპს "ჰელიოსის" დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელწიფო ბაჟი -300 ლარი;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

#ბს-279-272(23-08)

23 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 22 სექტემბერს ნ. ჭ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1993 წლიდან 2004 წლამდე მსახურობდა ქ. ქუთაისის საგარნიზონო სამხედრო ჰოსპიტალში ჯერ ექიმ-ორდინატორად, შემდეგ ინფექციური განყოფილების უფროსად. შტატების რეორგანიზაციის გამო, 2005 წლის იანვრიდან 2006 წლის 1 ივლისამდე მუშაობდა მე-2 ქვეითი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ასეულში ექიმ-ინფექციონისტად.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს #1681 ბრძანებით დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტით, რომელსაც საფუძვლად დაედო მე-2 ქვეითი ბრიგადის მეთაურის შუამდგომლობა.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ბრძანება უკანონოა, ვინაიდან ა.წ. 1 ივნისიდან სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა ორფოლოს სასწავლო პოლიგონზე. 28 ივნისს მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, დატოვა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ადგილი. ოჯახური მდგომარეობის შესახებ აცნობა ასეულის მეთაურს და მიიღო თანხმობა გათავისუფლებაზე. წასვლამდე ჯერ ტელეფონით, შემდეგ, მოგვიანებით პირადად ესაუბრა ბატალიონის მეთაურს, უფროს ლეიტენანტ კ-მეს, აუხსნა შექმნილი მდგომარეობა და ითხოვა გათავისუფლება, რაზედაც მიიღო თანხმობა და იმ დღესვე დაწერა პატაკი. სახლში ყოფნის მეცხრე დღეს -7 ივლისს, ბატალიონის იურისტისაგან შეიტყო, რომ იყო დათხოვნილი, როცა შეეცადა სიტუაციის გარკვევას და მიხვდა, რომ შედავებას აზრი არ ჰქონდა, მოითხოვა მიეცათ კუთვნილი შვებულება, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მოეძებნა სხვა ბრიგადაში ადგილი სამუშაოდ. 12 ივლისს ბატალიონის იურისტმა შეატყობინა, რომ 13 ივლისს დანიშნული იყო სამანდატო კომისია, სადაც უნდა გამოცხადებულიყო. მოსარჩელის განმარტებით, იგი ჩავიდა ორფოლოში, მაგრამ სამანდატო კომისია ჩაატარეს მის გარეშე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს #1681 ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ჭ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 1 აგვისტოს #1681 ბრძანება ნ. ჭ-მის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. ნ. ჭ-მე აღდგენილ იქნა სამსახურში და აუნაზღაურდა იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასი სამუშაოზე აღდგენამდე.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო აქტის გამოცემისას დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე და 55-ე მუხლები, რადგან იგი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ იყო უფლებამოსილი, გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, რაც არ იყო გამოკვლეული. თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას არ უხელმძღვანელია კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კერძოდ, ნ. ჭ-მეს არ მისცემია ახსნა-განმარტების საშუალება. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, ეცნობებინა მოსარჩელისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, ვინაიდან ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით გაუარესდა მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, წერილობით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, ხოლო თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მითითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ აქტის გამოცემისას. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ კანონის არც აღნიშნული მოთხოვნა იქნა გათვალისწინებული, რადგან სადავო აქტში არ არის მითითებული, თუ რაში გამოიხატა მოსარჩელის სამართლებრივი შეუსაბამობა, რადგან წარმოდგენილი პირადი საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, მონაწილეობდა სხვადასხვა სწავლებებში, წარმატებით აქვს დამთავრებული სასწავლო პროგრამებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, გამოცხადებული აქვს მადლობები და ა.შ.

ამასთან, საქალაქო სასამართლოს მითითებით, სადავო ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია 2006 წლის 1 აგვისტოს. მოსარჩელე გათავისუფლებულია 2006 წლის 1 ივლისიდან და გათავისუფლების საფუძველია მე-2 ქვეითი ბრიგადის მეთაურის შუამდგომლობა, დათარიღებული 2006 წლის 21 ივლისით, ე.ი. ჯერ კიდევ მანამდე არსებობდა მეთაურის შუამდგომლობა. ადმინისტრაციული აქტი არა მხოლოდ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, არამედ იგი გამოცემული უნდა იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში კი მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას ერთი თვის უკან დახვეით. აღნიშნული ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებსაც -სამართალურთიერთობას, სტაბილურობას, კეთილ-სინდისიერებას და კანონიერების პრინციპებს.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სამხედრო სამსახური წარმოადგენს საჯარო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეებზე არ ვრცელდება აღნიშნული კანონის მოქმედება, ვინაიდან სამხედრო მოსამსახურის შრომით ურთიერთობებს არეგულირებს სპეციალური კანონმდებლობა. "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლი განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურის უპირობო დათხოვნის საფუძველს. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე არ დაემორჩილა სამხედრო მოსამსახურისათვის დადგენილ წესებს, არ დაემორჩილა მეთაურებსა და მათ ბრძანებებს, ადმინისტრაცია უფლებამოსილი იყო, დაეთხოვა მისი მოსამსახურე, მით უფრო, რომ მოსარჩელეს დათხოვნამდე გამოცხადებული ჰქონდა სასტიკი საყვედური.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 1 აგვისტოს #1681 ბრძანება ნ. ჭ-მის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი აქტი წინამდებარე გადაწყვეტილების კანონიერებაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში; ნ. ჭ-მეს აუნაზღაურდა ბრძანების ბათილად ცნობიდან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებით განაცდური ხელფასი.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389.2-ე მუხლის "ბ" და "გ" ქვეპუნქტების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით, ასევე, მისი შეცვლის დასაბუთებას. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე იმყოფებოდა ორფოლოს პოლიგონზე გაერთიანებულ საველე სწავლება "კავკასიონი 2006"-ში მონაწილეობის მისაღებად. მისი ახსნა-განმარტებით და მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ მეუღლის ავადმყოფობის გამო, 2006 წლის 28 ივნისს ითხოვა შვებულება, დაწერა პატაკი, რომელიც ჩააბარა კადრების განყოფილებაში და მის თხოვნაზე შვებულების მიღების თაობაზე წერილობითი ბრძანების გარეშე დატოვა პოლიგონი, რაც ჩაითვა სამსახურებრივ შეუსაბამობაში და გათავისუფლდა თანამდებობიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა სამანდატო კომისიაზე, რის შედეგადაც ნ. ჭ-მის გათავისუფლების შესახებ წარდგინებით იქნა მიმართული გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსისადმი.

სააპელაციო პალატა ასევე ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე, 96-ე მუხლების მოთხოვნათა დაუცველად, რაც გამოიხატა თავდაცვის სამინისტროს მიერ საკითხის გადაწყვეტაში, საამისოდ საჭირო ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შესწავლა-შეჯერების გარეშე. პალატამ აღნიშნულთან მიმართებაში მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ არ

იქნა სათანადოდ გამოკვლეული და შესაწავლილი ის გარემოება, ნ. ჭ-მემ თვითნებურად დატოვა სამხედრო ნაწილი, თუ ჰქონდა ნებართვა ხელმძღვანელობის მიერ, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის. მოწმედ დაკითხული სამედიცინო ასეულის მეთაურის - დ. ც-მის განმარტებით, იგი დაჰპირდა ნ. ჭ-მეს გათავისუფლებას, აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა, რომ შევიდოდა უფროსთან მოსარჩელის მიერ სამისოდ დაწერილი პატაკით, რომელიც შემდგომ უფროსმა არ დააკმაყოფილა. დ. ც-მემ სამანდატო კომისიის სხდომაზე განმარტა, რომ ოჯახური პრობლემების გამო მოსარჩელე რამდენჯერმე იმყოფებოდა მოკლევადიან შვებულებაში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ბატალიონის მეთაურის მიერ, რის შემდეგაც ნ. ჭ-მემ თვითნებურად მიატოვა სამხედრო ნაწილი, რაც ითვლება მოსარჩელისთვის უღირს საქციელად. წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ არის დადასტურებული მოსარჩელემ დატოვა პოლიგონი მეთაურთა სიტყვიერი ნებართვით, თუ თვითნებურად, ბატალიონის მეთაურის მიერ დაუკმაყოფილებლობის შემდეგ. ამდენად, გაუგებარი მტკიცებულებების საფუძველზე იქნა საქალაქო სასამართლოს მიერ დადასტურებულად მიჩნეული ის გარემოება, რომ ნ. ჭ-მე შეუთანხმდა დათხოვნის თაობაზე ასეულისა და ბატალიონის მეთაურებს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ არ არის დასაბუთებული, თუ რის საფუძველზე მიიჩნია საქალაქო სასამართლომ დადგენილად ის გარემოება, რომ მოსარჩელეს არ მიეცა საშუალება, ემტკიცებინა მის მიერ განხორციელებული ქმედების კანონიერება. სამანდატო კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით, სხდომაზე აღნიშნა, რომ ნ. ჭ-მისთვის ცნობილი იყო კომისიის სხდომის თაობაზე და იგი არ გამოცხადდა. ნ. ჭ-მემ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ იცოდა სხდომის შესახებ, მივიდა, მაგრამ არ შეუშვეს. ამდენად, გაუგებარია, ნ. ჭ-მემ თავისი სურვილით თქვა უარი მის მიმართ მიმდინარე წარმოებაში მონაწილეობაზე, თუ სხვა პირთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები არასრებობდა.

შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის და 385-ე მუხლის თანახმად, მისი გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის მიზეზი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იმ არსებითი საკითხების გამოურკვეველობა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნ. ჭ-მის სამსახურებრივი შესაბამისობის დადგენისათვის, რის გამოც სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, არსებითად გადაეწყვიტა სადავო საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობისთვის მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი. სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი და დაევალოს თავდაცვის სამინისტროს საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, მიიღოს ახალი გადაწყვეტილება ნ. ჭ-მის მიერ სამხედრო ნაწილის დატოვების ფაქტზე. ხელახალი ადმინისტრაციული წარმოებისას აპელანტმა უნდა გაარკვიოს, ჰქონდა თუ არა ნამდვილად მიღებული ნ. ჭ-მეს სიტყვიერი თანხმობა სამსახურის დატოვების შესახებ უშუალოდ ხელმძღვანელობისაგან და იყო თუ არა იგი უფლებამოსილი, მეთაურის ბრძანების გარეშე, მხოლოდ სიტყვიერი ნებართვით დაეტოვებინა ტერიტორია. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ თუკი ნ. ჭ-მემ დატოვა სამსახური მეთაურთა სიტყვიერი ნებართვით და აღნიშნული მას ჩაეთვალა სამხედრო მოსამსახურისათვის უღირს საქციელად, მოჰყვა თუ არა შედეგად ამგვარი ნებართვის გაცემას, მეთაურების მიმართ რაიმე ადეკვატური ღონისძიებების გატარება სამინისტროს მხრიდან, რაც უტყუარი დასტური იქნება იმ გარემოებისა, რომ მოსარჩელის მიერ ადგილი ჰქონდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს და სამხედრო სადისციპლინო წესდების დარღვევას. თვითდათხოვნა, თუ ასეთი მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში, თავისთავად წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის სახეს და თუ იგი განხორციელდა მეთაურის კანონსაწინააღმდეგო ქმედებების მეშვეობით, შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდეთ თვით მოსარჩელის მეთაურებსაც, რათა დაცულ იქნეს კანონის წინაშე პირთა თანასწორობისა და პროპორციულობის პრინციპი. ამ პრინციპიდან გამომდინარე, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა შესაბამისი ზომები გატარებული მეთაურთა მიმართ, გაურკვეველია, რატომ იქნა საკითხი განსხვავებულად გადაწყვეტილი მოსარჩელესთან მიმართებაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისთვის ხელის შეშლა, აგრეთვე კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება, ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრეციული ზომების მიღება. აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის ხელახალი განხილვისას.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი. ამასთან, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასის სახით, რადგან საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო, ხოლო ბრძანება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სასამართლოს მიერ ბათილად არის ცნობილი და შესაბამისად, არ არსებობს ხელფასის გაუცემლობის საფუძველი.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ჭ-მემ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი ნ. ჭ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

კასატორი საკასაციო საჩივარს ძირითადად აფუძნებდა იმავე გარემოებებზე, რაზეც მიუთითებდა სასარჩელო განცხადებაში.

მეორე კასატორი -საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სამხედრო სამსახური არის სპეციფიკური სამსახური, რომელიც რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით, კონკრეტულ შემთხვევაში - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით და "საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდებით" დამტკიცებული 2006 წლის 10 თებერვლის საქართველოს პრეზიდენტის #111 ბრძანებულებით.

"საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების" პირველი მუხლი განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების ამოცანებსა და მიზნებს. ამავე წესდების 31-ე მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომის ცნება. მითითებული ნორმატიული აქტის 21-ე თავი განსაზღვრავს დისციპლინური საქმეების განხილვის წესს. შესაბამისად, როგორც აღინიშნა, ნ. ჭ-მის მიერ ჩადენილი ქმედება განხილულ იქნა სამანდატო კომისიაზე, რაც თავისი არსით ნიშნავს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის დარღვევის ფაქტებზე უსაფუძვლოა.

ასევე უსაფუძვლოა სასამართლოს მსჯელობა თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს #1681 ბრძანების შესახებაც, თითქოსდა იგი გამოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე მუხლების დუცვლიად.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნას და გასაჩივრებული ბრძანება ცნო ბათილად არა მოსარჩელის ნაწილში, არამედ მთლიანად (თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს #1681 ბრძანება ეხება რამდენიმე სამხედრო მოსამსახურის დათხოვნას).

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა სამინისტროსთვის ხელფასის განაცდურის დაკისრების ნაწილშიც, ვინაიდან ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი სადავო საკითხის გადაწყვეტლად. შესაბამისად, გაუმართლებელია სამინისტროსთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება ამ დავის საბოლოოდ დასრულებამდე, რადგან სასამართლოსთვის წინასწარ უცნობია რა გადაწყვეტილებას მიიღებს სამინისტრო ადმინისტრაციული წარმოების შედეგად. 32.4 მუხლით აქტის ბათილობისას უდავოა, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა უბრუნდება პირვანდელ (აქტის გამოცემამდე) მდგომარეობას. შესაბამისად, მისი ხელახლა გათავისუფლებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, გათავისუფლება მოხდება იმ თარიღიდან, როცა გასაჩივრებული აქტი გამოიცა, რადგან სასამართლომ სადავოდ გახადა არა გათავისუფლების თარიღი, არამედ ბრძანების გამოცემის დასაბუთებულობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მხარეთა შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნ. ჭ-მის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება და დამტკიცდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნ. ჭ-მის მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი და დავის მორიგებით დამთავრების გამო, სარჩელზე წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, ხოლო იმავე კოდექსის

272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნ. ჭ-ძეს შორის გაფორმებული, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2008 წლის 23 ივლისს წარმოდგენილი მო-რიგების აქტი და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხსენებული მორიგების აქტი არ შეიცავს რაიმე კანონსაწინააღმდეგო დებულებას, აღნიშნული მორიგების აქტით არ ილახება სახელმწიფო (საჯარო) ინტერესები და, ამდენად, შესაძლებელია დასახელებული მორიგების აქტის დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლზე და მხარეებს განუმარტავს, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-3 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" პუნქტით, 273-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნ. ჭ-ძის შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე;

2. მორიგების აქტის დამტკიცების გამო წინამდებარე საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება;

3. ნ. ჭ-ძის სარჩელზე შეწყდეს საქმის წარმოება;

4. დამტკიცდეს მორიგების აქტი ნ. ჭ-ძესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის, შემდეგი პირობებით:

ნ. ჭ-ძე უარს ამბობს:

1. 1.1 სასარჩელო მოთხოვნაზე სამინისტროსათვის იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში; 1.2 სასარჩელო მოთხოვნაზე აღდგენის ნაწილში ამ მორიგების 2.3 პუნქტში ჩამოყალიბებული სამინისტროს ვალდებულების გამო; 1.3 სასარჩელო მოთხოვნაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 01.08.2006 წლის #1681 ბრძანების (ნ. ჭ-ძის დათხოვნის ნაწილში) ბათილობის ნაწილში ამ მორიგების 2.1 პუნქტში ჩამოყალიბებული სამინისტროს ვალდებულების გამო;

2. კასატორი საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (მოპასუხე მხარე):

2.1 ბათილად ცნობს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 01.08.2006 წლის #1681 ბრძანებას (ნ. ჭ-ძის დათხოვნის ნაწილში);

2.2 იღებს ვალდებულებას ნ. ჭ-ძეს 01.07.2006 წლიდან 30.05.2008 წლამდე პერიოდი ჩაუთვალოს ნამსახურობის წელთა სტაჟში;

2.3 იღებს ვალდებულებას, მოახდინოს ნ. ჭ-ძის შრომითი მოწყობა არაუგვიანეს კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდის ამოწურვის თარიღისა.

5. მხარეებს განემარტოთ საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ დაუშვებელია იმავე საფუძველით, იმავე მხარეებს შორის, იგივე დავაზე სასამართლოსათვის მიმართვა.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

ბს-05-05(კ-08) 30 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: სამსახურში აღდგენა, იძულებით განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ხ-ვამ 09.03.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ და მოპასუხის 26.01.07წ. ბრძანების ბათილად ცნობა, წინანდელ თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.11.06წ. გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ლ. ხ-ვას სასარჩელო განცხადება -ბათილად იქნა ცნობილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 28.04.06წ. #220 ბრძანება მისი სასჯელაღსრულების ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ და მოპასუხეს დაევალა, გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გამოეცა ახალი ადმინისტრაციული აქტი. მოპასუხეს არანაირი ღონისძიება არ გაუტარებია, რითაც უგულვებლყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.11.06წ. გადაწყვეტილება. ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედო კვლავ ხელოვნურად შექმნილი ბრალდებები და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შეცდომაში შეყვანით 26.01.07წ. გამოცემული იქნა ახალი ადმინისტრაციული აქტი მისი სასჯელაღსრულების ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ. მოპასუხე მხარემ საჭიროდ არ ჩათვალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევა და ისე გამოსცა 26.01.07წ. ახალი ადმინისტრაციული აქტი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 26.01.07წ. #109 ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბის 26.01.07წ. დასკვნა, რომელიც შედგენილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბის უფროსი ინსპექტორის მიერ, რომელიც ადრე მონაწილეობას იღებდა 12.04.06წ. შემოწმების ცნობის შედგენაში და ხელს აწერდა ამ ცნობას. დასკვნის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბის მიერ სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი იქნა 12.04.06წ. შემოწმების ცნობაში აღნიშნული დარღვევები და აღმოჩნდა, რომ ამავე დეპარტამენტის #6 საპრობილემში სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსის, იუსტიციის კაპიტან ლ. ხ-ვას მიერ არ იყო შესრულებული "მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 29.12.99წ. #370 ბრძანების II თავის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ", "გ", "დ" და "ე" ქვეპუნქტების მოთხოვნები. დასკვნის თანახმად, მოსარჩელეს ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი, რომ შესრულებინა მასზე დაკისებული მოვალეობა. 15.03.06წ. შეტანილი იყო ყველა სახის ბარათები, რასაც ადასტურებდა #6 საპრობილის დირექტორის 03.11.06წ. #10/37-7-1652 წერილიც. დასკვნის მიხედვით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. რუსთავის #6 საპრობილის სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსის იუსტიციის კაპიტან ლ. ხ-ვას მიერ დარღვეულ იქნა სამსახურებრივი დისციპლინა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 28.12.99წ. #367 ბრძანებით დამტკიცებული "საპრობილის დებულების" მე-3 მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ფუნქციონალური მოვალეობის განაწილება შეადგენს საპრობილის დირექტორის კომპეტენციას, 10 დღეში 2668 ბარათის შევსება ექსტრემალურ პირობებში იყო შეუძლებელი. ახალი აქტის გამოცემამდე მოსარჩელისათვის ახსნა-განმარტება არ ჩამოურთმევიათ, მისთვის არ გაუცვიათ 26.01.07წ. შედგენილი დასკვნა, 26.01.07წ. დასკვნაში და სადავო ბრძანებაში არ არის მითითებული დისციპლინური დარღვევის კონკრეტული სახე, დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 31.12.99წ. #706 ბრძანებულების 21.4, 21.9 მუხლის მოთხოვნები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.06.07წ. გადაწყვეტილებით ლ. ხ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ხ-ვამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.10.07წ. განჩინებით ლ. ხ-ვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.06.07წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. საქალაქო სასამართლომ

მართებულად გამოიყენა "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის" შესახებ პრეზიდენტის #706 ბრძანებულების მე-20 მუხლის "ზ" პუნქტი, მე-17, 21.7-ე მუხლები, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 29.12.99წ. #370-ე ბრძანების მე-2 თავის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ", "გ", "დ" და "ე" ქვეპუნქტები, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 06.09.06წ. #712 ბრძანების "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "კ" და "ჟ" ქვეპუნქტები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტი. სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვერ გაიზიარებდა აპელანტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დეპარტამენტის შტაბის უფროს ინსპექტორს მ. მ-მეს უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში, როგორც 12.04.06წ. შემოწმებაში მონაწილე პირს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით განსაზღვრულია ის შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირი არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციულ წარმოებაში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ჩამონათვალი არ გავრცელდება მ. მ-მეზე, რადგან იგი არ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს საქმეში. იგი იყო ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი, რომელსაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციურად დაევალია თბილისის საქალაქო სასამართლოს 06.11.06წ. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შემდგომი რეაგირება. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 06.09.06წ. #712 ბრძანების "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დებულების" 73-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფი - შტაბი ანალიზებს სამსახურებრივი დისციპლინის მდგომარეობას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და იღებს ზომებს გამოვლენილი დარღვევებისა და ხარვეზების თავიდან ასაცილებლად. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 23.10.07წ. #17519 წერილის თანახმად, 2007 წლის 18 იანვრიდან 2007 წლის 04 მაისამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბის უფროსის თანამდებობა იყო ვაკანტური და შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებდა შტაბის უფროსი ინსპექტორი მ. მ-მე. ამავე დეპარტამენტის 22.10.07წ. #10/1-17454 წერილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.11.06წ. გადაწყვეტილება ლ. ხ-ვას საქმესთან დაკავშირებით გადაეცა დეპარტამენტის იურიდიულ განყოფილებას და დეპარტამენტის შტაბს შემდგომი რეაგირებისათვის. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მ. მ-მე, როგორც შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, უფლებამოსილი იყო დეპარტამენტის თავჯდომარის დავალების საფუძველზე მოემზადებინა 23.01.07წ. დასკვნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #6 საპრობოლის თანამშრომლის ლ. ხ-ვას შესახებ, რომლის თანახმადაც დადგინდა ლ. ხ-ვას მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევა. სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სააღსრულებო დეპარტამენტში ბარათები სტამბიდან შემოტანილ იქნა 04.04.06წ., ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 13.06.07წ. #10/6/1-9618 წერილის თანახმად, ქ. რუსთავის #6 საერთო, მკაცრი და სპეციალური რეჟიმის დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილებისათვის საჭირო ფორმები და ბლანკები შეტანილ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის განყოფილების იმდროინდელი უფროსის მიერ 15.03.06წ. და არა 04.04.06წ., როგორც ამას აპელანტი მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აპელანტის მიერ რაიმე სახის მტკიცებულება სააღრიცხვო ბარათების ქ. რუსთავის #6 საერთო, მკაცრი და სპეციალური რეჟიმის დაწესებულებებისათვის 04.04.06წ. გადაცემის თაობაზე წარმოდგენილი არ ყოფილა. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.11.06წ. გადაწყვეტილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას იხელმძღვანელა ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების მითითებებით, შესაბამისად გამოკვლეულ და კონკრეტულად მითითებულ იქნა ის სამართლებრივი საფუძველები, რომლის საფუძველზეც ლ. ხ-ვა დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ლ. ხ-ვას სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველები.

ლ. ხ-ვამ 28.12.07წ. საკასაციო საჩივრით მიმართა სასაქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.10.07წ. განჩინების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 31.03.06წ. #7493/შ ბრძანებით დაინიშნა რუსთავის #6 საპრობილემში საინფორმაციო სპეციალური განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზემოაღნიშნული ბრძანებით მასთან ერთად #6 საპრობილემში დანიშნეს ორი ინსპექტორი, რომლებიც იყვნენ სრულიად გამოუცდელი და ამ სისტემაში მუშაობის პრაქტიკას მოკლებულნი. რუსთავის #6 საპრობილემში პატიმრების პირველი ნაკადი (96 პატიმარი) შეიყვანეს 27.03.06წ., შემდეგ კი 31.03.06წ. დამით ქ. თბილისის #5 საპრობილემიდან გადაიყვანეს 553 პატიმარი. კასატორის აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბის 26.04.06წ. #10/2-2564 დასკვნის თანახმად, თბილისის #5 საპრობილის შემოწმების დროს აღმოჩენილი იქნა უამრავი დარღვევა, მათ შორის, პატიმართა პირადი საქმეები შეკერილი იყო თაბახის ფურცელზე, სპეციალური ყდების უქონლობის გამო. პირადი საქმეების უმრავლესობაში არ იყო პატიმრის ფოტოსურათები, დაქტილობარათები და სხვა ხარვეზები, რის გამოც ქ. თბილისის #5 საპრობილის აღრიცხვის უფროსი ინსპექტორი პ. ც-მე დაითხოვეს დაკავებული თანამდებობიდან. ასეთი ნაკლოვანებებით აღნიშნული 553 პატიმრის პირადი საქმე გადაგზავნილი იქნა 31.03.06წ. დამით #6 საპრობილემში, რის გამოც გადაგზავნილ პირადი საქმეების წესრიგში მოყვანას და მათში სათანადო ჩანაწერების შეტანას სჭირდებოდა ტიტანური შრომა და რაც მთავარია -დრო. #6 საპრობილის გახსნის დღიდან 10 დღის შემდეგ, 12.04.06წ. საპრობილემში შევიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან კომისია 5 თანამშრომლის შემადგენლობით და იმავე დღეს დაიწყო იმ განყოფილების დეტალური შემოწმება, სადაც ლ. ხ-ვა მუშაობდა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 11.04.06წ. #190 ბრძანებიდან ცხადია, რომ კომისიის მიზანი იყო რიგი დაწესებულებების შემოწმება მათში არსებული დარღვევების აღმოფხვრის, ძირითადად არსებული მდგომარეობის შესწავლისა და პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით. სინამდვილეში კი დაიწყო ორი კვირის გახსნილი #6 საპრობილის სპეცგანყოფილების სრულფასოვანი რევიზიული შემოწმება, არავითარი პრაქტიკული დახმარება არ გაუწვიათ ახლად გახსნილი დაწესებულებისათვის, სადაც მიმდინარეობდა ლ. ხ-ვასა და ორი ინსპექტორის მიერ ყოველდღიური, უდიდესი შრომატევადი მუშაობა: პირადი საქმეების რეგისტრაცია ჟურნალში, მისი შემოწმება ნაკლოვანებების აღმოჩენების და გასწორების მხრივ, შიგთავსი საბუთების შედარება და სასწრაფო ვადების გაკონტროლება და ა.შ. კასატორის მითითებით, არცერთ სასამართლო სხდომაზე არ გაუმახვილებიათ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ #5 საპრობილიდან გადაგზავნილი იქნა პატიმართა პირადი საქმეები, 672 პირადი საქმის წესრიგში მოყვანა, ყველა საჭირო დოკუმენტის შევსება, ყდების შეცვლა, მოითხოვდა პირადი საქმეების ხელახლა შეკვრას და მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი თითოეული პატიმრის პირადი საქმიდან ოთხი ახალი სხვადასხვა სახის ბარათების შევსება, რასაც ითვალისწინებს "მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის წარმოების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 29.12.99წ. #370 ბრძანების მე-2 თავი და "პატიმართა რეესტრისა და პირადი საქმეების წარმოების" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ", "გ", "დ" და "ე" ქვეპუნქტები. თითოეულ ახალ ბარათში არის დაახლოებით 20-25 კითხვა, რომლებზეც უნდა გაეცეს ზუსტი, ამომწურავი პასუხი, ე.ი. შესავსები იყო სულ 2688 ბარათი, ვინაიდან თითოეულ პატიმარზე ივსება ოთხი სხვადასხვა ბლანკი-ბარათი, სადაც შეტანილი იყო საშუალოდ 53760 კითხვის პასუხი. მიუხედავად ამისა, მან მაინც მოასწრო 100 ბარათის შევსება. ამასთან, გარდა ზემოაღნიშნული ბარათების შევსებისა, სპეცგანყოფილება ასრულებს ყოველდღიურ აუცილებელ სამუშაოს, რომელსაც ქ. თბილისის #5 საპრობილემში ასრულებდა 15 კაციანი ჯგუფი, ხოლო #6 საპრობილემში მხოლოდ სამი კაცი. კასატორის მოსაზრებით მის მიმართ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მიღებული ზომები არის უკანონო, დარღვეულია "სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ" 31.12.99წ. #706 პრეზიდენტის ბრძანებულების მე-18 მუხლის "გ" პუნქტი და მე-20 მუხლი, რომლის თანახმად სასჯელაღსრულების ორგანოს ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ხელქვეითი მოსამსახურეების სამსახურებობრივი დისციპლინის მდგომარეობისათვის, იგი მათ მიმართ მაღალი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალდებულია, უზრუნველყოს საჯაროობა და ობიექტურობა სამსახურებობრივი საქმიანობის შეფასებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, საკითხის შესწავლისა და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით მოწვეულ უნდა იქნეს დამოუკიდებელი ექსპერტ-სპეციალისტი, რომელიც დაადასტურებს, რომ ნორმალურ ვითარებაში, 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ზემოაღნიშნული რაოდენობის ბარათების შევსება და მათი ანბანური წესით დალაგება შეუძლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 18.01.08წ. განჩინებით, სასკ-ის 34.3 მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ხ-ვას საკასაციო საჩივარი. აღნიშნულ განჩინებაზე მოსაზრება წარმოადგინა სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა, რომლითაც მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.05.08წ. განჩინებით ლ. ხ-ვას საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. 23.07.08წ. სასამართლო სხდომაზე მხარეებმა გამოთქვეს მორიგების სურვილი, რისთვისაც განესაზღვრათ ვადა. 30.07.08წ. სასამართლოს წარუდგინეს ლ. ხ-ვასა და

სასჯელადსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

30.07.08წ. საკასაციო პალატას წარედგინა ლ. ხ-ვასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მორიგების აქტი, რომლის თანახმად, ლ. ხ-ვა უარს აცხადებს საკასაციო საჩივარზე და თანახმაა, სანაცვლოდ მოპასუხისაგან მიიღოს 1000 ლარი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტი კისრულობს ვალდებულებას ლ. ხ-ვას გადაუხადოს 1000 ლარი.

საკასაციო პალატამ განიხილა 30.07.08წ. მხარეებს შორის დადებული მორიგების აქტი. მორიგების აქტს ხელს აწერენ საამისოდ უფლებამოსილი პირები. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 29.07.08წ. #1/0/9/2-13937 რწმუნებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების უფროსი ინსპექტორი ე. შ-იას მიენიჭა მოცემულ საქმეზე მორიგების უფლებამოსილება. ლ. ხ-ვა მორიგების აქტს ხელს აწერს პირადად. მორიგების აქტის საფუძველზე, მხარეებს შორის არსებული ყველა სადავო საკითხი მოგვარებულია და ისინი სსკ-ის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად წყვეტენ სასამართლო დავას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის მორიგებით დამთავრება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, სასკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შესაძლებელია მორიგების აქტის დამტკიცება. სასკ-ის მე-3 მუხლის 1 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სსკ-ის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობით. სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმისწარმოება მორიგებით დაამთავრონ ან უარი თქვან სარჩელზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის თანახმად, მხარეთა მორიგება არის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით, 378-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ხ-ვასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ლ. ხ-ვას საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება მხარეთა შორის მორიგების მიღწევის გამო;
3. დამტკიცდეს მხარეთა შორის მორიგება შემდეგი პირობებით: ლ. ხ-ვა უარს აცხადებს საკასაციო საჩივარზე, რის სანაცვლოდაც თანახმაა მიიღოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტისაგან 1000 ლარი. თავისი მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტი კისრულობს ვალდებულებას ლ. ხ-ვას გადაუხადოს 1000 ლარი;
4. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა უფლებამონაცვლეობის დაუშვებლობის გამო განჩინება

#ბს-615-585(კ-07) 16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სადავო სამართალურთიერთობიდან მოწინააღმდეგე მხარის გასვლის გამო სოციალური სუბსიდიების სააგენტოს (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის საკითხი.

სასამართლომ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის წარმოებაშია სოციალური სუბსიდიების სააგენტოს (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი. განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარეა დ. ბ-შვილი. დავის საგანს შეადგენს ორი სახეობის პენსიის დანიშვნა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის 15.07.08წ. #01/15-12-3964 წერილით დასტურდება, რომ დ. ბ-შვილი გარდაიცვალა 08.01.08წ., გარდაცვალების ფაქტი დარეგისტრირდა 21.01.08წ.-ს. სსკ-ის 92.1 მუხლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით, ხოლო სსკ-ის 272-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საგნის შინაარსიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა, რის გამოც, თვლის, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს სსკ-ის 272-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, სსკ-ის 272-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შეწყდეს საქმის წარმოება სოციალური სუბსიდიების სააგენტოს (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარზე;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა დაკარგული საქმის წარმოუდგენლობის გამო განჩინება

#ბ-1938-30(ა-06) 14 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ცისკაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 7 თებერვლის #3გ/ად-289-02 გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე ა. ბ-ძის განცხადებაზე წარმოების შეწყვეტის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 7 თებერვლის #3გ/ად-289-02 გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე ა. ბ-ძის განცხადება მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა 2006 წლის 20 დეკემბერს მხარეთა დასწრების გარეშე.

2006 წლის 24 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ ბათუმის საქალაქო სასამართლოდან და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან სასწრაფოდ გამოითხოვა საქმე ა. ბ-ძესა და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის ა/რ რეგიონალურ სამმართველოს შორის.

2006 წლის 4 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას გამოუგზავნა პასუხი საქმის გამოთხოვის მიმართვაზე -ხსენებულ პასუხში აღნიშნული იყო, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში არ იმყოფებოდა საქმე ა. ბ-ძესა და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის

ა/რ რეგიონალურ სამმართველოს შორის, ბათუმის საქალაქო სასამართლოდან კი არ შემოვიდა არც გამოთხოვილი საქმე და არც რაიმე პასუხი საქმის გამოთხოვის შესახებ მიმართვაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 20 დეკემბრის განჩინებით საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან შეუძლებელი იყო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 7 თებერვლის #3გ/ად-289-02 გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ა. ბ-ძის განცხადების განხილვა ა. ბ-ძესა და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის ა/რ რეგიონალურ სამმართველოს შორის გამოთხოვილი საქმის უზენაეს სასამართლოში შემოსვლამდე, ხსენებული განცხადების განხილვა უნდა გადანიშნულიყო და მისი განხილვის კონკრეტული თარიღი დამატებით ცნობებოდათ მხარეებს დასახელებული საქმის უზენაეს სასამართლოში შემოსვლის შემდეგ.

2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ წერილით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და კიდევ ერთხელ მოითხოვა ა. ბ-ძესა და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის ა/რ რეგიონალურ სამმართველოს შორის გამოთხოვილი საქმის უმოკლეს ვადაში გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2007 წლის 15 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლოდან ა. ბ-ძესა და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის ა/რ რეგიონალურ სამმართველოს შორის გამოთხოვილი საქმის ნაცვლად, უზენაეს სასამართლოში შემოვიდა აღნიშნული საქმიდან მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების ასლები, ვინაიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, დასახელებული საქმე იყო განადგურებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 თებერვლის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 7 თებერვლის #3გ/ად-289-02 გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ა. ბ-ძის განცხადების უზენაეს სასამართლოში განხილვა გადანიშნა ა. ბ-ძესა და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის ა/რ რეგიონალურ სამმართველოს შორის საქმის აღდგენამდე და ამ საქმის უზენაეს სასამართლოში შემოსვლამდე და დადგინდა, რომ მისი განხილვის კონკრეტული თარიღი დამატებით ეცნობებოდათ მხარეებს დასახელებული საქმის უზენაეს სასამართლოში შემოსვლის შემდეგ; ა. ბ-ძეს განემარტა, რომ მას უფლება ჰქონდა, მიემართა ბათუმის საქალაქო სასამართლოსათვის დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ განცხადებით.

საკასაციო სასამართლომ 2007 წლის 7 თებერვლის განჩინებით მიიჩნია, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 7 თებერვლის #3გ/ად-289-02 გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ა. ბ-ძის განცხადების განხილვა შეუძლებელი იყო მხოლოდ ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების ასლებზე დაყრდნობით, ა. ბ-ძესა და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის ა/რ რეგიონალურ სამმართველოს შორის გამოთხოვილი საქმის გარეშე. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის X II¹ თავი ითვალისწინებს დაკარგული საქმის წარმოების აღდგენას. აღნიშნული კოდექსის 351¹ მუხლის თანახმად, დაკარგული საქმის წარმოება შეიძლება აღდგენილ იქნეს მხარეთა განცხადებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით ა. ბ-ძეს დაევა, მას და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის ა/რ რეგიონალურ სამმართველოს შორის საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენა შესაბამისი სასამართლო შეტყობინების მისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 7 თებერვლის #3გ/ად-289-02 გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე ა. ბ-ძის განცხადებაზე წარმოება შეწყდებოდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შესაბამისი შეტყობინების მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინების საფუძველზე ა. ბ-ძეს შესაბამისი სასამართლო შეტყობინება ჩაჰბარდა 2008 წლის 11 მარტს და შესაბამისად, მასა და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის ა/რ რეგიონალურ სამმართველოს შორის საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენის ვადა ა. ბ-ძეს ამოეწურა 2008 წლის 11 აპრილს. ა. ბ-ძეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში არ წარმოუდგენია მასა და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის ა/რ რეგიონალურ სამმართველოს შორის საქმე და ამდენად, არ შეუსრულებია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით მისთვის მიცემული დავალება, რაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა

პალატის 2003 წლის 7 თებერვლის #3გ/ად-289-02 გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე ა. ბ-მის განცხადებაზე წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 284-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 7 თებერვლის #3გ/ად-289-02 გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე ა. ბ-მის განცხადებაზე შეწყდეს წარმოება;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

განჩინება

#ბს-2057-22(ა-07)

6 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს "ნავთლულის" განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 27.09.07წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "ნავთლულის" დირექტორმა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სს "მამულის" მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოს და საიჯარო ქირის გადახდა, დაკავებული ფართიდან სს "მამულის" გასახლება და სს "მამულის" საპრივატიზებო სიდიდან შპს "ნავთლულის" კუთვნილი ქონების -ხილბოსტანვაჭრობის #66 მაღაზიისა და #66 პავილიონის ამორიცხვა მოითხოვა.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა აგრეთვე სს "მამულის" დირექტორმა შპს "ნავთლულის", საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის მიმართ და პრივატიზაციის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ქონების ჩამონათვალის აქტიდან ქონების ამორიცხვა და რეესტრის უზუსტო ჩანაწერების შესწორება მოითხოვა.

შპს "ნავთლულისა" და სს "მამულის" სარჩელების გამო წარმოებული საქმეები გაერთიანდა ერთ საქმედ.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 28.12.04წ. გადაწყვეტილებით შპს "ნავთლულის" სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა -დაკმაყოფილდა სს "მამულის" სასარჩელო მოთხოვნა, შპს "ნავთლულის" საკოლმეურნეო ბაზრის კოლექტივისათვის იჯარით გადასაცემი ძირითადი ქონების ჩამონათვალსა და შეფასების შესახებ აქტიდან ამოღებულ იქნა ხილბოსტანვაჭრობის #66 მაღაზია და #66 პავილიონი, ბათილად იქნა ცნობილი შპს "ნავთლულის" მიერ განხორციელებული პრივატიზაცია და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 12.06.95წ. გაცემული საკუთრების მოწმობა სადავო ქონების ნაწილში, ობიექტები ამორიცხა ზემოაღნიშნული დოკუმენტებიდან.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 28.12.04წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ნავთლულმა". თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.02.07წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა -უცვლელად დარჩა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 28.12.04წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "ნავთლულმა".

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 09.07.07წ. განჩინებით შპს "ნავთლულის" საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა მის გამოსასწორებლად. კასატორს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. საქართველოს უზენაესი

სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 27.09.07წ. განჩინებით ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო შპს "ნავთლუღის" საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

17.10.07წ. შპს "ნავთლუღმა" განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ხარვეზის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 09.07.07წ. განჩინება 24.07.07წ. ჩაჰბარდა და 31.07.07წ., სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, სახელმწიფო ბაჟი შეტანილ იქნა სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე "საქართველოს ბანკის" მეშვეობით. აღნიშნულის თაობაზე საკასაციო პალატისათვის ცნობილი არ ყოფილა და მისი საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად. განმცხადებელმა წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობისა და შპს "ნავთლუღის" განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 09.07.07წ. განჩინებით შპს "ნავთლუღის" საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა მის გამოსასწორებლად. კასატორს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო შპს "ნავთლუღის" საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს 27.09.07წ. განჩინებით დარჩა განუხილველი. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი, საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალის მიერ გაცემული 31.07.07წ. #54 საგადასახადო დავალებით დასტურება რომ შპს "ნავთლუღმა" სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეზე საკასაციო პალატის 09.07.07წ. განჩინებით განსაზღვრული ოდენობით შეიტანა სახელმწიფო ბიუჯეტში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ხარვეზის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 09.07.07წ. განჩინებით კასატორს არ განემარტა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოსათვის წარმოდგენის ვალდებულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შპს "ნავთლუღის" განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 27.09.07წ. განჩინება და განახლდეს საქმის წარმოება შპს "ნავთლუღის" საკასაციო საჩივარზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "ნავთლუღის" განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 27.09.07წ. განჩინება;

2. განახლდეს საქმის წარმოება შპს "ნავთლუღის" საკასაციო საჩივარზე;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

#ბ-200-03(ა-08)

20 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

1999 წლის 14 სექტემბერს დ. ლ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების -ქ. ქუთაისის მერიისა და სს "რიონჭესის" მიმართ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის საფუძველზე მოსარჩელემ, მისთვის მიყენებული ზიანის -80000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხეებისათვის დაკისრება მოითხოვა.

მოგვიანებით, ჯ. ხ-ანმა, ჟ. ლ-ანმა და ჯ. ა-ანმა სასარჩელო განცხადებებით მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იმავე მოპასუხეების -ქ. ქუთაისის მერიისა და სს "რიონჭესის" მიმართ და იმავე საფუძველზე, მ. რიონის მიერ კალაპოტის შეცვლისა და მათი საცხოვრებელი სახლების დანგრევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს, კერძოდ: ჯ. ხ-ანმა -მოპასუხეებისათვის 60000 აშშ დოლარის, ჟ. ლ-ანმა -50000 აშშ დოლარის, ხოლო ჯ. ა-ანმა -60000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 5 ნოემბრის განჩინებით დ. ლ-ძის, ჯ. ხ-ანის, ჟ. ლ-ანისა და ჯ. ა-ანის სარჩელების გამო აღძრული საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელეებმა დააზუსტეს სარჩელი და მოითხოვეს: დ. ლ-ძემ მოპასუხეებისათვის -45650 აშშ დოლარის, ჟ. ლ-ანმა -28563 აშშ დოლარის, ჯ. ა-ანმა -23800 აშშ დოლარის, ხოლო ჯ. ხ-ანმა -32800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხეებს -სს "რიონჭესსა" და ქ. ქუთაისის მერიას ჟ. ლ-ანის სასარგებლოდ -28563 აშშ დოლარის, ჯ. ა-ანის სასარგებლოდ -23800 აშშ დოლარის, ჯ. ხ-ანის სასარგებლოდ -32800 აშშ დოლარის, დ. ლ-ძის სასარგებლოდ -45650 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; ამასთან, სს "რიონჭესს" უნდა გადაეხადა მთლიანი გადასახდელი თანხის 70%, ხოლო ქ. ქუთაისის მერიას -30%.

აღნიშნული გადაწყვეტილება სს "რიონჭესმა" სააპელაციო წესით გაასაჩივრა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 23 იანვრის განჩინებით სს "რიონჭესის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად დაუბრუნდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

2001 წლის 10 სექტემბერს ი. ბ-ძემ, ნ. ხ-ანმა, თ. ჩ-ძემ, გ. ს-ძემ და თ. ო-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იმავე მოპასუხეების -ქ. ქუთაისის მერიისა და სს "რიონჭესის" მიმართ და მიუთითეს იმავე საფუძველზე. მოსარჩელეებმა -ი. ბ-ძემ, ნ. ხ-ანმა, თ. ჩ-ძემ, გ. ს-ძემ და თ. ო-ძემ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის საფუძველზე, მიყენებული ზიანის -თითოეულისათვის 50000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება მოითხოვეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 30 აპრილის განჩინებით დ. ლ-ძის, ჯ. ხ-ანის, ჯ. ა-ანის, ჟ. ლ-ანისა და ი. ბ-ძის, ნ. ხ-ანის, თ. ჩ-ძის, გ. ს-ძისა და თ. ო-ძის სარჩელების გამო აღძრული საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

მოპასუხე სს "რიონჭესმა" შეგებებული სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების -ქ. ქუთაისის მერიისა და დ. ლ-ძის მიმართ. შეგებებული სარჩელის ავტორმა მოპასუხეებისათვის მის სასარგებლოდ 26000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მერიას და სს "რიონჭესს" სოლიდარულად დაეკისრა თ. ხ-ანის სასარგებლოდ -50000 ლარის, ჟ. ლ-ანის სასარგებლოდ -50000 ლარის, ჯ. ხ-ანის სასარგებლოდ -47000 ლარის, გ. ს-ძის სასარგებლოდ -37000 ლარის, ი. ბ-ძის სასარგებლოდ -50000 ლარის, ჯ. ა-ანის სასარგებლოდ -50000 ლარის, თ. ო-ძის სასარგებლოდ -50000 ლარის, თ. ჩ-ძის სასარგებლოდ -50000 ლარისა და დ. ლ-ძის სასარგებლოდ 70000 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომ -ქ. ქუთაისის მთავრობამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა მისთვის თანხის დაკისრების ნაწილში. აპელანტმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით სს "რიონჭესმაგ" გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, მისი არასათანადო მოპასუხედ ცნობა და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა, რომლითაც ქ. ქუთაისის მერიას დაეკისრებოდა სს "რიონჭესის" მიერ დ. ლ-ძისათვის გადახდილი 2600 ლარის, ასევე, მოცემულ საქმეზე ჩატარებულ ექსპერტიზაზე სს "რიონჭესის" მიერ დახარჯული -3928 ლარისა და სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -5000 ლარის, სულ -11528 ლარის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს -ქ. ქუთაისის მთავრობის და სს "რიონჭესის" სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება; სს "რიონქვის" შეგებებული სარჩელი ქ. ქუთაისის მერიისა და დ. ლ-ძის მიმართ, 2600 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სააპელაციო საჩივრები, თუმცა იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ იმსჯელა სს "რიონქვის" შეგებებულ სარჩელზე, მოცემულ საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში კი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ქუთაისის მერიამ. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისთვის დაბრუნება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით სს "რიონქვმაგ" გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისთვის დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მერიისა და სს "რიონქვის" (უფლებამონაცვლე - სს "ენერჯია XXI") საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; დ. ლ-ძისა და სხვათა სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. ქუთაისის მერიასა და სს "რიონქვის" (უფლებამონაცვლე - სს "ენერჯია XXI") მოსარჩელეთა სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება შემდეგი ოდენობით: ნ. ხ-ანის სასარგებლოდ -25000 ლარი, ჟ. ლ-ანის სასარგებლოდ -25000 ლარი, ჯ. ხ-ანის სასარგებლოდ -37000 ლარი, გ. ს-ძის სასარგებლოდ -18500 ლარი, ი. ბ-ძის სასარგებლოდ -25000 ლარი, ჯ. ა-ანის სასარგებლოდ -40000 ლარი, თ. ო-ძის სასარგებლოდ -40000 ლარი, თ. ჩ-ძის სასარგებლოდ -25000 ლარი, დ. ლ-ძის სასარგებლოდ -35000 ლარი; სს "რიონქვის" (უფლებამონაცვლე - სს "ენერჯია XXI") შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2008 წლის 1 თებერვალს ქ. ქუთაისის მერიამ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით ფოსტის მეშვეობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(2კ-07) გადაწყვეტილების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და ხსენებული გადაწყვეტილების აღსრულების დროებით შეჩერება.

განმცხადებლის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში ქ. ქუთაისის მერიის მიერ მოპოვებულ იქნა მტკიცებულება, რომელიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა ქ. ქუთაისის მერიისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. 2008 წლის 30 იანვარს ქ. ქუთაისის მერიისათვის ცნობილი გახდა თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ "რიონქვის" წყალსაცავის მარჯვენა სანაპიროზე გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე მცხოვრებ მოქალაქეთა - ნ. ხ-ანის, გ. ს-ძის, ი. ბ-ძის, ჯ. ა-ანის, თ. ო-ძის, გ. ჩ-ძის, დ. ლ-ძის საცხოვრებელი სახლებიდან, იმავე სამსახურში დაცული ინფორმაციით მხოლოდ სამი მოქალაქის - გ. ს-ძის, დ. ლ-ძისა და ჯ. ა-ანის საცხოვრებელი სახლებია ექსპლუატაციაში მიღებული, რაც დასტურდება სათანადო აქტებით. დანარჩენი საცხოვრებელი სახლები ექსპლუატაციაში არ არის მიღებული, რითაც დასტურდება ის ფაქტი, რომ დანარჩენი სახლების მშენებლობა იმ დროისათვის არ იყო დასრულებული და ისინი არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო საცხოვრებლად. საგულისხმო და გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქუთაისის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, დადგინდეს მიიჩნიეს ქონებრივი ზიანის არსებობა დ. ლ-ძის, ჟ. ლ-ანის, ჯ. ხ-ანის, ჯ. ა-ანის, ი. ა-ანის, ნ. ხ-ანის, თ. ჩ-ძის, გ. ს-ძის, თ. ო-ძის სასარგებლოდ. ხსენებულ ექსპერტიზის დასკვნაში (2005 წლის 19 მარტი, #1674/15) მითითებულია, რომ ჩათვლილ იქნა, რომ სახლები იყო დამთავრებული და კეთილმოწყობილი და საცხოვრებელი სახლები შეფასებულ იქნა (საქართველოს ქალაქებსა და დასახლებებში მოქალაქეთა კუთვნილებაში არსებული შენობა-ნაგებობების გაფასების კრებულით). ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ მხოლოდ აღნიშნული სამი მოქალაქის საცხოვრებელი სახლი იყო დამთავრებული და კეთილმოწყობილი, ამასთან, შესაბამისი წესით ექსპლუატაციაში სათანადო წესით მიღებული. ამდენად, ქ. ქუთაისის მერიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ცვლის საქმის გარემოებას, რამდენადაც საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას და ქ. ქუთაისის მერიის მიმართ ნ. ხ-ანის, ჟ. ლ-ანის, ჯ. ხ-ანის, გ. ს-ძის, ი. ბ-ძის, ჯ. ა-ანის, თ. ო-ძის, თ. ჩ-ძის, დ. ლ-ძის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, თანხების განსაზღვრისა და დაკისრებისას დაეყრდნო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნას, რაც არასწორია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის თანახმად, ქ. ქუთაისის მერიის მიერ დაცულია განცხადების წარმოდგენის ერთთვიანი ვადა, რადგან ზემოხსენებული მტკიცებულება მოპოვებულ იქნა 2008 წლის 30 იანვარს, ამასთან,

მანამდე აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მან ვერ მოიპოვა, რადგან ქ. ქუთაისის მერიაში არაერთგზის განხორციელებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა მას ხელი შეუშალა აღნიშნული დოკუმენტის მოპოვებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ქუთაისის მერიის განცხადება მიჩნეულ იქნა დასაშვებად და ამ განცხადების განხილვა დაინიშნა 2008 წლის 20 მარტს, მხარეთა დასწრების გარეშე; ქ. ქუთაისის მერიის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდა დროებით -ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ქუთაისის მერიის განცხადების განხილვამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ქუთაისის მერიის განცხადებას და მიაჩნია, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. იმავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. ქუთაისის მერიამ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებას დაურთო თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2008 წლის 31 იანვრის #01-44 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ "რიონჰესის" წყალსაცავის მარჯვენა სანაპიროზე გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე მცხოვრებ მოქალაქეთა -ნ. ხ-ანის, გ. ს-ძის, ი. ბ-ძის, ჯ. ა-ანის, თ. ო-ძის, გ. ჩ-ძის, დ. ლ-ძის საცხოვრებელი სახლებიდან ექსპლუატაციაში იყო მიღებული გ. ს-ძის, დ. ლ-ძისა და ჯ. ა-ანის საცხოვრებელი სახლები, რაც დასტურდება ამავე წერილში მითითებული შესაბამისი აქტებით, დანარჩენი საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ აქტები კი იმავე სამსახურში არ მოიპოვებოდა.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. ქუთაისის მერია თავის განცხადებას ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მხოლოდ სამი მოქალაქის -გ. ს-ძის, დ. ლ-ძისა და ჯ. ა-ანის საცხოვრებელი სახლებია ექსპლუატაციაში მიღებული, რაც დასტურდება სათანადო აქტებით, ხოლო დანარჩენი საცხოვრებელი სახლები ექსპლუატაციაში არ არის მიღებული, რითაც დასტურდება ის ფაქტი, რომ დანარჩენი სახლების მშენებლობა იმ დროისათვის არ იყო დასრულებული და ისინი არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო საცხოვრებლად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოს არ დაუფუძნებია მოსარჩელეთა სახლების მხოლოდ ექსპლუატაციაში მიღებაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება განმცხადებელს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხსენებული გადაწყვეტილების მიღებისას საკასაციო სასამართლოს არ უხელმძღვანელია საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით და ამ დასკვნით განსაზღვრული ოდენობის მიხედვით არ გადაუწყვეტია მოსარჩელეთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი. გარდა ამისა, განმცხადებელი სარწმუნოდ ვერ ადასტურებს დასახელებული სახლების ექსპლუატაციაში მიუღებლობას, ხოლო საკასაციო სასამართლომ 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილება, ძირითადად, დააფუძნა იმაზე, რომ მოსარჩელებს რეალურად გააჩნდათ საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ზოგიერთ მათგანს ჩაეჭვა, ხოლო ზოგიერთმა შეძლო სახლების გადატანა, რის გამოც მათ მიადგათ შესაბამისი ზიანი. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 21 ნოემბრის სხდომაზე ქ. ქუთაისის მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ ჯ. ხ-ანმა, ჯ. ა-ანმა და თ. ო-ძემ ვერ შეძლეს სახლების გადატანა და იმავე სხდომაზე მანვე

დადასტურა, რომ მოსარჩელეთა არც ერთი სახლი არ იყო უკანონო ნაგებობა, ყველა მათგანი იყო ნებართვით აშენებული და გაცემული მათზე შესაბამისი საბინაო წიგნები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ე"- "ვ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის წარმოების განახლება იურიდიულად შეუძლებელია, თუ მხარე ვერ დაამტკიცებს, რომ ბრალის გარეშე, ანუ ობიექტური მიზეზით არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ამასთან, მხარის მიერ მითითებული მიზეზი რეალურად, თავისი ხასიათით სრულად უნდა გამოირიცხავდეს გადაწყვეტილების მიღების დროს მხარის მიერ შესაბამის ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე მითითების შესაძლებლობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. ქუთაისის მერიამ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაში მიუთითა, რომ მან ზემოთ მითითებული მტკიცებულება ვერ მოიპოვა 2008 წლის 30 იანვრამდე იმ მიზეზით, რომ ქ. ქუთაისის მერიაში არაერთგზის განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები, რამაც მას ხელი შეუშალა აღნიშნული დოკუმენტის მოპოვებაში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის მიერ აღნიშნულ გარემოებაზე მითითება ვერ დააფუძნებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ, საქმის განახლებისათვის აუცილებელი ელემენტის -ამავე მხარის არაბრალეულობის არსებობას, რადგან, ჯერ ერთი, ქ. ქუთაისის მერია ვერ ასაბუთებს, თუ რატომ შეუშალა ხელი იმავე მერიაში განხორციელებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა მას დასახელებული მტკიცებულების მოპოვებაში და მეორეც, იგი ახალ მტკიცებულებად მიიჩნევს თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2008 წლის 31 იანვრის #01-44 წერილს, ანუ იმ სამსახურის დოკუმენტს, რომელიც სტრუქტურულად შედის ამავე მერიის შემადგენლობაში, როგორც მისი ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული და სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, მთლიანობაში ქმნის ქ. ქუთაისის მერიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ქუთაისის მერიის განცხადება არის უსაფუძვლო, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით ქ. ქუთაისის მერიის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდა დროებით -ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ქუთაისის მერიის განცხადების განხილვამდე, ხოლო მოცემული განჩინებით არ დაკმაყოფილდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ქუთაისის მერიის განცხადება, შესაბამისად, აღარ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საფუძველი, რის გამოც უნდა გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(23-07) გადაწყვეტილების აღსრულების დროებით შეჩერების თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(2კ-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ქუთაისის მერიის განცხადება არ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის #ბს-473-450(2კ-07) გადაწყვეტილების აღსრულების დროებით შეჩერების თაობაზე;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმა

განჩინება

#ბს-379-05(ა-08)

26 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.10.07წ. განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ჩ-მემ 18.02.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და სახელფასო დავალიანების გადახდის დავალება მოითხოვა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 11.04.2005წ. გადაწყვეტილებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა; მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელე ბ. ჩ-მის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 11.04.05წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.05.07წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 11.04.05წ. გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.05.07წ. განჩინება 19.07.07წ. საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 18.09.07წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სზაკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. მხარეებს განესაზღვრათ საპროცესო ვადა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

საკასაციო სასამართლოს 12.12.07წ. განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

25.02.08წ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლოს 12.12.07წ. განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ მოტივით, რომ განმცხადებლისათვის 18.10.07წ. განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები, რომლებიც აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში რომ ყოფილიყო საკასაციო სასამართლოსათვის წარდგენილი, გამოიწვევდა კასატორისათვის ხელსაყრელი განჩინების

გამოტანას. განმცხადებლის მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.02.08წ. განჩინებით წარმოებაში მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.10.07წ. გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით სრულიად კანონიერად დაეკისრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოსარჩელისათვის იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სახელფასო დავალიანების გადახდა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო იხილავდა იდენტური ფაქტობრივი გარემოების მქონე დავას. მითითებულ დავაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაეკისრა სადავო სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. განმცხადებლის განმარტებით, მრავალი ასეთი დავა იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში, რაც ადასტურებს, რომ ბ. ჩ-ძის სარჩელის გამო წარმოებული საქმე მეტად მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საკასაციო პალატის 12.12.07წ. განჩინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა 11.02.08წ., რაც ადასტურებს, რომ მის მიერ განცხადება წარდგენილია სსკ-ის 424-ე მუხლით დადგენილი ვადის დაცვით. განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაში მიუთითა აგრეთვე მისი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის დამადასტურებელ გარემოებებზე. განმცხადებელმა საკასაციო პალატის 12.12.07წ. განჩინების გაუქმება, მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა, და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ბ. ჩ-ძის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სსკ-ის 423-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ ახლად აღმოჩენილი გარემოება არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ მის თაობაზე მხარისათვის არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი. ამასთანავე, ახლად აღმოჩენილი გარემოება უნდა იყოს არსებითი მნიშვნელობის მქონე, რომლის საფუძველზეც, სავარაუდოდ, მხარისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანა იქნებოდა შესაძლებელი.

განსახილველ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 18.09.07წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული ასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. მხარეებს განესაზღვრათ საპროცესო ვადა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად. საკასაციო სასამართლოს 12.12.07წ. განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

უსაფუძვლოა განმცხადებლის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 01.02.08წ. განჩინება წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რომელიც, ცნობილი რომ ყოფილიყო 12.12.07წ. განჩინების მიღებისას, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნებოდა მიჩნეული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 01.02.08წ. განჩინებით ანალოგიურ საქმეზე დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი და არ ყოფილა დასაშვებად ცნობილი, როგორც ეს განცხადებაშია აღნიშნული. მითითებული განჩინება მიღებულია 12.12.07წ. განჩინების მიღების შემდეგ, თუმცა სადავო გადაწყვეტილების მიღებისას მისი არსებობის შემთხვევაშიც აღნიშნული დოკუმენტი გავლენას ვერ იქონიებდა საკასაციო პალატის გადაწყვეტილებაზე.

სადავო განჩინების გაუქმების საფუძველს არ ქმნის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.10.07წ. გადაწყვეტილება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.06.07წ. გადაწყვეტილება, რომლითაც ანალოგიურ საქმეზე სადავო სახელფასო დავალიანების ანაზღაურება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაეკისრა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ქვედა ინსტანციების მიერ ანალოგიურ საქმეზე განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება არ ქმნის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების (გადაწყვე-

ტილების) გაუქმების საფუძველს, აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს თავად ამ გადაწყვეტილებათა გაუქმება. ასევე არ გამოიწვევს საკასაციო პალატის განჩინების გაუქმებას ერთგვაროვან საქმეებზე დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შეცვლა და საკასაციო პალატის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები და მიიჩნია, რომ იგი არ აკმაყოფილებდა ასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობებს და სააპელაციო სასამართლოს მიერ დავა არსებითად სწორად იყო გადაწყვეტილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.12.07წ. განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421.1, 430-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 12.12.07წ. განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

#ბ-2224-25(ა-07) 27 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოსაქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმა

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 5 თებერვალს ნ. ღ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა მარტვილის რაიონის სასამართლოს მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის მარტვილის რაიონის საგამომიებო განყოფილების ყოფილი გამომძიებლის -გ. ც-ვას მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის მარტვილის რაიონის საგამომიებო განყოფილების გამომძიებლის -გ. ც-ვას მიერ, 1994 წლის 3 აგვისტოს გამოტანილი დადგენილება დანაშაულის ჩამდენი გ. ღ-იას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, უკანონო იყო. მოსარჩელის მტკიცებით, დანაშაულის დაფარვამ და ხსენებულ საქმეში დაშვებულმა კანონის დარღვევამ მის ოჯახს მორალური ზიანი მიაყენა, რის გამოც მოსარჩელემ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე მორალური ზიანის -50000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოგვიანებით, მოსარჩელემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა მარტვილის რაიონულ სასამართლოს, რომელშიც აღნიშნა, რომ მისმა ოჯახმა გამომძიებელ გ. ც-ვას უკანონო ქმედებით განიცადა მორალური ზიანი, ვინაიდან გ. ღ-იას ოჯახთან დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად თავისი ერთადერთი ვაჟი რუსეთში გაგზავნა, სადაც იგი დაიღუპა, მისმა მეუღლემ კი ამ ოჯახური ტრაგედიის შედეგად თავი მოიკლა. ამდენად, მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მოპასუხისათვის თავის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 30000 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 29 მაისის განჩინებით მოცემული საქმე განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს -ფოთის საქალაქო სასამართლოს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 5 აპრილის განჩინებით ამ საქმეში თანამოპასუხედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ჩაება.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ლ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნ. ლ-იამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 11 თებერვლის განჩინებით ნ. ლ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება ნ. ლ-იამ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 25 აპრილის განჩინებით ნ. ლ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 11 თებერვლის განჩინება და საქმე განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ნ. ლ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა -უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინება ნ. ლ-იამ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ნ. ლ-იას საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებიდან ირკვეოდა, რომ ნ. ლ-იას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინება ჩაჰბარდა 2006 წლის 26 ოქტომბერს, მან კი აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2006 წლის 1 დეკემბერს, ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დარღვევით.

2007 წლის 22 იანვარს ნ. ლ-იამ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და ამავე პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინება მას ჩაჰბარდა არა 2006 წლის 26 ოქტომბერს, არამედ 2006 წლის 4 ნოემბერს და შესაბამისად, ერთთვიანი ვადის ათვლაც სწორედ აღნიშნული თარიღიდან უნდა დაწყებულიყო. ამასთან, ხსენებულ განცხადებას თან ერთვოდა შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსის მიერ 2007 წლის 15 იანვარს გაცემული ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ნ. ლ-იას განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების თანახმად, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის გასაჩივრებული განჩინება ეყრდნობოდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინების ასლი (შეკვეთილი წერილი #138) ნ. ლ-იას ჩაჰბარდა 2006 წლის 26 ოქტომბერს, რასაც ადასტურებდა აღნიშნულ შეტყობინებაზე მისი ხელმოწერა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი ვერ აქარწყლებდა მის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინების საფოსტო გზავნილის (შეკვეთილი წერილი #138) 2006 წლის 26 ოქტომბერს ჩაბარების ზემოაღნიშნული შეტყობინებით დადგენილ ფაქტს. აღნიშნული ფაქტის გამაქარწყლებელ მტკიცებულებად საკასაციო სასამართლომ არ მიიჩნია იმავე განცხადებაზე დართული შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსის 2007 წლის 15 იანვრის ცნობა და მიუთითა, რომ, მართალია, აღნიშნულ ცნობაში მითითებული იყო, რომ #138 შეკვეთილი წერილი ნ. ლ-იას ჩაჰბარდა 2006 წლის 4

ნოემბერს, მაგრამ ხსენებულ ცნობას თან არ ერთვოდა ამ გარემოების დამადასტურებელი ოფიციალური მტკიცებულებები, რაც დასახელებული ცნობის გაცემის საფუძველი გახდა და გააქარწყლებდა საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებაში მითითებული თარიღის -2006 წლის 26 ოქტომბრის სისწორეს, ახსნიდა აღნიშნულ თარიღსა და შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსის ხსენებულ ცნობაში მითითებული თარიღის შეუსაბამობის მიზეზს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსის 2007 წლის 15 იანვრის ცნობის ზემოაღნიშნული ნაკლის გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსს არაერთხელ ეთხოვა, განემარტა ზემოაღნიშნული შეუსაბამობა, დაესაბუთებინა, თუ რატომ გამოირიცხებოდა ნ. ლ-ისათვის შეკვეთილი წერილის 2006 წლის 26 ოქტომბერს ჩაბარება და #138 შეკვეთილი წერილის ჩაბარების შესახებ საფოსტო შეტყობინების სისწორე. ამასთან, შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსს ეთხოვა აღნიშნულის თაობაზე წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიმართების პასუხად შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსი შ. გ-ორი 2007 წლის 23 აპრილის, 30 ივლისისა და 30 აგვისტოს წერილებში კვლავ მიუთითებდა, რომ #138 შეკვეთილი წერილი ადრესატ ნ. ლ-ის ჩაჰბარდა 2006 წლის 4 ნოემბერს. აღნიშნულის დასადასტურებლად კი მან იმავე წერილებს დაურთო დაუმოწმებელი ქსეროასლები, რომლებიც, მისი მითითებით, წარმოადგენდა საფოსტო შეტყობინებების გაგზავნის რეესტრის ფურცლებს. ამასთან, შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსმა განმარტა, რომ #138 შეკვეთილი წერილი მარტვილის ფოსტაში მიღებული იყო 2006 წლის 23 ოქტომბერს, აღნიშნული წერილი ნ. ლ-ის ჩასაბარებლად გაეგზავნა "ელექტროკავშირში" მომუშავე ნ. გ-ის ხელით. ხსენებული წერილი უკან იქნა მობრუნებული ნ. ლ-ის სახლში არყოფნის გამო, იმავე წერილის მობრუნებამდე კი მიღება-შეტყობინების პასუხი გაგზავნილ იქნა, ნ. ლ-ის კი წერილი პირადად ჩაჰბარდა 2006 წლის 4 ნოემბერს.

საკასაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსის პასუხები და მათზე დართული ქსეროასლები ვერ აქარწყლებდნენ საქმეში არსებული #138 შეკვეთილი წერილის მიღების შესახებ შეტყობინების ნამდვილობას. აღნიშნულ შეტყობინებაში, რომელიც საქმეში წარმოდგენილი იყო დედანი დოკუმენტის სახით და წარმოადგენდა მკაცრ წარმოებას დაქვემდებარებულ ოფიციალურ დოკუმენტს, მითითებული იყო, რომ კორესპონდენცია ნ. ლ-ის ჩაჰბარდა 2006 წლის 26 ოქტომბერს, რომელზეც დაფიქსირებული იყო პირადად ნ. ლ-ის ხელმოწერა, ხოლო შეტყობინებაზე დასმულ შტამზე მითითებული იყო 2006 წლის 30 ოქტომბერი, როდესაც შეტყობინება გაიგზავნა მარტვილის ფოსტიდან. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტი გამოიცხადდა ნ. ლ-ისათვის შეტყობინების ჩაბარების თარიღად 2006 წლის 4 ნოემბრის მითითებას. ამასთან, ქსეროასლები, რომლებიც მარტვილის ფოსტის უფროსის წერილებს ერთვოდა, საკასაციო სასამართლომ არ მიიჩნია სარწმუნო მტკიცებულებად საქმეში არსებული შეტყობინებების გასაქარწყლებლად. ერთი და იმავე დოკუმენტის აღნიშნული ქსეროასლები ერთვოდა იმავე ფოსტის მარტვილის ფილიალის უფროსის ორ წერილს და ამდენად, ისინი იდენტური უნდა ყოფილიყო, ხოლო ერთ წერილზე დართული ქსეროასლი განსხვავდებოდა მეორე წერილზე დართული იმავე ქსეროასლის ტექსტისაგან, ამასთან, აღნიშნულ ქსეროასლებში გადასწორებული იყო თარიღი. შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსი კი სარწმუნოდ ვერ ხსნიდა, თუ რატომ არსებობდა შეტყობინების ჩაბარების დასტური ნ. ლ-ის ხელმოწერით, სადაც ჩაბარების თარიღად მითითებული იყო 2006 წლის 26 ოქტომბერი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ლ-ის ვერ აქარწყლებდა საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტურით დადგენილ გარემოებას მისთვის შესაბამისი საფოსტო გზავნილის 2006 წლის 26 ოქტომბერს ჩაბარების თაობაზე, რის გამოც არ არსებობდა განცხადების დაკმაყოფილებისა და საქმის წარმოების განახლების პროცესუალური საფუძველი.

2007 წლის 7 ნოემბერს ნ. ლ-იამ ახლად აღმოჩინილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით კვლავ მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და იმავე პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

განმცხადებელმა უსაფუძვლოდ მიიჩნია საკასაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინების შემცველი საფოსტო გზავნილი ჩაჰბარდა 2006 წლის 26 ოქტომბერს, რასაც მოწმობდა შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული გზავნილი ნ. ლ-ის ჩაჰბარდა 2006 წლის 4 ნოემბერს.

განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალი თუ მიიღებდა კორესპონდენციას ამა თუ იმ პირზე ჩასაბარებლად, ის შესაბამის ქურნალში უნდა გატარებულიყო, რაც უნდა შემოწმებულიყო. განცხადების ავტორმა ასევე მიუთითა, რომ მას ხელი ჰქონდა მოწერილი მხოლოდ 2006 წლის 4 ნოემბერს ჩაბარებულ კორესპონდენციაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ნ. ლ-იას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის #ბს-1038-989(კ-06) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებად იქნა ცნობილი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2008 წლის 31 იანვარს, 14.30 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 მარტის სხდომაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის #ბს-1038-989(კ-06) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ლ-იას განცხადების განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის #ბს-1038-989(კ-06) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ლ-იას განცხადებას და მიაჩნია, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. იმავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ. ლ-იამ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის #ბს-1038-989(კ-06) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით პირველად 2007 წლის 22 იანვარს მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და მოითხოვა ხსენებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. ამასთან, განმცხადებელმა საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინება მას ჩაჰბარდა არა 2006 წლის 26 ოქტომბერს, არამედ 2006 წლის 4 ნოემბერს და შესაბამისად, გასაჩივრების ერთთვიანი ვადის ათვლაც სწორედ აღნიშნული თარიღიდან უნდა დაწყებულიყო. განმცხადებელმა დასახელებულ განცხადებას თან დაურთო შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსის მიერ 2007 წლის 15 იანვარს გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ ნ. ლ-იას #138 შეკვეთილი წერილი ქუთაისიდან მარტვილის ფოსტის მიერ ჩაჰბარდა 2006 წლის 4 ნოემბერს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2007 წლის 14 სექტემბრის განჩინებით არ დააკმაყოფილა ნ. ლ-იას 2007 წლის 22 იანვრის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, რადგან მიიჩნია, რომ საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების თანახმად, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის გასაჩივრებული განჩინება ეყრდნობოდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინების ასლი (შეკვეთილი წერილი #138) ნ. ლ-იას ჩაჰბარდა 2006 წლის 26 ოქტომბერს, რასაც ადასტურებდა აღნიშნულ შეტყობინებაზე მისი ხელმოწერა. საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ განმცხადებელი ვერ აქარწყლებდა მის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინების საფოსტო გზავნილის (შეკვეთილი წერილი #138) 2006 წლის 26 ოქტომბერს ჩაბარების ზემოაღნიშნული შეტყობინებით დადგენილ ფაქტს, განცხადებაზე დართულ შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსის 2007 წლის 15 იანვრის ცნობაში კი, მართალია, მითითებული იყო, რომ #138 შეკვეთილი წერილი ნ. ლ-იას ჩაჰბარდა 2006 წლის 4 ნოემბერს, მაგრამ იმავე ცნობას თან არ ერთვოდა აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი ოფიციალური მტკიცებულებები, რაც გააქარწყლებდა საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებაში მითითებული თარიღის -2006 წლის 26 ოქტომბრის სისწორესა და იმავე შეტყობინების ნამდვილობას, ახსნიდა

აღნიშნულ თარიღსა და შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსის ხსენებულ ცნობაში მითითებული თარიღის შეუსაბამობის მიზეზს.

საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ნ. ლ-იამ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ კიდევ ერთი განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომელშიც მიუთითა იმავე საფუძველზე, რაზეც მითითებული ჰქონდა 2007 წლის 22 იანვრის განცხადებაში, კერძოდ, #138 შეკვეთილი წერილის მისთვის 2006 წლის 4 ნოემბერს ჩაბარების თაობაზე და 2007 წლის 7 ნოემბრის განცხადებასაც დაურთო აღნიშნული წერილის მითითებულ დროს მისთვის ჩაბარების შესახებ 2007 წლის 15 იანვრის ცნობა, გაცემული შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსის მიერ. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით დასაშვებად მიიჩნია ნ. ლ-იას 2007 წლის 7 ნოემბრის განცხადება და მისი განხილვა დანიშნა ზეპირი მოსმენით იმისათვის, რომ განმცხადებელს დამატებით წარმოედგინა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მისი განცხადების საფუძვლიანობას.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის სხდომაზე ნ. ლ-იას დაევალა ფოსტიდან დასაბუთებული დოკუმენტის წარმოდგენა მისთვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინების შემცველი საფოსტო გზავნილის იმავე წლის 26 ოქტომბერს ჩაბარების დასტურის უსწორობის თაობაზე, რაც ნ. ლ-იას არ გაუკეთებია და დამატებით არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება #138 შეკვეთილი წერილის მისთვის 2006 წლის 26 ოქტომბერს ჩაუბარებლობისა და იმავე წლის 4 ნოემბერს ჩაბარების თაობაზე. იმავე სასამართლო სხდომაზე საკასაციო სასამართლოს მიერ დადგინდა ნ. ლ-იას განცხადების განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელი საერთოდ ვერ ადასტურებს, რომ სწორედ 2006 წლის 4 ნოემბერს ჩაიბარა #138 შეკვეთილი წერილი და დაიცვა სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინება) საკასაციო წესით გასაჩივრების ერთოვანი ვადა, ხოლო იმ მტკიცებულებაზე, რომელზედაც მიუთითებს ნ. ლ-ია 2007 წლის 7 ნოემბრის განცხადებაში, საკასაციო სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა საფუძვლიანად და დეტალურად ნ. ლ-იას 2007 წლის 22 იანვრის განცხადების განხილვისას და 2007 წლის 14 სექტემბერს მიღებულ განჩინებაში დაასკვნა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შპს "საქართველოს ფოსტის" მარტვილის ფილიალის უფროსის 2007 წლის 15 იანვრის ცნობა ვერ აქარწყლებდა საქმეში არსებულ საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებას, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის გასაჩივრებული განჩინება ეყრდნობოდა, კერძოდ, ხსენებული შეტყობინების შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინების ასლი (შეკვეთილი წერილი #138) ნ. ლ-იას ჩაჰბარდა 2006 წლის 26 ოქტომბერს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის #ბს-1038-989(კ-06) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ლ-იას განცხადება არის უსაფუძვლო, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხსენებული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის #ბს-1038-989(კ-06) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ლ-იას განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ წარმოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი

განჩინება

№-506-10(ა-08)

24 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

მ. ცისკაძე

გასაჩივრებული განჩინება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 28 აპრილს ბ. ხ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ იქნა საქმე #2/2718-02 ბ. ხ-მე -მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს წინააღმდეგ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნულ საქმეზე 2002 წლის 26 დეკემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 15000 აშშ დოლარის გადახდა. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეზე 2005 წლის 15 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც პირებად, რომელთა საწინააღმდეგოდაც უნდა მომხდარიყო აღსრულება, მითითებულ იქნა ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტი და ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახური. მათ სოლიდარულად უნდა აენაზღაურებინათ 15000 აშშ დოლარი.

მოსარჩელემ განმარტა, რომ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის ზემოხსენებული სამსახურები აღარ არსებობდა. „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 1 ივნისის კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 28 სექტემბრის #416 ბრძანებულებითა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #56 დადგენილებით ლიკვიდირებულ იქნა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და ქ. თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახური. შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული კპი -საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. აღნიშნულმა გარემოებამ შეუძლებელი გახადა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, ვინაიდან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულება შეიძლება დაწყებულიყო მხოლოდ მაშინ, თუ პირები, რომელთა სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ უნდა მომხდარიყო აღსრულება, კონკრეტულად იყვნენ დასახელებულნი სააღსრულებო ფურცელში. ამის გამო, თბილისის სააღსრულებო ბიურომ უარი განუცხადა სააღსრულებო წარმოების დაწყებაზე და დაუბრუნა მოსარჩელეს სააღსრულებო ფურცელი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულიყო გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა იყო ნათელი, ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდებოდა სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტების საშუალებით, მაშინ კრედიტორს, ან მის უფლებამონაცვლე პირს სარჩელი უნდა შეეტანა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, მან ხსენებული აქტების საფუძველზე ჩათვალია, რომ უფლებამონაცვლეობა იყო ნათელი, ცალსახა და მიმართა განცხადებით სასამართლოს, რომ განესაზღვრა სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოვალეების უფლებამონაცვლე, რომლის საწინააღმდეგოდაც უნდა მომხდარიყო აღსრულება. აღნიშნულ განცხადებაზე სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა განჩინება ხარვეზის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა უფლებამონაცვლეების განსაზღვრის შედეგად მოვალეთა უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბ. ხ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ხ-მემ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 27 თებერვლის საოქმო განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2

ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი –საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 23 ივნისის საოქმო განჩინებით, ბ. ხ-ძის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი –საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საქმეში ჩაბმულ იქნა მოპასუხედ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ბ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით ბ. ხ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტისა და ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და გადაწყდა სააღსრულებო ფურცლის გაცემა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დასახელებული მოვალეების უფლებამონაცვლე პირის –საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საწინააღმდეგოდ შემდეგი რეკვიზიტებით: მოვალე –საჯარო სამართლის იურიდიული პირი –საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოცემულ საქმეში ჩაბმულ იქნა მესამე პირად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა –საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 14 თებერვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინება.

2008 წლის 11 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის #ბს-1088-1040(კ-07) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2008 წლის 28 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინება ბ. ხ-ძის საქმესთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ. აქედან გამომდინარე, ამ განცხადების სასამართლოში შემოტანის ვადა დაცულია. ხსენებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივარი არ იყო დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ ეწინააღმდეგებოდა ამ კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას.

განმცხადებლის განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან (24 დეკემბერი, 2007 წელი), რომლითაც მისი საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მხარეებს მიეცათ 14 დღე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ მოსაზრებების წარმოსადგენად, 14 დღის გასვლის შემდეგ, მისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებებისა და მტკიცებულებების არსებობის შესახებ, რომლებიც იმავე განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, გამოიწვევდა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევას, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის #ბს-66-66(კ-08) განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის #3ბ/1374-07 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მიჩნეულ იქნა ამავე სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ. გარდა ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს დავას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მოსარჩელე ვაჟა ხუციშვილისათვის გადასახდელი სახელფასო დავალიანების საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის დაკისრების შესახებ და აღნიშნულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მიჩნეულ იქნა ამავე სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ. თბილისის საქალაქო სასამართლოს, როგორც სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, აგრეთვე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია ამგვარი კატეგორიის საქმეები. აღნიშნულ საქმეებში მოსარჩელეთა მიერ ხშირ შემთხვევაში მოპასუხედ დასახელებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. არის შემთხვევებიც, როდესაც საქმის განმხილველი მოსამართლენი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, საქმეში მოპასუხე მხარედ რთავენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. ეს ყველაფერი კი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბ. ხ-მის საქმე მეტად მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის #ბს-1088-1040(კ-07) განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის #ბს-1088-1040(კ-07) განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადება მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის #ბს-1088-1040(კ-07) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადების საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო

დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 14 თებერვლამდე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით კი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის -საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უსაფუძვლოა განმცხადებლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან (24 დეკემბერი, 2007 წელი), რომლითაც მისი საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მხარეებს მიეცათ 14 დღე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ მოსაზრებების წარმოსადგენად, 14 დღის გასვლის შემდეგ, მისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებებისა და მტკიცებულებების არსებობის შესახებ, რომლებიც იმავე განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, გამოიწვევდა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებლად მიჩნევას, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის #ბს-66-66(კ-08) განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის #38/1374-07 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მიჩნეულ იქნა ამავე სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების -მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის მასალების მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინება, რომლითაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული, ამავე სააგენტოს ჩაჰბარდა 2007 წლის 24 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ჯერ ერთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის #ბს-66-66(კ-08) განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღება არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რადგან მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლოს განჩინებას ან ამ განჩინებით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში მიღებას, როგორც ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რის გამოც დასახელებული განჩინების არსებობა გავლენას ვერ მოახდენდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინების მიღებაზე და ვერ შეცვლიდა ამ განჩინებას და მეორეც, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მოსაზრების წარმოდგენა მხარის უფლებაა და არა მისი ვალდებულება, შესაბამისად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას მისი მოსაზრების გათვალისწინება საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება, ანუ მხარის მოსაზრებას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის თაობაზე საკასაციო სასამართლოსთვის გააჩნია არა ძირითადი და განმსაზღვრელი, არამედ დამხმარე, ფაქულტატიური მნიშვნელობა.

გარდა ამისა, განმცხადებელი ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს დავას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მოსარჩელე ვაჟა ხუციშვილისათვის გადასახდელი სახელფასო დავალიანების საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის დაკისრების შესახებ და აღნიშნულ საქმეზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მიჩნეულ იქნა ამავე სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების -მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ, თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ ამგვარი კატეგორიის საქმეებში მოსარჩელეთა მიერ ხშირ შემთხვევაში მოპასუხედ დასახელებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ასევე არის შემთხვევებიც, როდესაც საქმის განმხილველი მოსამართლენი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, საქმეში მოპასუხე მხარედ რთავენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ საქმისაგან დამოუკიდებელ, სხვა საქმეებზე პროცესის მონაწილე კონკრეტული სუბიექტის სათანადო მოპასუხედ მიჩნევა გავლენას ვერ მოახდენდა მოცემულ საქმეზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს, უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების (გადაწყვეტილების) გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერვე სხვა საქმეზე მიღებული განჩინება (გადაწყვეტილება), ასევე ვერ გამოიწვევს საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინების გაუქმებას ერთგვაროვან საქმეებზე დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შეცვლა და საკასაციო სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებებისაგან (განჩინებებისაგან) განსხვავებული გადაწყვეტილების (განჩინების) მიღება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით რეგლამენტირებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები, შესაბამისად -საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, უშუალოდ არის დაკავშირებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებასთან, ხოლო ერთგვაროვანი პრაქტიკის ფორმირება მოიცავს მსგავსი დავების განხილვის ერთგვაროვნებას, ანუ მათი არსებითი განხილვის შედეგად ერთგვაროვანი შედეგის მიღებას სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) სახით, ანუ ხსენებული პრაქტიკა საქმის განხილვის შედეგთან ასოცირდება მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის კუთხით, ანუ სასამართლო პრაქტიკას, პირველ რიგში, გააჩნია მატერიალური მნიშვნელობა, ამასთან, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა არ გულისხმობს უშუალოდ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების, მისი დასაშვებად ან დაუშვებლად მიჩნევის პრაქტიკას, არამედ აღნიშნული პრაქტიკისათვის მთავარია ამა თუ იმ სარჩელთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების (განჩინების) მიღების რეალური, მატერიალური შედეგი, რაც წარმოადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) რეზულტატს და საბოლოოდ ადგენს მხარეთა უფლება-მოვალეობების მოცულობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეამოწმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლების არსებობა და მიიჩნია, რომ იგი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის მოთხოვნებს და სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ ეწინააღმდეგებოდა ამ კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ხედავნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის #ბს-1088-1040(კ-07) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადება უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის #ბს-1088-1040(კ-07) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადება არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების საფუძველი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

განჩინება

#ბს-1108-1060(კ-07) 4 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ჯანმრთელობის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 24 ნოემბერს ო. ჭ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საჩხერის რაიონის გამგეობის მიმართ, ჯანმრთელობის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხე ორგანიზაციას მის სასარგებლოდ დაკისრებოდა ერთდროულად 7062 ლარის, ხოლო 2004 წლიდან -ყოველთვიურად 36 ლარის გადახდა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 დეკემბრის განჩინებით მოპასუხე საჩხერის რაიონის გამგეობა შეიცვალა სათანადო მოპასუხით -საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთი.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით ო. ჭ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროულად 3144 ლარი, ხოლო 2004 წლის 1 დეკემბრიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე, ყოველთვიურად 36 ლარი.

მითითებული გადაწყვეტილება მხარეთა მიერ არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

2007 წლის 10 აპრილს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება, რაც მითითებული გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით. "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, "საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა" უნდა უზრუნველყოს "საქნახშირის დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 15 ოქტომბრის #429-ა ბრძანებულებისა და "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების 42¹ პუნქტის საფუძველზე 2007 წლის 1 მარტამდე ფონდში რეგისტრირებულ, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის 2007 წლის 1 მარტიდან წყდება სარჩოსა და სხვა გასაცემების გაცემის ვალდებულება, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებზეც არ განხორციელებულა მათი გაცემის ვალდებულების დაკისრება, მითითებული ვალდებულებები აღარ შეიძლება წარმოიშვას. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის, ფონდის მიერ სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტის გამო, დამატებით უნდა გაიცეს ერთჯერადი კომპენსაცია დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩოს ექვსი თვის ოდენობით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმებას, რომლითაც სამინისტროს დაევალია მოსარჩელისათვის სარჩოს გადახდა 2007 წლის 1 მარტიდან და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადება დასაშვებად იქნა მიჩნეული, ხოლო 2007 წლის 15 მაისის განჩინებით საჩხერის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება გაუქმდა მოპასუხისათვის 2007 წლის 1 მარტიდან ყოველთვიური სარჩოს გადასახდელად დაკისრების ნაწილში.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 მაისის განჩინებით, ო. ჭ-მის განცხადების საფუძველზე, საქმეში მოპასუხედ ჩაება საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით ო. ჭ-მის სასარჩელო განცხადება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ყოველთვიური სარჩოს ვადის 2007 წლის 1 მარტის შემდეგ გაგრძელების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოსარჩელე ო. ჭ-მეს 2007 წლის 1 მარტის შემდეგ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან მიეცა ერთჯერადი კომპენსაცია დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩოს (თვეში 36 ლარის) 6 თვის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, ხოლო სასარჩელო განცხადება სხვა ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე).

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ 2007 წლის 24 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო #53 დადგენილება "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ", ამ დადგენილების მე-4 პუნქტის შესაბამისად, "2007 წლის 1 მარტის შემდეგ არ შეიძლება დაწესდეს ახალი გასაცემები შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებს უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშნვის საფუძველებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოში. ამასთან, ორგანიზაცია, სადაც ო. ჭ-მე მუშაობდა, ლიკვიდირებულია და მისი სამართალმემკვიდრე არ არსებობს.

ემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინებით სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება, იმავე სასამართლოს 2007 წლის 15 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 მაისის განჩინებით საქმის წარმოების განახლების საფუძველად მითითებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.

სასამართლოს მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა ზემოაღნიშნული ნორმა, ამასთან, არსებობდა ისეთი საპროცესო დარღვევა, რომლის არსებობის შემთხვევაში, საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტში მითითებული "სხვა ორგანოს დადგენილება" არ გულისხმობს ნორმატიულ აქტებს, რომლებიც პირთა განუსაზღვრელ წრეს შეეხება და რომლებიც ამ პირთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს. უდავოა, რომ კანონის ეს დანაწესი არ გულისხმობს პრეზიდენტის ბრძანებულებებს და მთავრობის დადგენილებებს. აღნიშნული სახის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ შეიძლება იყოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისათვის დადგენილი ახლად აღმოჩენილი ვარაუდობა, ისევე როგორც ახალი კანონი, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა სამართლებრივი ურთიერთობა და ძალადაკარგულად გამოაცხადა ძველი კანონი, ვერ გამოიწვევს ძველი კანონის საფუძველზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვას. ახალმა კანონმა შესაძლოა, მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში იქონიოს გავლენა პირის იმ მდგომარეობაზე, რომელიც ძველი კანონით სხვაგვარად იყო მოწესრიგებული. (უპუქცევითი ძალა), მხოლოდ არა საუარესოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, 2007 წლის 15 მაისის განჩინება უკანონოა და, მართალია, იგი მხარეების მიერ არ არის გასაჩივრებული, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილით, იგი, როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინება, შეიძლება გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ.

ამასთან, სააპელაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ 2007 წლის 15 მაისის განჩინებით გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის #3/2 გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ევალეზა, ო. ჭ-მეს გადაუხადოს ყოველთვიური სარჩო 2007 წლის 1 მარტიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთ შინაარსს 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება #3/2 არ შეიცავს. ამასთან, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ ხელახლა განიხილება იგივე (თავდაპირველი) სასარჩელო მოთხოვნა, რაზეც სასამართლოს არ უმსჯელია, ვინაიდან ასეთი მოთხოვნა 2007 წლის 4 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმში არ არის ასახული. სხდომის ოქმიდან არ ირკვევა, შეცვალა თუ არა მოსარჩელე ო. ჭ-მემ სარჩელის თავდაპირველი მოთხოვნა, რაც შესაძლოა განხორციელებულიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილების მოთხოვნათა დაცვით, რაც სასამართლო სხდომის ოქმიდან არ ირკვევა.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ო. ჭ-მეს უნდა მიეღო 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით გათვალისწინებული სარჩო 2004 წლის 1 დეკემბრიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ო. ჭ-მე ამ სარჩოს მიიღებდა 2004 წლიდან გაურკვეველი ვადით. მამასადამე, გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობდა ო. ჭ-მის მიერ აღნიშნული სარჩოს 2007 წლის 1 მარტის

შემდეგ მიღების შესაძლებლობაც. ეს კი ნიშნავს, რომ 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება 2007 წლის 1 მარტიდან სარჩოს ანაზღაურების დათქმას შეიცავდა.

სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ საჩხერის რაიონულ სასამართლოს არ უნდა განეხილებინა საქმისწარმოება, ვინაიდან მან არასწორად მიიჩნია ახლად აღმოჩენილ გარემოებად საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულება (რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება) და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილება, რაც, კასატორის განმარტებით, ძველი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების ერთ-ერთი საფუძველი იყო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" პუნქტი პირდაპირ მუთითებს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ორგანო ან დაწესებულება, რომელიც კანონის საფუძველზე ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, ე.ი. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის ზემოხსენებული ნორმა გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებსაც.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის ერთპიროვნულად განხილვა არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. განსახილველი დავა არ განეკუთვნება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხს, რა შემთხვევაშიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 და 35-ე მუხლებზე დაყრდნობით მოსამართლე უფლებამოსილი იქნებოდა ერთპიროვნულად განეხილა საქმე. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების მიხედვით ო. ჭ-ძეს სარჩოს მიღების შესაძლებლობა წარმოეშვა იმ ზიანის მიყენების შედეგად, რომელიც გამოწვეული იყო დამქირავებლის ბრალეული მოქმედებით. შესაბამისად, ეს შემთხვევა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დელიქტურ ვალდებულებას (მუხლი 992 "პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი") და საქმეც განხილული უნდა ყოფილიყო კოლეგიურად, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილი (სამოქალაქო საქმეების განხილვა სააპელაციო წესით ხორციელდება სამი მოსამართლის მიერ).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინების გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება, რომლითაც იხელმძღვანელა საჩხერის რაიონულმა სასამართლომ 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების გამოტანისას.

საკასაციო სასამართლო შეფასების ნაწილში სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და აღნიშნავს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი შეიცავს იმ გარემოებათა სრულ ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას.

მითითებული მუხლის I ნაწილის "დ" პუნქტის საფუძველზე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ მითითებული საპროცესო ნორმა "სხვა ორგანოს დადგენილებებში" არ გულისხმობს ნორმატიულ აქტს, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, შეეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და ადგენს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ისევე, როგორც კანონი არ შეიძლება იქცეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განახლების სა-

ფუძვლად, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნება და ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება შესაძლოა იქცეს საქმის წარმოების განახლების საფუძვლად.

საკასაციო სასამართლო ცალსახა მითითებას აკეთებს შემდეგზე: საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი შეიცავს იმ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას, სასამართლო მოკლებულია უფლებას, მოახდინოს მითითებული წრის გაფართოება ან შეკვეცა. შესაბამისად, დაუშვებელია, კასატორის მიერ წარმოდგენილი მოტივაცია იქცეს საქმის წარმოების განახლების საფუძვლად.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, თვლის, რომ სახეზეა იმ ტიპის პროცესუალური დარღვევა, რაც განაპირობებს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

წინამდებარე საქმეში სააპელაციო საჩივრის ავტორად წარმოდგენილია საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტო, რომელსაც სადავოდ არ გაუხდია საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 მაისის განჩინება. შესაბამისად, მითითებული განჩინების გაუქმებით, სააპელაციო საჩივარი მხარისათვის საუარესოდ შებრუნდა, რითაც სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო არამართებულად მიიჩნევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება ემყარება მითითებული ნორმის არასწორ ინტერპრეტაციას.

ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, მიიჩნიოს, რომ არსებობს ისეთი პროცესუალური დარღვევა, რაც ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

ბ-585-15(ა-08) 5 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ნ-მემ 2002 წლის 10 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 2323 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ნ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გ. ნ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 2323 ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

მოცემული დავა არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ, ბოლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო პალატის მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ნ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ნ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის განჩინებით გ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

ზემოაღნიშნული განჩინება საქმეში მითითებულ მისამართებზე გაეგზავნათ მხარეებს 2007 წლის 18 დეკემბერს.

გ. ნ-ძემ 2008 წლის 21 იანვარს განცხადებით მიმართა სასამართლოს, სადაც განმარტა, რომ არის უკიდურესად გაჭირვებული პენსიონერი, არ ჰყავს ადვოკატი უსახსრობის გამო და კანონის არცოდნის გამო ვერ შეიტანა საჩივარი სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 თებერვლის განჩინებით გ. ნ-ძეს დაევალა ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში შეეგზო ხარვეზი, კერძოდ, საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგინა განცხადება კონკრეტული მოთხოვნის და გასაჩივრების საფუძვლების მითითებით; მასვე დაევალა განცხადების წარმოდგენა ნაბეჭდი სახით, ორიგინალი ხელმოწერით, სათანადო ასლების დართვით. განმცხადებელს განემარტა, რომ ხარვეზის ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში განცხადება არ დაიშვებოდა და დარჩებოდა განუხილველი.

გ. ნ-ძემ 2008 წლის 4 მარტს საკასაციო სასამართლოს წარმოდგინა განცხადება და ადვოკატ ი. ლ-ძის სახელზე გაცემული რწმუნებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მარტის განჩინებით გ. ნ-ძეს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა და დაევალა მოცემული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში კონკრეტული მოთხოვნის, გასაჩივრების საფუძვლების მითითებით შედგენილი განცხადების წარმოდგენა.

გ. ნ-ძის წარმომადგენელმა ი. ლ-ძემ დააზუსტა მოთხოვნა და 2008 წლის 21 მარტს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. მან განცხადებაში მიუთითა, რომ გ. ნ-ძე არის უკიდურესად მატერიალურ გაჭირვებაში მყოფი პენსიონერი, რომელმაც დროულად ვერ შეძლო ადვოკატის აყვანა და იურიდიული ნორმების უცოდინრობის გამო ვერ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სახაზინო წესით ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით. განმცხადებლის განმარტებით, გ. ნ-ძისათვის ასევე კანონის უცოდინრობის გამო არც ის იყო ცნობილი, რომ მისი ავადმყოფობა საპატიო მიზეზი იყო საკასაციო საჩივრის წარდგენისათვის კანონით განსაზღვრული ვადის აღსადგენად. განმცხადებლის მითითებით, გ. ნ-ძეს, რომ წარედგინა აღნიშნული მტკიცებულება, საკასაციო სასამართლოში, სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უნდა გამოეტანა გ. ნ-ძისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება, ანუ ვადის დარღვევა უნდა ჩაეთვალა საპატიოდ და განეხილა მისი საკასაციო საჩივარი.

განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის I ნაწილის, 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის, 424-ე მუხლის I ნაწილისა და 426-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული გ. ნ-ძის წარმომადგენელ ი. ლ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ გ. ნ-ძის განცხადების საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გ. ნ-მ საქმის წარმოების განახლება მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად. ამ ნორმის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ე" - "ვ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. საკასაციო სასამართლო საქმის წარმოების განახლების საფუძვლად ვერ მიიჩნევს გ. ნ-მის მიერ წარმოდგენილ ავადმყოფობის დამადასტურებელ ცნობას, რადგან ავადმყოფობის გამო საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის აღდგენა დაუშვებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად. აღნიშნულ ნორმაში იმპერატიულად არის მითითებული, რომ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება ორივე მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამდენად, გ. ნ-მეს საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულება მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას რომც წარედგინა საკასაციო სასამართლოსათვის, ეს არ გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ნ-მის წარმომადგენელ ი. ლ-მის განცხადება -ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის #ბს-1040-994(კ-07) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 423-ე მუხლის პირველი ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. არ დაკმაყოფილდეს გ. ნ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის #ბს-1040-994(კ-07) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლობის გამო;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

განჩინება

#ბ-646-12(ა-08), #ბს-68-68(კ-08)

12 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 4 აპრილს სპს "პ. გ-ელმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის გლდანინამალადევის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების -დ. გ-შვილის, ქ. თბილისის გლდანინამალადევის რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიმართ.

მოსარჩელემ დ. გ-შვილის სახელზე განხორციელებული "თბილის-დღევანდის" #10 ატელიეს კუთვნილი #2 სახელოსნოს პრივატიზების გაუქმება და ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის 1999 წლის 7 მაისის #32 გადაწყვეტილების გაუქმება, აგრეთვე, აღნიშნულ #2 სახელოსნოზე მიშენებული სათავსის დანგრევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

მოპასუხე დ. გ-შვილმა სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომლითაც სპს "პ. გ-ელსა" და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტს შორის "თბილის-დღევანდის" #10 ატელიეს 515,02 კვ.მ ფართზე 1998 წლის 6 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და 515,02 კვ.მ ფართიდან 30 კვ.მ-ის ამორიცხვა მოითხოვა, იმ საფუძველზე, რომ აღნიშნულ 515,02 კვ.მ-ში შედიოდა დ. გ-შვილის საკუთრებაში არსებული 30 კვ.მ.

თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით, სპს "პ. გ-ელის" სარჩელი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის 1999 წლის 7 მაისის #32 გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისში, ... ქუჩის #63-ში მდებარე "თბილის-დღევანდის" #10 ატელიეს #2 სახელოსნოს დ. გ-შვილის სახელზე განხორციელებული პრივატიზება; დ. გ-შვილს დაევალა #10 ატელიეს შენობაზე არსებულ #2 სახელოსნოზე მიშენებული სათავსის, კერძოდ, 43,41 კვ.მ-ის მიშენების მონგრევა, ხოლო დ. გ-შვილის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა დ. გ-შვილმა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომაც გასაჩივრა სააპელაციო წესით. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსა და დ. გ-შვილის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სპს "პ. გ-ელის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დ. გ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა - ნაწილობრივ იქნა ბათილად ცნობილი 1998 წლის 6 მარტის იჯარის ხელშეკრულება და იჯარით გადაცემული ფართიდან ამორიცხა დ. გ-შვილის მიერ დაკავებული 30 კვ.მ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სპს "პ. გ-ელმა" საკასაციო წესით გასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2008 წლის 30 იანვრის ხარვეზის შესახებ განჩინებით მიიჩნია, რომ სპს "პ. გ-ელის" საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, კერძოდ, საკასაციო საჩივარს არ ერთოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. საკასაციო სასამართლომ აღნიშნული გარემოება მიიჩნია ხარვეზად და კასატორ სპს "პ. გ-ელს" დაევალა ხარვეზის შესახებ 2008 წლის 30 იანვრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის (დავის საგნის ღირებულების 5%, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა) გადახდის ქვითარი. კასატორს განემარტა, რომ მითითებულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და დარჩებოდა განუხილველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინებით სპს "პ. გ-ელის" საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის ხარვეზის შესახებ განჩინების შემცველი გზავნილი სპს "პ. გ-ელის" დირექტორ დ. კ-შვილს ჩაჰბარდა 2008 წლის 8 თებერვალს. შესაბამისად, კასატორს ხარვეზის შევსებისათვის მიცემული ვადა ამოწურა 2008 წლის 18 თებერვალს. სპს "პ. გ-ელის" დირექტორმა დ. კ-შვილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 20 თებერვალს, ანუ ხარვეზის შევსებისთვის მიცემული ვადის დარღვევით. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება სპს "პ. გ-ელის" საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

2008 წლის 28 მარტს სპს "პ. გ-ელმა" ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და მოითხოვა ამავე პალატის 2008 წლის 27 თებერვლის #ბს-68-

68(კ-08) განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. ამასთან, სპს "პ. გ-ელმა" ხსენებულ განცხადებას დაურთო შპს "საქართველოს ფოსტის" მე-80 საფოსტო განყოფილების ფოსტალიონის ახსნა-განმარტება და "საქართველოს ტურიზმის აკადემიის" 2008 წლის 24 მარტის #6 ცნობა.

განმცხადებლის განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის ხარვეზის შესახებ განჩინების შემცველი გზავნილი სპს "პ. გ-ელის" დირექტორ დ. კ-შვილს ჩაჰბარდა 2008 წლის 10 თებერვალს, რომლითაც ხარვეზის შევსების ვადა განესაზღვრა 10 დღით. სპს "პ. გ-ელის" დირექტორმა დ. კ-შვილმა ზემოხსენებული განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით სახელმწიფო ბაჟის გადახდის კვიტარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 20 თებერვალს. ამდენად, განცხადების ავტორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინებას, რომლითაც განუხილველი დარჩა მისი საკასაციო საჩივარი.

განცხადების ავტორი ასევე მიუთითებს, რომ 2008 წლის 8-9 თებერვალს დ. კ-შვილი იმყოფებოდა ქალაქგარეთ ექსკურსიაზე, რაც დასტურდებოდა "საქართველოს ტურიზმის აკადემიის" 2008 წლის 24 მარტის #6 ცნობით. ამდენად, აღნიშნული ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის ხარვეზის შესახებ განჩინების შემცველი გზავნილი სპს "პ. გ-ელის" დირექტორ დ. კ-შვილს 2008 წლის 8 თებერვალს ვერ ჩაჰბარდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სპს "პ. გ-ელმა" ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის #ბს-68-68(კ-08) განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის განჩინებით სპს "პ. გ-ელის" განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის #ბს-68-68(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებად იქნა ცნობილი და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 12 ივნისს მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, სპს "პ. გ-ელის" განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის #ბს-68-68(კ-08) განჩინება და საქმეზე განახლდეს წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სპს "პ. გ-ელმა" ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის #ბს-68-68(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის ხარვეზის შესახებ განჩინების შემცველი გზავნილი მას ჩაჰბარდა 2008 წლის 10 თებერვალს. ამდენად, ხსენებული განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 10-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 2008 წლის 10 თებერვლიდან. ამასთან, განმცხადებელმა დასახელებულ განცხადებას დაურთო შპს "საქართველოს ფოსტის" მე-80 საფოსტო განყოფილების ფოსტალიონი თ. ხ-შვილის ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ სპს "პ. გ-ელის" დირექტორ დ. კ-შვილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის ხარვეზის შესახებ განჩინების შემცველი გზავნილი (#117 შეკვეთილი წერილი) ჩაჰბარდა 2008 წლის 10 თებერვალს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სპს "პ. გ-ელის" განცხადებიდან და მასზე დართული შპს "საქართველოს ფოსტის" მე-80 საფოსტო განყოფილების ფოსტალიონი თ. ხ-შვილის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ 2008 წლის 6 თებერვალს შპს "საქართველოს ფოსტის" მე-80 საფოსტო განყოფილებაში შევიდა #117 შეკვეთილი წერილი შეტყობინებით, რომელიც შპს "საქართველოს ფოსტის" მე-80 საფოსტო განყოფილების ფოსტალიონმა თ. ხ-შვილმა 2008 წლის 6 თებერვალს გაიტანა უბანზე, თუმცა ადრესატი არ დახვდა ადგილზე, რის გამოც ხსენებული გზავნილი თ. ხ-შვილმა მითითებულ მისამართზე განმეორებით მიიტანა 2008 წლის 8 თებერვალს, მაგრამ ადრესატი კვლავ ვერ ნახა. 2008 წლის 10 თებერვალს თ. ხ-შვილმა კვლავ მიიტანა გზავნილი შესაბამის მისამართზე და სწორედ ხსენებულ რიცხვში მოახერხა ადრესატისათვის ზემოაღნიშნული საფოსტო გზავნილის ჩაბარება.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს "საქართველოს ტურიზმის აკადემიის" 2008 წლის 24 მარტის #6 ცნობაზე, რომლითაც დასტურდება ის გარემოება, რომ სპს "პ. გ-ელის" დირექტორი დ. კ-შვილი 2008 წლის 8-9 თებერვალს იყო ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელი ექსკურსიაზე მარშრუტით: თბილისი -ბოდბე -სიღნაღი -თბილისი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის ხარვეზის შესახებ განჩინების შემცველი გზავნილი სპს "პ. გ-ელის" დირექტორ დ. კ-შვილს, რომლის ხელმოწერაც არის ხსენებული გზავნილის ჩაბარების საფოსტო შეტყობინებაზე, ვერ ჩაჰბარებოდა 2008 წლის 8 თებერვალს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სპს "პ. გ-ელის" დირექტორ დ. კ-შვილისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის ხარვეზის შესახებ განჩინების შემცველი გზავნილის ჩაბარების თაობაზე საფოსტო შეტყობინებაზე მითითებული ორი რიცხვიდან -2008 წლის 8 და 10 თებერვალი, ადრე-სატიშათვის გზავნილის ჩაბარების რიცხვად უნდა მიჩნეულიყო 2008 წლის 10 თებერვალი. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის 10-დღიანი ვადის ათვლაც 2008 წლის 10 თებერვლიდან უნდა დაწყებულიყო. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით, სპს "პ. გ-ელმა" სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარადგინა 2008 წლის 20 თებერვალს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სპს "პ. გ-ელს" არ დაურღვევია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 10-დღიანი ვადა, შესაბამისად, ხსენებული განჩინებით დადგენილი ხარვეზი შევსებულად უნდა ჩათვლილიყო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, რის გამოც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის #ბს-68-68(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე სპს "პ. გ-ელის" განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება, მოცემულ საქმეზე განახლდეს საქმის წარმოება და დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნეს მიღებული სპს "პ. გ-ელის" საკასაციო საჩივარი, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილ იქნა 2008 წლის 16 იანვარს ძველი ფორმით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 401-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სპს "პ. გ-ელის" განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის #ბს-68-68(კ-08) განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდეს წარმოება;
3. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნეს მიღებული სპს "პ. გ-ელის" საკასაციო საჩივარი;
4. მხარეებს უფლება აქვთ, მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში წარმოადგინონ მოსაზრება, თუ რამდენად დასაშვებია განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით;
5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობა შემოწმდეს 2008 წლის 24 ივლისამდე;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი

განჩინება

№ბ-507-11(ა-08)

19 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

მ. ცისკაძე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს "ციტადელის" მიმართ და მოითხოვა შპს "ციტადელის" კუთვნილი ქონების ღია აუქციონის წესით რეალიზაციის უფლება.

შპს "ციტადელმა" თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში წარადგინა შეგებებული სარჩელი მოპასუხეების -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მიმართ. შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა მის მიერ 1999-2000 წლებში მატერიალური ფასეულობების შეძენაზე გადახდილი დღგ-ს -162869,2 ლარის ჩათვლა, დარიცხული საურავის -190695,48 ლარის გაუქმება, აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 3 ივნისის #28/06-06/1/10 და 2004 წლის 1 ივლისის #28/1132 შეტყობინებების ბათილად ცნობა.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შპს "ციტადელის" შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა; წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე გადახდილად იქნა ჩათვლილი შპს "ციტადელის" მიერ 1999-2000 წლებში შეძენილ საქონელზე დამატებული ღირებულების გადასახადის სახით გადახდილი თანხა, რაც ურთიერთმოთხოვნათა არსებობის გამო, გაქვითულ იქნა; ბათილად იქნა ცნობილი აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 3 ივნისის #28/06-06/1/10 და 2004 წლის 1 ივლისის #28/1132 შეტყობინებების სახით გამოცემული ადმინისტრაციული აქტები საგადასახადო გირავნობის უფლების წარმოშობისა და ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შპს "ციტადელისთვის" შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო სარჩელის -დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის სარჩელი დაკმაყოფილდა; აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციას ნება დაერთო მოეხდინა შპს "ციტადელის" კუთვნილი, ყადაღადადებული ქონების ღია აუქციონის წესით რეალიზაცია; შპს "ციტადელის" შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა შპს "ციტადელმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე, უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს "ციტადელის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შპს "ციტადელის" შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა; შპს "ციტადელის" ჩათვალა მის მიერ გადახდილი დღგ 162869,20 ლარის ოდენობით და გაუქმდა აღნიშნულ დღგ-ზე დარიცხული საურავი 190695,48 ლარის ოდენობით; ბათილად იქნა

ცნობილი აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 3 ივნისის #28/06-06/1/10 და 2004 წლის 1 ივლისის #28/1132 შეტყობინებები.

2007 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციამ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და ამავე პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის #ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აღსრულებულიყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის #ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის #ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის #ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი არ იყო ბუნდოვანი, იგი კონკრეტულად და გასაგებად იყო ჩამოყალიბებული.

2008 წლის 11 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის #ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 აპრილის განჩინებით განუხილველი დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის #ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადება; ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადება მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 19 ივნისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური თავის განცხადებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითებს იმ ფაქტს, რომ ამავე სამსახურისათვის თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 18 თებერვლის #01/02-05/678 წერილითა და თანდართული მასალებით ცნობილი გახდა, რომ გადასახადის გადამხდელის დღგ-ს ბარათზე დავალიანება არ ფიქსირდებოდა (01.01.01 მდგომარეობით დღგ-ს ბარათზე ძირითადი დავალიანება იყო 1949,71 ლარი, საურავი - 402,59 ლარი, ხოლო 03.06.04 მდგომარეობით -ძირითადი დავალიანება იყო 87790,4 ლარი, საურავი -90565,25 ლარი), ხოლო შპს "ციტადელს", როგორც გადასახადის გადამხდელს, საგადასახადო ინსპექციაში არ წარუდგენია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილი ანგარიშ-ფაქტურები. შესაბამისად, შპს "ციტადელს" არც ჩათვლა მიუღია და ბუნებრივია, შპს "ციტადელისთვის" ჩათვლების გაუქმებაც ვერ მოხდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქონლის მომწოდებელი ფირმები არ იყო აღრიცხული აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციაში და თავად მოსარჩელეც ამ სპეციალური ნიშნით შექმნილ საგადასახადო ინსპექციაში გადავიდა სადავო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ, აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციისათვის ცნობილი არ იყო თბილისის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული შპს "ციტადელის" მომწოდებლების მიერ სადავო ანგარიშ-ფაქტურების შესაბამის ინსპექციებში წარდგენის ფაქტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადების საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 აპრილის განჩინებით განუხილველი დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის #ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადება, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს "ციტადელის" საკასაციო საჩივართან დაკავშირებულ #ბს-261-247(კ-07) ადმინისტრაციულ საქმეზე განხილულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის (უფლებამონაცვლე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია) სარჩელი შპს "ციტადელის" მიმართ შპს "ციტადელის" კუთვნილი ქონების ღია აუქციონის წესით რეალიზაციის შესახებ და შპს "ციტადელის" შეგებებული სარჩელი დღგ-ს ჩათვლის განხორციელების, დარიცხული საურავის გაუქმებისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე. ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო შპს "ციტადელის" შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს "ციტადელს" ჩათვალა მის მიერ გადახდილი დღგ 162869,20 ლარის ოდენობით და გაუქმდა აღნიშნულ დღგ-ზე დარიცხული საურავი 190695,48 ლარის ოდენობით, ასევე ბათილად იქნა ცნობილი აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 3 ივნისის #28/06-06/1/10 და 2004 წლის 1 ივლისის #28/1132 შეტყობინებები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ შპს "ციტადელის" შეგებებული სარჩელის მოთხოვნას მოპასუხეების -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის (უფლებამონაცვლე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის (უფლებამონაცვლე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია) მიმართ წარმოადგენდა მის მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადახდილი დღგ-ს თანხის ჩათვლა და არა დღგ-ს გაუქმებული ჩათვლის აღდგენა. ამასთან, #ბს-261-247(კ-07) ადმინისტრაციული საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა ამ საქმეში არსებული მასალების, მათ შორის, შპს "ციტადელის" მიერ წარმოდგენილი დღგ-ს შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე. მოპასუხეები შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავდნენ არა იმ საფუძველზე, რომ შპს "ციტადელს" საგადასახადო ინსპექციაში თავის დროზე არ წარუდგენია დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურები და სასამართლოში წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურები სადავო იყო, არამედ იმ საფუძველზე, რომ ამ ანგარიშ-ფაქტურებით გადახდილი დღგ არ ექვემდებარებოდა ჩათვლას შესაბამისი ქონების, როგორც უძრავი ნივთის, სამართლებრივი რეჟიმიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს განმცხადებლის არგუმენტს იმის შესახებ, რომ, ვინაიდან საქონლის მომწოდებელი ფირმები არ იყო აღრიცხული აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციაში და თავად მოსარჩელეც ამ სპეციალური ნიშნით შექმნილ საგადასახადო ინსპექციაში გადავიდა სადავო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ, აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციისათვის ცნობილი არ იყო თბილისის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული შპს "ციტადელის" მომწოდებლების მიერ სადავო ანგარიშ-ფაქტურების შესაბამის ინსპექციებში წარდგენის ფაქტი, რის გამოც საქმის არსებითად განხილვის დროს მასზე ვერ გაამახვილებდა ყურადღებას.

ზემოაღნიშნულის თაობაზე საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ #ბს-261-247(კ-07) ადმინისტრაციული საქმე განიხილა და 2007 წლის 19 სექტემბრის ახალი გადაწყვეტილება მიიღო საქმეში წარმოდგენილი მასალების, მათ შორის, დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ განმცხადებელი -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური წარმოადგენდა #ბს-261-247(კ-07) ადმინისტრაციული საქმის განხილვაში მონაწილე სუბიექტს, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის უფლებამონაცვლე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციასთან, ხოლო შემდგომ -ამ ინსპექციის უფლებამონაცვლე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციასთან ერთად, #ბს-261-247(კ-07) ადმინისტრაციულ საქმეში მონაწილეობდა მოპასუხედ შპს "ციტადელის" შეგებებულ სარჩელზე. ამასთან, #ბს-261-247(კ-07) ადმინისტრაციული საქმის განხილვის პროცესში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, ისევე, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას, სადავოდ არ გაუხდიათ

შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ შეგებებულ სარჩელში მითითებული დღგ-ს კონკრეტული ანგარიშ-ფაქტურების ნამდვილობა და შესაბამის საგადასახადო ინსპექციაში მათი წარდგენა. შეგებებული სარჩელის საგანი მოიცავდა სწორედ დღგ-ს ჩათვლის მოთხოვნას, ასევე, დარიცხული საურავის გაუქმებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს და განმცხადებლის -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ შეგებებული სარჩელის საგანი არ ყოფილა დღგ-ს გაუქმებული ჩათვლის ადგენა, ანუ შპს "ციტადელისთვის" ამ შემთხვევაში დღგ-ს ჩათვლა არ მომხდარა და შესაბამისად, მისი გაუქმებაც ვერ მოხდებოდა. საკასაციო სასამართლოს კი არ აღუდგენია შპს "ციტადელისთვის" დღგ-ს გაუქმებული ანგარიშ-ფაქტურები, არამედ 2007 წლის 19 სექტემბრის #ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილებით შპს "ციტადელს" ჩაეთვალა მის მიერ გადახდილი დღგ 162869,20 ლარის ოდენობით და გაუქმდა აღნიშნულ დღგ-ზე დარიცხული საურავი 190695,48 ლარის ოდენობით. ამასთან დაკავშირებით, შპს "ციტადელი" საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ მოსაზრებაში მართებულად აღნიშნავს, რომ განმცხადებელი -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მიუთითებს ისეთ საკითხზე, რაზეც მსჯელობა საერთოდ არ ყოფილა, რადგან დავის შინაარსისა და საფუძვლების შესაბამისად, შპს "ციტადელი" არ ითხოვდა დღგ-ს ისეთ ჩათვლას, რომელიც წინა მომწოდებელს უსაქონლო ოპერაციის (ან სხვა რაიმე მიზეზის) გამო გაუუქმდა, არამედ დავა შეეხებოდა დღგ-ს ჩათვლის უფლებას, რადგან შპს "ციტადელი" უძრავი ნივთის მიწოდებას არ ახორციელებდა.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ #ბს-261-247(კ-07) ადმინისტრაციულ საქმეზე ერთობლივად იქნა განხილული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის (უფლებამონაცვლე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია) სარჩელი შპს "ციტადელის" მიმართ და შპს "ციტადელის" შეგებებული სარჩელი, რომლის დავის საგნის შინაარსი მდგომარეობდა შპს "ციტადელის" მიერ დღგ-ს ჩათვლის მიღების მოთხოვნის საფუძვლიანობაში და სამივე ინსტანციის სასამართლოს განმარტების საგანს წარმოადგენდა შპს "ციტადელის" კუთვნილი 364316 ლარის ღირებულების 11 ცალი მიმღები ტუმბოსა და 11 ცალი თეთრი 5/პრ რეზერვუარის უძრავ ან მოძრავ ქონებად მიჩნევის საკითხი, შესაბამისი კონკრეტული სამართლებრივი შედეგებით. ამდენად, #ბს-261-247(კ-07) ადმინისტრაციული საქმის განხილვა მთლიანად დაეთმო უძრავ და მოძრავ ნივთებზე მსჯელობას, ანუ შპს "ციტადელისთვის" ჩასათვლელი დღგ-ს თანხა უძრავი ნივთის შესაქმნელად იქნა გამოყენებული თუ მოძრავი ნივთის, ხოლო საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად იყო დადგენილი, რომ "რეზერვუარები" და "ტუმბოები" წარმოადგენდა მოძრავ ქონებას და ისინი მოქცეული იყო მოძრავი ნივთების სამართლებრივ რეჟიმში და, ვინაიდან შპს "ციტადელს" არ განუზოციელებია უძრავი ქონების წარმოება (მიწოდება), არ არსებობდა დღგ-ს ჩათვლაზე უარის თქმის საფუძველიც.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ შპს "ციტადელის" საკასაციო საჩივრის განხილვისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელს საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 19 სექტემბრის სხდომაზე შპს "ციტადელის" შეგებებულ სარჩელში მითითებული ანგარიშ-ფაქტურების ნამდვილობა სადავოდ არ გაუხდია და მიუთითა, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას, ხსენებული ანგარიშ-ფაქტურების სიყალბეზე რაიმე დასაბუთებული პრეტენზია განეცხადებინა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლის აღნიშნული განმარტების შესახებ შპს "ციტადელიც" მიუთითებს საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ მოსაზრებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის #ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილება არ განსხვავდება ამ კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, აღნიშნული გადაწყვეტილება არის კანონიერი და დასაბუთებული, ხოლო განმცხადებელს არ მიუთითებია რაიმე ახალ გარემოებაზე ან მტკიცებულებაზე, რაც დააფუძნებდა ხსენებული გადაწყვეტილების გადასინჯვას -მის გაუქმებას და #ბს-261-247(კ-07) ადმინისტრაციული საქმის განახლებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის #ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადება უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის №ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადება არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოების გამო;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

№ბს-1111-1063(კ-07) 9 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება, სასამართლო გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

24.11.04წ. გ. მ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს საჩხერის გამგეობის წინააღმდეგ და შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის ვნების მიყენების საფუძველით მოითხოვა ერთდროულად 9 056 ლარის, ხოლო 2004 წლიდან ყოველთვიურად 48 ლარის და მომვლელის შრომის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება. მოსარჩელის განმარტებით, 1975 წლიდან მუშაობდა ონის რ-ნის ჩოდრის ბარიტის მადაროთა სამმართველოში მიწისქვეშა სამუშაოებზე. 1978 წ. მიიღო საწარმოო ტრავმა და განესაზღვრა მე-3 ხარისხის ინვალიდობა. 18.05.91წ. ჩატარებული საექიმო-საექსპერტო კომისიის მიერ დაუდგინდა მე-2 ჯგუფის ინვალიდობა და განესაზღვრა შრომისუნარიანობის დაკარგვა 80%-ით უვადოდ. 1993 წლიდან აღარ მიუღია ზიანის ანაზღაურების მიზნით დანიშნული ყოველთვიური სარჩო. სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 09.92.99წ. #48 ბრძანებით დამტკიცებული "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი".

საჩხერის რაიონული სასამართლოს 30.12.04წ. განჩინებით საქმეში სათანადო მოპასუხედ ჩაება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 26.01.05წ. გადაწყვეტილებით გ. მ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროულად 3668 ლარის გადახდა, ხოლო 2004 წლის 1 დეკემბრიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე, ყოველთვიურად 42 ლარის გადახდა. სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ხელფასის ცვლილებების შესაბამისად უნდა განხორციელდეს მისი გადაანგარიშება. სასარჩელო მოთხოვნა დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 26.01.05წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

10.04.07წ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს და საჩხერის რაიონული სასამართლოს 26.01.05წ. გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება მოითხოვა, რომლითაც სამინისტროს ევალუბოდა მოსარჩელისათვის 2007 წლის 1 მარტიდან სარჩოს გადახდა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საჩხერის რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. #48 ბრძანებულების საფუძველზე, რომელიც გაუქმებულ იქნა 06.02.07წ. #93 ბრძანებულებით, რაც, განმცხადებლის მოსაზრებით, სსკ-ის 423-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 15.05.07წ. განჩინებით გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 26.01.05წ. #3/3 გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ევალეზობა გ. მ-შვილისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდა 2007 წლის 1 მარტიდან.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 21.05.07წ. განჩინებით საქმეში თანამოპასუხედ ჩაება საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 04.06.07წ. გადაწყვეტილებით გ. მ-შვილის სარჩელი საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ყოველთვიური სარჩოს ვადის 2007 წლის 1 მარტის შემდეგ გაგრძელების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელეს 2007 წლის 1 მარტამდე აუნაზღაურდა დარჩენილი მისაღები სარჩო, ხოლო 2007 წლის 1 მარტის შემდეგ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან განესაზღვრა ერთჯერადი კომპენსაციის გადახდა დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩოს ექვსი თვის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. სარჩელი სხვა ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 04.06.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სოციალური სუბსიდიების სააგენტომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.09.07წ. განჩინებით სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 04.06.07წ. გადაწყვეტილება, საჩხერის რაიონული სასამართლოს 15.05.07წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ითხოვდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 26.01.05წ. გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმებას, რომლითაც სამინისტროს ევალეზობა გადაეხადა მოსარჩელისათვის სარჩო 2007 წლის 1 მარტიდან, რასაც მითითებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავდა. საჩხერის რაიონულმა სასამართლომ სწორედ ამგვარი სახით წარდგენილი განცხადება ცნო დასაშვებად, რაც, სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია. სააპელაციო პალატის აზრით, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ გარემოებას. "სხვა ორგანოს დადგენილება" არ გულისხმობდა ნორმატიულ აქტებს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 15.05.07წ. განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ სსკ-ის 377.3 მუხლის საფუძველზე, როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინება, შესაძლებელი იყო გაუქმებულიყო სააპელაციო სასამართლოს მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მხარეების მიერ აღნიშნული განჩინება გასაჩივრებული არ ყოფილა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 15.05.07წ. განჩინებით გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 26.01.05წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ევალეზობა გ. მ-შვილისათვის გადაეხადა ყოველთვიური სარჩო 2007 წლის 1 მარტიდან. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ სასამართლოს უნდა განეხილა თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა, რაზეც სასამართლოს არ უმსჯელია. პირველი ინსტანციის სასამართლომ ერთჯერადი საკომპენსაციო თანხა განსაზღვრა 26.01.05წ. საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დანიშნული სარჩოს ოდენობით. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავდა მსჯელობას ყოველთვიური სარჩოს ოდენობაზე. სააპელაციო პალატის მითითებით, საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ საკომპენსაციო თანხის ოდენობა განსაზღვრა იმ გადაწყვეტილებით გაანგარიშებული ყოველთვიური სარჩოს ოდენობაზე დაყრდნობით, რომელიც მის მიერვე გაუქმებულ იქნა 15.05.07წ. განჩინებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.09.07წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. კასატორმა აღნიშნა, რომ საჩხერის რაიონული სასამართლოს 26.01.05წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, გ. მ-შვილს უნდა მიეღო სარჩო 2004 წლის 1 დეკემბრიდან მდგომარეობის შეცვლამდე, რაც გულისხმობდა სარჩოს მიღებას ასევე 2007 წლის 1 მარტის შემდეგაც. კასატორის აზრით, 26.01.05წ. გადაწყვეტილება 2007 წლის 1 მარტიდან სარჩოს ანაზღაურების დათქმას შეიცავდა. სამინისტროს განცხადება შეესაბამებოდა სსკ-ის 427-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის მოთხოვნას. კასატორის აზრით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მისი განცხადება აკმაყოფილებდა სსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის მოთხოვნას. მითითებულ ნორმაში, კასატორის აზრით, იგულისხმება საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტები. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს ერთპიროვნულად არ უნდა განეხილა მოცემული საქმე. კასატორს მიაჩნია, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სოციალური დაცვის საკითხს და წარმოადგენს სკ-ის გათვალისწინებულ დელიქტურ ვალდებულებას. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და სსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით გააუქმა საჩხერის რაიონული სასამართლოს 15.05.07წ. განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 25.12.07წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული და მხარეებს უფლება მიეცათ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარმოედგინათ საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით მოსაზრებები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 11.06.08წ. განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებლად იქნა მიჩნეული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს და საჩხერის რაიონული სასამართლოს 26.01.05წ. გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება მოითხოვა, რომლითაც სამინისტროს ევალეზოდა მოსარჩელისათვის 2007 წლის 1 მარტიდან სარჩოს გადახდა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საჩხერის რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. #48 ბრძანებულების საფუძველზე, რომელიც გაუქმებულ იქნა 06.02.07წ. #93 ბრძანებულებით, რაც, განმცხადებლის მოსაზრებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების სსკ-ის 423-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების სსკ-ის 423-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს. აღნიშნული ნორმის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული საპროცესო ნორმა "სხვა ორგანოს დადგენილებებში" არ გულისხმობს ნორმატიულ აქტს, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, შეეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და ადგენს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ისევე, როგორც კანონი, არ შეიძლება იქცეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განახლების საფუძველად, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნება და ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება შესაძლოა იქცეს საქმის წარმოების განახლების საფუძველად.

ამასთანავე საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აპელანტი სოციალური სუბსიდიების სააგენტო სადავოდ არ ხდიდა საქმის წარმოების განახლების შესახებ საჩხერის რაიონული სასამართლოს 15.05.07წ. განჩინებას და სააპელაციო განაცხადი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით სასამართლოსათვის არ წარუდგენია. მოწინააღმდეგე მხარეს არ გაუსაჩივრებია საჩხერის რაიონული სასამართლოს 04.06.07წ. გადაწყვეტილება (უფრო მეტიც, საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. მ-შვილმა მხარი დაუჭირა განმცხადებლის მოთხოვნას). სსკ-ის 248-ე, 377-ე მუხლების თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსკ-ის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილი არ ქმნიდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 15.05.07წ. განჩინების გაუქმების საფუძველს, ხსენებული ნორმა ითვალისწინებს იმ განჩინების გაუქმების შესაძლებლობას, რომელიც ცალკე, გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად, კერძო საჩივრის შეტანის მეშვეობით გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ამასთანავე, ცხადია, რომ სსკ-ის 377.3 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინების გაუქმება დასაშვებია შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილ სააპელაციო საჩივარში მოსაზრებათა ჩამოყალიბებით და გადაწყვეტილების გაუქმებასთან ერთად წინმსწრები განჩინების გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. განსახილველ შემთხვევაში აპელანტს სადავოდ არ გაუხდია საჩხერის რაიონული სასამართლოს 15.05.07წ. განჩინება, აპელანტი სადავოდ ხდიდა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, აპელანტს არ უთხოვია საქმის წარმოების განახლების განჩინების გაუქმება. მითითებული განჩინების გაუქმებით სააპელაციო საჩივარი მხარისათვის საუარესოდ შებრუნდა, რითაც სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება ემყარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის არასწორ განმარტებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.09.07წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა გადაეცეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.09.07წ. განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

განჩინება

#ბ-814-16(ა-08) 10 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა ი. გ-ოვის წარმომადგენლის -რ. ბ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 19.03.08წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ი. გ-ოვმა 01.02.08წ. საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.12.07წ. გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.02.08წ. განჩინებით ი. გ-ოვს განჩინებაში აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად მიეცა ვადა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღე. კასატორს განემარტა, რომ მითითებულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, ი. გ-ოვის საკასაციო საჩივარი განსახილველად არ დაიშვებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 19.03.08წ. განჩინებით ი. გ-ოვის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ხარვეზის შესახებ 19.03.08წ. განჩინების კასატორისთვის ჩაბარების შესახებ უზენაეს სასამართლოში შემოსული დასტურიდან ირკვეოდა, რომ კასატორს ხსენებული განჩინება ჩაჰბარდა 29.02.08წ., ხარვეზის გამოსწორების ბოლო ვადა იყო 10.03.08წ. ოცდაოთხი საათი. მიუხედავად ამისა, ი. გ-ოვის მიერ ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. ი. გ-ოვის მიერ უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრიდან და განცხადებაზე დასმული კანცელარიის ბეჭდიდან დგინდებოდა, რომ კასატორმა ხარვეზი გამოსწორა 18.03.08წ., რაც მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

ი. გ-ოვის წარმომადგენელმა რ. ბ-ძემ 16.04.08წ. განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ 19.03.08წ. განჩინების გაუქმება და ი. გ-ოვის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში მიღება მოითხოვა.

განცხადების ავტორმა მიუთითა, რომ კასატორმა სასამართლოს მიერ გაგზავნილი შეკვეთილი წერილი 10.03.08წ. ჩაიბარა და არა 29 თებერვალს, როგორც ეს მითითებული იყო საკასაციო სასამართლოს 19.03.08წ. განჩინებაში. მან ხარვეზი გამოსწორა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი სასამართლოს წარუდგინა ამ განჩინების მიღებიდან სასამართლოს მიერ დადგენილ 10 დღიან

ვადაში, ანუ სახელმწიფო ბაჟი 18.03.08წ. იქნა გადახდილი, რაც დასტურდება სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ საბანკო ქვითრით. ი. გ-ოვს სასამართლოს მიერ გაგზავნილი დაზღვეული #976 წერილი-შეტყობინებით 10.03.08წ. ჩაჰბარდა, რაც დასტურდება შპს "საქართველოს ფოსტის" ფილიალის "მარნეულის ფოსტის" 10.04.08წ. #22 წერილით, რომელსაც დამოწმებული სახით ერთვის ი. გ-ოვისთვის #976 დაზღვეული წერილის გადაცემის შესახებ წიგნის-ფორმა #8 ფურცლის ასლი, სადაც რიგითი #14 დაფიქსირებული ი. გ-ოვის ხელმოწერა 10.03.08წ. არის დათარიღებული. განცხადების ავტორის მითითებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებას წარმოადგენს საფოსტო განყოფილების რეესტრის ამონაწერი, რითაც დასტურდება, რომ ი. გ-ოვს ხარვეზის გამოსწორების შესახებ სასამართლოს გზავნილი -განჩინება ჩაჰბარდა არა 29.02.08წ., როგორც ეს სადავო განჩინებაშია მითითებული, არამედ 10.03.08წ., რის შემდეგ 18.03.08წ. მან სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა და მტკიცებულება წარადგინა სასამართლოში, რაც ადასტურებს, რომ ი. გ-ოვს ხარვეზის გამოსწორების ვადა არ დაურღვევია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 29.05.08წ. განჩინებით, ი. გ-ოვის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატას საქმის მასალების გაცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ ი. გ-ოვის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას, ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის ხარვეზის შესახებ 22.02.08წ. განჩინება შპს "საქართველოს ფოსტის" "მარნეულის ფოსტის" ფილიალში 29.02.08წ. შევიდა, ხოლო მხარეს, ი. გ-ოვს 10.03.08წ. ჩაჰბარდა, რაც დგინდება შპს "საქართველოს ფოსტის" "მარნეულის ფოსტის" ფილიალის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის -ვ. ალიევის წერილით და მასზე დართული ფორმა #8 წიგნის ქსეროასლით. საკასაციო პალატა განცხადების ავტორის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით დადგენილად მიიჩნევს, რომ ი. გ-ოვის მიერ 22.02.08წ. განჩინებით განსაზღვრული ხარვეზი მხარის მიერ 18.03.08წ., სასამართლოს მიერ დადგენილ 10_დღიან ვადაში, იქნა გამოსწორებული. ვინაიდან ხარვეზის გამოსწორების ვადის დარღვევის მოტივით არ არსებობს ი. გ-ოვის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 19.03.08წ. განჩინება და ი. გ-ოვის საკასაციო საჩივარზე განახლდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ი. გ-ოვის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 19.03.08წ. განჩინება;
3. ი. გ-ოვის საკასაციო საჩივარზე განახლდეს საქმის წარმოება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

განჩინება

#ბს-217-211(კ-08)

30 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ფართზე უფლებამოპოვებულად ცნობა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

მ. ვ-მემ სარჩელი აღძრა ვაკის რაიონის სასამართლოში მოპასუხის -ა. ო-ანის მიმართ, მესამე პირის -ვაკის რაიონის გამგეობის მონაწილეობით, რომლითაც მოითხოვა ქ. თბილისში, ... გამზ. III კვარტლის, V კორპუსში მდებარე #39 ბინაზე უფლებამოპოვებულად ცნობა და ა. ო-ანის უფლებდაკარგულად ცნობა.

საქმის გარემოებები:

1991 წლის დეკემბერში მოპასუხე -ა. ო-ანის ძმამ მოკლა მეზობელი და იმავე წლის დეკემბერში დატოვეს საცხოვრებელი ბინა. ვინაიდან მოსარჩელეს არსად არ გააჩნდა საცხოვრებელი ბინა, იძულებული იყო, აღნიშნულ ბინაში შესახლებულიყო, სადაც ცხოვრობდა 1992 წლიდან და იხდიდა გადასახადებს. როგორც მისთვის ცნობილი გახდა, მოპასუხე თავისი ოჯახით წასული იყო აშშ-ში.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი:

მოსარჩელის განმარტებით, მისი ოჯახი შედგებოდა სამი წევრისაგან, რომელსაც არ გააჩნდა საცხოვრებელი ბინა, რის გამოც მიტოვებულ ბინაში შესახლდნენ თვითნებურად.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველი:

მოსარჩელემ, საქართველოს საბინაო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, მოითხოვა ქ. თბილისში, ... გამზირის III კვარტლის, V კორპუსის #39-ში, იგივე ... ქ. #86-ში, მდებარე ბინის ფართზე უფლებამოპოვებულად, ხოლო მოპასუხე ა. ო-ანის მისი ოჯახის წევრებთან ერთად აღნიშნულ ბინაზე უფლებდაკარგულად ცნობა.

საქმის მასალების მიხედვით, ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ვ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა -იგი ცნობილ იქნა ზემოაღნიშნულ ბინაზე უფლებამოპოვებულად, ხოლო ა. ო-ანი -უფლებდაკარგულად, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მ. ვ-მე 1992 წლიდან ცხოვრობდა სადავო ბინაში, რომელიც 1991 წლიდან იქნა მიტოვებული. აღნიშნული ბინა იყო დარბეული და საცხოვრებლად უვარგისი. მოპასუხე ა. ო-ანმა ბინა მიატოვა იმის გამო, რომ მისი ძმა ეჭვმიტანილ იქნა მეზობელ ი-შვილის მკვლელობაში, რის გამოც მოკლულის ახლობლებმა დაარბიეს მათი ბინა ისე, რომ საცხოვრებლად უვარგისი გახდა. მოსარჩელე ცხოვრობდა ქირით მეზობელ კორპუსში ოჯახთან ერთად. 1992 წელს მეზობლების რჩევით შევიდა უპატრონოდ მიტოვებულ ბინაში და დღემდე იქ ცხოვრობს. წლების განმავლობაში მ. ვ-მემ მოიპოვა სადავო ბინაზე ცხოვრების უფლება, რამდენადაც დღემდე ბინის მიმართ სხვა ვინმეს პრეტენზია არ განუცხადებია, ხოლო ო-ანები 1991 წლიდან აღნიშნულ ბინაში არ გამოჩენილან, რაზეც არსებობდა აქტები, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ ო-ანები ბინაში არ ცხოვრობდნენ და იგი დარბეული იყო. ამავე აქტებით დასტურდებოდა, რომ 1992 წლის აგვისტოდან სადავო ბინაში ცხოვრობდნენ ვ-მეები. ო-ანების ადგილსამყოფელი უცნობი იყო და მათ, საქართველოს საბინაო კოდექსის 69-ე მუხლიდან გამომდინარე, სადავო ბინაზე ფაქტობრივად დაკარგეს ცხოვრების უფლება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვაკის რაიონის გამგეობამ და ვაკის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1997 წლის 19 მარტის განჩინებით ვაკის რაიონის გამგეობის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო შეწყდა საკასაციო წარმოება.

2000 წლის 3 ოქტომბერს რ. პ-ანმა განცხადებით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და სსსკ-ის 422-ე მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად, მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 თებერვლის განჩინებით ბათილად იქნა ცნობილი ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

რაიონული სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ვ-მემ.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 28 თებერვლის განჩინებით მ. ვ-ძის კერძო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული და სსსკ-ის 417-ე მუხლის შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 30 აპრილის განჩინებით მ. ვ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა დაუშვებლობის გამო.

2001 წლის 7 აგვისტოს რ. პ-ანმა შეგებებული სარჩელი აღძრა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში და მოითხოვა მ. ვ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, 1997 წლის 15 ივლისის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომლითაც ქ. თბილისში, ... მდებარე ბინა #39 უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა მ. ვ-ძეს, მ. ვ-ძისა და მისი ოჯახის გამოსახლება ბინიდან და ბინის თავისუფალ მფლობელობაში გადაცემა შეგებებული მოსარჩელისათვის, ასევე, შეგებებულმა მოსარჩელემ იშუამდგომლა საქმეში მ. ვ-ძის ოჯახის წევრების ჩართვა.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 3 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხეებად ჩაერთნენ ს. ბ-ის ძე და ს. პ-ანები, ხოლო მოსარჩელეებად - მ. ვ-ძის ოჯახის წევრები -ქ. გ-ძე და შ. ვ-ძე.

2003 წლის 7 მარტს რ. პ-ანმა დაზუსტებული შეგებებული სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, მესამე პირად მიუთითა ნოტარიუსი ტ. ა-ანზე და შეგებებულ სარჩელში დაყენებულ მოთხოვნებთან ერთად მოითხოვა ვაკის რაიონის გამგეობის 1997 წლის 26 თებერვლის #3.11.27 გადაწყვეტილებისა და ვაკის რაიონის გამგეობის მიერ 1997 წლის 30 აპრილს მ. ვ-ძისა და მისი ოჯახის სახელზე გაცემული ბინის ორდერის გაუქმება, სადავო ბინის სახელმწიფო საკუთრებად ცნობა.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 31 მარტის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო #77 სერვისი.

ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს 2004 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინებით მ. ვ-ძის სარჩელზე, ფართზე უფლებდაკარგულად მოპასუხეთა ცნობის ნაწილში, სათანადო მოსარჩელედ ჩაერთო ვაკის რაიონის გამგეობა.

ვაკის რაიონის გამგეობამ უარი განაცხადა სასარჩელო მოთხოვნაზე ა. ო-ანის და პ-ანების ბინაზე უფლებდაკარგულად ცნობის შესახებ, იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელებს ფართის თვითნებურად მიტოვების გამო დაკარგული აქვთ მასზე უფლება და მოითხოვა ამ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტა, რაც დაკმაყოფილდა რაიონული სასამართლოს მითითებული საოქმო განჩინებით და სსსკ-ის 272-ე მუხლის "გ" პუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოება შეწყდა.

რაიონული სასამართლოს ამავე საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხე შეიცვალა სათანადო მოპასუხით -ვაკის რაიონის გამგეობით.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 8 ივლისის საოქმო განჩინებით სსსკ-ის 84-ე მუხლის შესაბამისად, არასათანადო შეგებებული მოსარჩელე შეიცვალა სათანადო მოსარჩელით -ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობით, ხოლო რ. პ-ანი საქმეში ჩაერთო მესამე პირად.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ვ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა -დაკმაყოფილდა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის შეგებებული სარჩელი, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

ქ. თბილისში, ... მდებარე ბინა #39-ის დამქირავებელს წარმოადგენდა ა. ო-ანი, რომელთან ერთად ბინაში, 1996 წლის 5 ნოემბრის #77 საბინაო საექსპლუატაციო უზნის უფროსის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ჩაწერილი იყვნენ მისი შვილები -რ. და ს. და შვილიშვილი -ს. პ-ანები. 1991 წლის დეკემბერში მათი მეზობლის -ზ. ი-შვილის მკვლელობის გამო ა. ო-ანის ოჯახმა დატოვა საცხოვრებელი ბინა, რომელიც თვითნებურად დაიკავა მ. ვ-ძის ოჯახმა. 1996 წლის ნოემბერში მ. ვ-ძემ სარჩელით მიმართა ვაკის რაიონის სასამართლოს ა. ო-ანის ფართზე უფლებდაკარგულად ცნობისა და აღნიშნულ ბინაზე მისი ფართზე უფლებამოპოვებულად ცნობის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა რაიონის სასამართლოს მიერ.

რაიონულმა სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მოთხოვნა უკანონო მფლობელობიდან ფართის გამოთხოვისა და მ. ვ-ძის ოჯახის წევრებთან ერთად თვითნებურად დაკავებული ბინიდან გამოსახლებისა და პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, ვინაიდან გაუქმებული იყო 1996 წლის 25 დეკემბრის ვაკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მ. ვ-ძეს გაუფორმდა ბინა და მიეცა პრივატიზაციის უფლება. ამდენად, აღარ არსებობდა აღნიშნული გარიგების საფუძველიც. სსკ-ის 164-ე მუხლის თანახმად კი არაკეთილსინდისიერ მფლობელს ნივთი უნდა დაებრუნებინა უფლებამოსილი პირისათვის.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ვ-ძემ, ქ. გ-ძემ და შ. ვ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 თებერვლის განჩინებისა და 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება, შემდეგი მოტივით:

აპელანტების განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო, რის გამოც ექვემდებარებოდა გაუქმებას. ამასთან, იგი გამოტანილი იყო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევით. აღნიშნულ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა განჩინება კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, რომელიც ასევე უსაფუძვლო იყო და ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას.

აპელანტების აზრით, სარჩელის დაკმაყოფილების უცილო საფუძველი იყო ის, რომ დამქირავებელმა თვითნებურად მიატოვა დაქირავებული ბინა და არ ჩაუბარებია ბინა მესაკუთრისათვის და სანაცვლო ბინის მოთხოვნა. ასევე, არ უცნობებია მისი საცხოვრებელი მისამართის შესახებ. ამდენად, ა. ო-ანს და მისი ოჯახის წევრებს სარჩელის შეტანის მომენტში, 1996 წელს, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ავტომატურად ჰქონდათ ფართზე უფლება დაკარგული. სასამართლოს მთავარ სხდომაზე ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, რომ მას უნდა დაეყენებინა სასამართლოში მოთხოვნა ა. ო-ანისა და სხვების ფართზე უფლებდაკარგულად ცნობის შესახებ. აპელანტების აზრით, მან ასეთი მოთხოვნა განახორციელა 1996 წელს, როცა მხარი დაუჭირა სასარჩელო მოთხოვნას. სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და იგი ცნო სათანადო მოსარჩელედ. ამის შემდეგ გამგეობამ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, ვინაიდან დამქირავებელმა თვითნებურად მიატოვეს დაქირავებული ბინა და ამით შეწყვიტეს დამქირავებლებზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება. ამდენად, სასამართლოში არანაირი მოთხოვნა არც არის და არც 1996 წელს იყო დაყენებული. აღსანიშნავია ის, რომ იმავე წელს გამგეობა სასამართლო პროცესში მონაწილეობდა, როგორც მესამე პირი. მან რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება კასაციის წესით გასაჩივრა და მოითხოვა გადაწყვეტილების შეცვლა და ვ-ძეების გამოსახლება. მოგვიანებით, აღნიშნულ მოთხოვნაზე გამგეობამ უარი განაცხადა, რის გამოც შეწყდა საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციაში. მოთხოვნაზე უარის თქმის გამო, გამგეობამ ასეთი მოთხოვნის პროცესუალური უფლება დაკარგა, შესაბამისად ძალაში იყო განჩინება გამგეობის საკასაციო საჩივრის განხილვასთან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის საფუძველით, რის გამოც არ არსებობდა აღნიშნული განჩინების ბათილად ცნობის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურდა ბათილად ცნობის შესახებ განცხადების უსაფუძვლობაც და გადაწყვეტილება შეიცვალა არა იმ პირის ხელსაყრელად, ვინც შეიტანა განცხადება, არამედ იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც თავის დროზე პროცესში მონაწილეობდა და სამოქალაქო სარჩელზე უარც განაცხადა. აღნიშნული კი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობას, რომელთა ძალითაც არსებობდა სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მხოლოდ საკუთარი დარღვეული უფლების აღსადგენად. სასამართლომ კი გადაწყვეტილებით აღადგინა იმ პირის უფლება, ვინც პროცესში მონაწილეობდა და არავითარი საფუძველი საქმის წარმოების განახლებისთვის არ გააჩნდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინებით მ. ვ-ძის, ქ. გ-ძისა და შ. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

ქ. თბილისში, ... ბინა #39 ირიცხებოდა ა. ო-ანის სახელზე, რომელიც წარმოადგენდა ბინის ძირითად დამქირავებელს. ვაკის რაიონის გამგეობის 1993 წლის 4 თებერვლის წერილში მითითებული იყო, რომ ა. ო-ანის სახელზე რიცხული ბინა დაკავებული ჰქონდა მ. ვ-ძეს, რომლის გამოსახლებაზე შედგენილი იყო სათანადო საბუთები და უახლოეს დროში სასამართლოში წარადგენდნენ სარჩელს დაკავებული ბინიდან მისი გამოსახლების შესახებ, ამდენად, განცხადება ბინის პრივატიზების შესახებ განხილული იქნებოდა სახალხო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღების და ბინის ფიზიკურად გათავისუფლების შემდეგ.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ა. ო-ანის სახელზე რიცხული ბინა 1992 წელს თვითნებურად დაიკავა მ. ვ-ძემ, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე, ვინაიდან იმ დროს მოქმედი საქართველოს საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელ სადგომში შესახლების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა ორდერი, რაც მ. ვ-ძეს არ გააჩნდა. ამავე კოდექსის 69-ე მუხლი აწესებდა რა დროებით სხვაგან მყოფი მოქალაქისათვის საცხოვრებელი სადგომის შენახვის პირობებს, ვადების გადამეტებით სხვაგან ყოფნის შედეგად საცხოვრებელი სადგომით სარგებლობაზე უფლებდაკარგულად პირის ცნობა გათვალისწინებული იყო სასამართლო წესით, რასაც ა. ო-ანისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ა. ო-ანს და მისი ოჯახის წევრებს ფართზე უფლება ავტომატურად ჰქონდათ დაკარგული, რ. პ-ანმა ბინა მიატოვა საკუთარი ნებით, დაკარგა დამქირავებლის სტატუსი და იგი არ იყო ის პირი, რომელიც სასამართლო სხდომაზე უნდა ყოფილიყო მიწვეული, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა გაუქმებას. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის დასკვნა, რომ მ. ვ-ძე და მისი ოჯახის წევრები არ წარმოადგენდნენ ბინის მართლობიერ მფლობელებს და არ გააჩნდათ ფართზე უფლებამოპოვებულად ცნობის საფუძველი, რის გამოც არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების არავითარი სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, რაიონულმა სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა კანონი, საქმის

ფაქტობრივ გარემოებებს მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, შეგებებული სარჩელი დააკმაყოფილა სწორად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ვ-მემ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინების, ასევე ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 თებერვლის განჩინების გაუქმება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი კანონიერ ძალაში შესული ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, არასწორად განმარტა კანონი.

კასატორის განმარტებით, რ. პ-ანმა სასამართლოს მიმართა სსსკ-ის 422.1. "ბ" მუხლის საფუძველზე მაშინ, როცა მას უფლება ჰქონდა სასამართლოსათვის მიემართა სსსკ-ის 422.1. "გ" მუხლის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მან საკუთარი თავი მიიჩნია პირად, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება. განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ რომელიც მუხლის საფუძველზეც უნდა იყოს შეტანილი, აუცილებლად უნდა შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, რა ზომით და რა ფარგლებში ითხოვს განმცხადებელი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და სხვა გადაწყვეტილებით შეცვლას. აღნიშნული წარმოადგენს აუცილებელ პირობას განცხადების დასაშვებობისა, ვინაიდან მხოლოდ მოთხოვნა არის იმის დამადასტურებელი, თუ რამდენად სათანადო პირის მიერ არის შეტანილი განცხადება. ამასთან, მოთხოვნა აუცილებლად უნდა რჩებოდეს საქართველოს კოსტიტუციის 42-ე მუხლისა და სსსკ-ის მე-2 მუხლის ფარგლებში, კერძოდ, საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად. ასეთ მოთხოვნას რ. პ-ანის განცხადება არ შეიცავდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც საფუძვლიანად ცნო განცხადება და განახლა საქმის წარმოება, რის შემდეგაც რ. პ-ანმა სასამართლოში შეიტანა შეგებებული სარჩელი, რითაც მოითხოვა მ. ვ-მის სარჩელის დაკმაყოფილება უარის თქმა, ასევე პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ბინის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა. 1996 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით სადავო ბინა სახელმწიფო საკუთრება იყო, აღნიშნულ ფართზე შეწყდა, დამქირავებლის მიერ მისი მიტოვების გამო, ქირავნობის ხელშეკრულება.

კასატორის განმარტებით, ა. ო-ანსა და პ-ანებს ვ-მებთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ და არავითარი ბრალი არ მიუძღვით ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტაში, შესაბამისად, სასამართლო არასწორად განმარტავს ბინის დაკავების კანონიერების ფაქტს. სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეემოწმებინა პ-ანის მოთხოვნის ნაწილში, ანუ ეს უკანასკნელი თუ გამოცხადდებოდა სასამართლო პროცესზე, რას მოითხოვდა და თუ მოითხოვდა, აღნიშნული მოთხოვნა იქნებოდა თუ არა სამართლიანი და დასაბუთებული.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა გადაწყვეტილების წინმსწრები გადაწყვეტილება, რომელიც მაშინ ცალკე არ საჩივრდებოდა და სააპელაციო სასამართლოს არავითარი უფლება არ ჰქონდა, არ ემსჯელა მოთხოვნის აღნიშნულ ნაწილზე და არ მიეღო გადაწყვეტილება. თუმცა, საქმის წარმოების განახლება თავის დროზე კიდევ რომ ყოფილიყო საფუძვლიანი, მას შემდეგ, რაც განცხადების ავტორმა დავის საგანთან შეხება დაკარგა და სათანადო მოსარჩელედ ვაკის რაიონის გამგეობის ცნობას დაეთანხმა, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მაინც არ შეიძლებოდა, ვინაიდან მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნაზე უარი ჰქონდა ნათქვამი და ასეთი ფაქტის მიმართ ახლად აღმოჩენილი გარემოება არ გამოვლენილა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც I ინსტანციის სასამართლომ, ასევე სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტეს და გამოიყენეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი მუხლები, რამაც გამოიწვია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის განჩინებით მ. ვ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "გ" პუნქტის საფუძველზე (პროცესუალური კასაცია).

საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

მოწინააღმდეგე მხარის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის წარმომადგენელმა არ ცნო საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მესამე პირის -რ. პ-ანის წარმომადგენელმა არ ცნო საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და

საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ვ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივები დაუსაბუთებელია და არ ქმნის სამართლებრივ საფუძველს სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინების გასაუქმებლად. სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტისას დარღვეული არ არის საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმები, საქმის გარემოებები გამოკვლეულია ობიექტურად და არსებითად დავა გადაწყვეტილია სწორად.

საკასაციო საჩივრის მოტივი ძირითადად ემყარება სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევას, კასატორი კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის მოტივების შეუფასებლობას, კერძოდ, სააპელაციო საჩივრით მ. ვ-მ ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებების კანონიერების გადასინჯვას.

საკასაციო საჩივრის განაცხადი ასევე შეიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებების გაუქმების შესახებ მოთხოვნას.

საქმის მასალების მიხედვით:

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა რ. ბ-ის ძე პ-ანის განცხადება, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 25 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში სამართლებრივი შეფასება მისცა ზემოაღნიშნულ განჩინებას, კერძოდ, დაასკვნა, რომ რაიონული სასამართლოს მიერ სწორად იქნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ბათილად ცნობილი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასაციის მოტივი საქმის წარმოების განახლების შემდგომ მხარეთა მიერ საპროცესო მოქმედებების და შესაბამისი სასამართლო აქტების მართლზომიერების შესახებ, უსაფუძვლოა და არ უნდა იქნას გაზიარებული, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 3.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სსსკ-ის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებულია სამართალაქო სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპი - დისპოზიციურობის პრინციპი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო სამართალწარმოებაში ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ, თუ რა დროს და რა სახით მოახდინონ თავიანთი უფლებების რეალიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ რ. პ-ანმა, რომელმაც მიმართა რაიონულ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ (რაც დაკმაყოფილდა), მას შემდეგ, რაც იგი საქმის თავიდან განხილვის სტადიაზე დათანხმდა სასამართლოს შეთავაზებას სსსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე, როგორც არასათანადო მოპასუხე (შეგებებული სარჩელით) შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით თბილისის ვაკის რაიონის გამგეობით (რომელმაც მხარი დაუჭირა შეგებებული სარჩელის მოთხოვნას), დაადასტურა, რომ 2000 წლის ოქტომბერში არანაირი უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

მსჯელობის ამგვარი ლოგიკა ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ძირითად პრინციპს - დისპოზიციურობის პრინციპს, ვინაიდან რ. პ-ანის მატერიალურ უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხებოდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და იგი უსათუოდ უნდა ყოფილიყო მოწვეული საქმის განხილვაზე, რაც სსსკ-ის 422-ე მუხლის "ბ" პუნქტის საფუძველზე ქმნიდა (განცხადების შეტანის დროისთვის მოქმედი რედაქცია) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის პროცესულ საფუძველს. ამასთან, დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას შემდეგზე, რომ განმცხადებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვდა სსსკ-ის 422-ე მუხლის "ბ" პუნქტის მიხედვით და რაიონის სასამართლომაც ეს ნორმა მიუთითა განცხადების დაკმაყოფილებისას. ვინაიდან, რ. პ-ანმა განცხადება სასამართლოში შეიტანა 2000 წლის 3 ოქტომბერს, რა დროსაც სსსკ-ის 422-ე მუხლის მე-2 ნაწილი შედგებოდა 2 - "ა" და "ბ" ქვეპუნქტებისაგან, ხოლო "გ" ქვეპუნქტი დაემატა 2006 წლის 13 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებით, ამდენად, განმცხადებელს საპროცესო კანონის ნორმა არ დაურღვევია. თუმცა, საგულისხმოა, რომ რ. პ-ანის განცხადების შინაარსი აგებულია სწორედ სსსკ-ის დღეს მოქმედი 422-ე მუხლის "გ" პუნქტის საფუძველის კონტექსტში, სადაც იგი ითხოვს საქმის წარმოების განახლებას სწორედ იმ საფუძველით, რომ ის და მისი ოჯახის წევრები სასამართლომ საქმეში მხარედ არ ჩააბა და მათი მონაწილეობის გარეშე განიხილა საქმე. რ. პ-ანი და მისი ოჯახის წევრები არ ყოფილან საქმეში მხარეებად ჩაბმულნი და მათი უფლებები არ ყოფილა რეალიზებული საქმის განხილვისას.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 1.2. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების

აღსრულების დროს. ამდენად, რ. პ-ანი განცხადების შეტანისას თავის უფლებას ახორციელებდა შეტანის მომენტში მოქმედი საპროცესო კანონის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც შინაარსობრივად მოიცავდა დღეს მოქმედი "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველსაც, სასამართლოთა მიერ საპროცესო კანონის სწორი ინტერპრეტაციის უფლებამოსილების გამოყენების საფუძველზე.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვაკის რაიონის სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისას იხელმძღვანელა იმ დროსათვის მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, ამდენად, სასამართლო აქტის კანონიერება ვერ შეფასდება დღეისათვის მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით.

ასევე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას შემდეგზე, ვინაიდან ვაკის რაიონის გამგეობამ უარი თქვა ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარზე და საქმის წარმოება შეწყდა, მას აღარ ჰქონდა უფლება შეგებებული სარჩელის მოთხოვნის ავტორი ყოფილიყო სსსკ-ის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 431-ე მუხლით განსაზღვრულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შემდგომი პროცედურა, კერძოდ, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა უდევს საფუძველად საქმის წარმოების განახლებას - გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამ გადაწყვეტილების გაუქმება, საქმე, რომლის წარმოებაც განახლდა, განხილულ უნდა იქნეს თავიდან, ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის წარმოების განახლების პროცესუალური შედეგი - სასამართლოს ვალდებულება საქმის თავიდან განხილვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ყველა წესის დაცვით, ნიშნავს, რომ საქმე განხილვა არა ხელახლა, არამედ თავიდან, ე.ი. იმგვარად, თითქოს იგი ადრე არც ყოფილა განხილული, შესაბამისად, მანამდე საქმის განხილვისას განხორციელებული საპროცესო მოქმედებები, რეალიზებული ან არარეალიზებული საპროცესო უფლებები არ ბოჭავს მხარეებს, განსხვავებულად განკარგონ თავიანთი საპროცესო უფლებები საქმის წარმოების განახლების შემდგომ საქმის განხილვისას, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ყველა წესის დაცვით საქმის განხილვა გულისხმობს მხარეთა ნების ავტონომიას, შეუზღუდავად განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები; წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონმდებელი ჩამოაყალიბებდა საპროცესო ნორმას შესაბამისი დათქმით, რომ საქმის თავიდან განხილვისას მხარეები შეზღუდული არიან, წარსულში განხორციელებული საპროცესო მოქმედებებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასაციის მოტივს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და გასაჩივრებულ წინმსწრებ განჩინებებს, ვინაიდან საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არ დადასტურდა კასატორის მოტივების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის მატერიალურ-სამართლებრივ ნაწილთან დაკავშირებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სამართლებრივ შეფასებასა და ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებს, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც ამ მიმართებით არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოტივის გაქარწყლების და სააპელაციო სასამართლოს დასკვნების დამატებითი დასაბუთების პროცესუალური საჭიროება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამისობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს მ. ვ-ძის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები და სააპელაციო სასამართლოს განჩინება, როგორც არსებითად სწორი, ექვემდებარება უცვლელად დატოვებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

№ბ-1510-20(ა-08)

16 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 29 ოქტომბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ჩ-მემ მოპასუხეების -ქ. ქუთაისის მერიისა და ე. რ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა 1993 წლის 15 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ქ. ქუთაისში, ... აღმართის #19-ში (ყოფილი ... ქ. #2) მდებარე სახლის ნაწილის მისი, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრის, საკუთრებაში აღრიცხვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის ადგილობრივი მმართველობის ორგანოსა და ე. რ-ძეს შორის 1993 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება; ქ. ქუთაისში, ... აღმართის #19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნაწილი, რომელიც ერიცხებოდა ე. რ-ძეს, საკუთრების უფლებით აღირიცხა ნ. ჩ-ძის სახელზე.

2005 წლის 6 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართეს ლ. გ-იამ და ნ. ფ-მემ, რომლებმაც მოითხოვეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, საქმის წარმოების განახლება და ახალი გადაწყვეტილებით ნ. ჩ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 30 მაისის განჩინებებით (2 განჩინება) ლ. გ-იასა და ნ. ფ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ ლ. გ-ია და ნ. ფ-მე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჩ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 20 დეკემბრის განჩინებით ნ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა -უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჩ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ნ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 20 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ნ. ჩ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერიისა და ე. რ-ძეს შორის 1993 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულება ქ. ქუთაისში, ... აღმართის #19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პრივატიზაციის თაობაზე; ნ. ჩ-ძის სარჩელი ქ. ქუთაისში, ... აღმართის #19-ში მდებარე სახლის ნაწილის მის საკუთრებაში აღრიცხვაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჩ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მისი სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა, ლ. გ-იასა და ნ. ფ-ძის მიერაც, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ნ. ჩ-ძის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილებით ნ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა - ლ. გ-იასა და ნ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, რომლითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა იმ ნაწილში, რომლითაც ნ. ჩ-ძეს ქ. ქუთაისში, ... აღმართის #19-ში (ყოფილი ... ქ. #2) მდებარე სახლის ნაწილის მის საკუთრებაში აღრიცხვაზე ეთქვა უარი; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერიასა და ე. რ-ძეს შორის 1993 წლის 15 სექტემბერს დადებული ბინის პრივატიზების ხელშეკრულება; ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ჩ-ძის სარჩელი ქ. ქუთაისის მერიასა და ე. რ-ძეს შორის 1993 წლის 15 სექტემბერს დადებული პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

2008 წლის 2 ივლისს ნ. ჩ-ძის რწმუნებულმა ბ. ს-ძემ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით ფოსტის მეშვეობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და ამავე პალატის 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და ნ. ჩ-ძის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, ასევე, ლ. გ-იასა და ნ. ფ-ძის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ #ბს-542-518(კ-07) საქმის არსებითად განხილვისას უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ, თითქოს 1994 წლიდან ნ. ჩ-ძესა და ე. რ-ძეს შორის მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა ქ. ქუთაისში, ... აღმართის #9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, რომელიც განიხილა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ და გადაწყვეტილება მიიღო ე. რ-ძის სასარგებლოდ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ნ. ჩ-ძის სარჩელი არასწორად მიიჩნია ხანდაზმულად. 2008 წლის 17 ივნისს ბ. ს-ძემ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული შესაბამისი სამოქალაქო საქმიდან გადაწყვეტილების ასლი, რაზედაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საარქივო განყოფილების უფროსმა 2008 წლის 17 ივნისის #1228 წერილით მას აცნობა, რომ 1993-1995 წლებში ე. რ-ძისა და ნ. ჩ-ძის მონაწილეობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმე რეგისტრირებული არ იყო. ამდენად, ბ. ს-ძის მტკიცებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, ვინაიდან დადგენილად მიიჩნია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საერთოდ არ ყოფილა გამოკვლეული და შესწავლილი, ხოლო ამ გარემოების შესახებ ბ. ს-ძემ შეიტყო 2008 წლის 17 ივნისის #1228 წერილიდან და ხსენებული წერილი, როგორც მტკიცებულება, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა ნ. ჩ-ძისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ბ. ს-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად და ამ განცხადების განხილვა დაინიშნა 2008 წლის 16 ოქტომბერს, მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით ბ. ს-ძის განცხადება მტკიცებულებათა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოფ-ის საგამომიებო სამსახურიდან ლ. გ-იას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოთხოვის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო ბ. ს-ძის განცხადებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე და მიაჩნია, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. იმავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება

შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ე"- "ვ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ. ჩ-ძის რწმუნებულმა ბ. ს-ძემ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით ფოსტის მეშვეობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას მიმართა 2008 წლის 2 ივლისს, მაშინ, როდესაც #ბს-542-518(კ-07) ადმინისტრაციულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო 2008 წლის 28 თებერვალს. გამცხადებელს კი არ დაუსაბუთებია, თუ რატომ ვერ შეძლო მან #ბს-542-518(კ-07) ადმინისტრაციული საქმის წარმოების პერიოდში მიემართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტისთვის იმის გასარკვევად, 1993-1995 წლებში ე. რ-ძისა და ნ. ჩ-ძის მონაწილეობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმე რეგისტრირებული იყო თუ არა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს და განმცხადებელ ბ. ს-ძის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ, როგორც სააპელაციო სასამართლოს მიერ იყო დადგენილი, ქ. ქუთაისის მერიასა და ე. რ-ძეს შორის 1993 წლის 15 სექტემბრის პრივატიზების ხელშეკრულების დადების შემდეგ, ე. რ-ძემ აღნიშნული ბინა გაასხვისა ლ. გ-იასა და ნ. ფ-ძეზე 2003 წლის 21 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით, ხოლო ნ. ჩ-ძე ისე ითხოვდა აღნიშნული ბინის თავის საკუთრებად აღრიცხვას, რომ იგი სადავოდ არ ხდოდა ე. რ-ძის შემდგომი მესაკუთრეების მიერ ბინის საკუთრებაში შექმნას და ამდენად, თუნდაც პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ავტომატურად ვერ განაპირობებდა ნ. ჩ-ძის სახელზე ბინის აღრიცხვას და ნ. ჩ-ძის საკუთრების უფლებას სადავოდ ბინაზე, რამდენადაც პრივატიზების ხელშეკრულების გარდა, არსებობდა აღნიშნულ ბინაზე საკუთრების გადასვლის სხვა სამართლებრივი საფუძვლები, რომელთა არსებობა გამორიცხავდა მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ. ს-ძის მიერ განცხადებაში მოყვანილი ზემოხსენებული გარემოება, კონკრეტულ შემთხვევაში, ვერ დააფუძნებს #ბს-542-518(კ-07) ადმინისტრაციული საქმის წარმოების განახლებას, რადგან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საარქივო განყოფილების უფროსის 2008 წლის 17 ივნისის #1228 წერილის, როგორც მტკიცებულების, სასამართლოში საქმის განხილვის დროს წარდგენა არ გამოიწვევდა ნ. ჩ-ძისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. განმცხადებელი ბ. ს-ძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევს მხოლოდ იმ მოტივით, რომ სასამართლომ არასწორად მიიჩნია ნ. ჩ-ძის სარჩელი ხანდაზმულად. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ ნ. ჩ-ძის სარჩელი, გარდა იმისა, რომ იყო ხანდაზმული, იგი ასევე არსებითადაც უსაფუძვლო იყო. განმცხადებელი ბ. ს-ძე წარმოდგენილი განცხადებით სადავოდ არ ხდის ნ. ჩ-ძის სარჩელის უსაფუძვლობას, რის გამოც ხსენებული განცხადებიდან გამომდინარე, ამ საქმის წარმოების განახლების შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნებოდა ნ. ჩ-ძის სარჩელის დაკმაყოფილება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილებაში მიუთითა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2006 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებაზე და აღნიშნა, რომ ამ დადგენილებაში, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში, რაც გაიზიარა საგამოძიებო კოლეგიამ, მითითებული იყო შემდეგი: 1994 წლიდან ნ. ჩ-ძესა და ე. რ-ძეს შორის მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა ქ. ქუთაისში, ... აღმართის #9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, რომელიც განიხილა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ და გადაწყვეტილება მიიღო ე. რ-ძის სასარგებლოდ. საქმეში წარმოდგენილია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2006 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომლითაც ნ. ჩ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 აგვისტოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე -ნ. და ნუ. ჩ-ძეებისადმი მუქარის განხორციელების

ფაქტზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ქუთაისის რაიონული პროკურატურის 2006 წლის 5 ივლისის დადგენილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ამასთან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2006 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება იყო საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ამდენად, განმცხადებელ ბ. ს-ძის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 1994 წლიდან ნ. ჩ-ძესა და ე. რ-ძეს შორის მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა ქ. ქუთაისში, ... აღმართის #9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, რომელიც განიხილა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ და გადაწყვეტილება მიიღო ე. რ-ძის სასარგებლოდ, წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2006 წლის 27 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით დადგენილ გარემოებას. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა განმცხადებელ ბ. ს-ძის მტკიცება იმის თაობაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, ვინაიდან დადგენილად მიიჩნია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საერთოდ არ ყოფილა გამოკვლეული და შესწავლილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილების მიღებისას არ დაურღვევია საპროცესო კანონმდებლობა და #ბს-542-518(კ-07) ადმინისტრაციულ საქმეზე მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რის გამოც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე ბ. ს-ძის განცხადება არის უსაფუძვლო და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხსენებული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის #ბს-542-518(კ-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე ბ. ს-ძის განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წინამძღვრები

განჩინება

#ბს-105-105(კს-08) 31 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.12.07წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 06.03.07წ. სასარჩლო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს "ელექტროავტომატის"



მიმართ და მოპასუხისათვის 19 608 ლარის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ დაკისრების დავალება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში შპს "ელექტროავტომატის" საბანკო ანგარიშებზე, ფასიან ქაღალდებსა და ფულად სახსრებზე ყადაღის დადება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს "ელექტროავტომატს" შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმდა 24.10.06წ. #529 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელმა შპს "ელექტროავტომატმა" აიღო ვალდებულება, მიეწოდებინა შემსყიდველისათვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის საქონელი - 8000 ცალი ერთჯერადი ლუქი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყიდველის ვალდებულებას წარმოადგენდა მიმწოდებლისთვის 34 400 ლარის ანაზღაურება. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, საქონლის მიწოდება მიმწოდებელს უნდა უზრუნველყო საკუთარი ხარჯებით, საქონლის მიწოდების გრაფიკის მიხედვით, შემსყიდველის შეტყობინების მიღების შემდეგ. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, "საქონლის მიწოდების გრაფიკი" წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული გრაფიკის მიხედვით, შპს "ელექტროავტომატს" 2006 წლის ბოლომდე ეტაპობრივად, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, უნდა მიეწოდებინა 8000 ცალი ერთჯერადი ლუქი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 10.11.06წ. მიმართა შპს "ელექტროავტომატს" და ხელშეკრულების შესაბამისად მოითხოვა საქონლის მიწოდება, რომელსაც საქონლის მიწოდებისათვის, "საქონლის მიწოდების გრაფიკის" მიხედვით, განსაზღვრული ჰქონდა 20 დღის ვადა. მიმწოდებელმა ვალდებულება შეასრულა 26.01.07წ., ანუ 57 დღის დაგვიანებით, რაც დასტურდებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს "ელექტროავტომატს" შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. მიწოდებულ პროდუქციაზე სამინისტროს მიერ საფასური ანაზღაურდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. 14.02.07წ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შპს "ელექტროავტომატს" მიმართა წერილით, რომლითაც აცნობა, რომ, საქონლის მიწოდებისათვის დადგენილი ვადების დარღვევის გამო, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მათ მიმართ გავრცელდა საჯარიმო სანქცია. ამასთან, მოსთხოვა შეთანხმების ოქმის გაფორმება და შესაბამისი საჯარიმო თანხის დაფარვა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის მიუხედავად, შპს "ელექტროავტომატმა" არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დათქმულ დროს, დაარღვია ხელშეკრულების პირობები და, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილინდობისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.03.07წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება 28.03.07წ. გასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მისი გაუქმება და შპს "ელექტროავტომატის" მიმართ შეტანილ სარჩელზე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.04.07წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ადმინისტრაციულ საქმესთან ერთად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.07წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით დადგენილი წესებით, ხოლო 420-ე მუხლი ადგენს, რომ კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 374.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.03.07წ. განჩინების ასლი ჩაბარდა 22.03.07წ., ხოლო ზემოაღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 28.03.07წ. შეიტანა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა. განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაშვებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების 5 დღიანი ვადა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 28.06.07წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-

ციულ საქმეთა პალატის 28.05.07წ. განჩინებაზე და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.12.07წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.07წ. განჩინებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებლად იქნა ცნობილი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამდღვრები, საქმის წარმოების განახლების ობიექტი არ შეიძლება იყოს ცალკეული საპროცესო მოქმედებები. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 421-ე-432-ე მუხლების გამოყენების შესაძლებლობა რეგლამენტირებულია საქმის არსებითად გადაწყვეტის დასრულების შედეგით, ემსახურება სწორედ სადავოდ გამხდარი სამართლებრივი ურთიერთობის სამართალწარმოების არსებითად დასრულების შედეგად დამდგარი მართლმსაჯულების განხორციელების შედეგის კანონიერების გადასინჯვის უფლებამოსილების შესაძლებლობის მიზანს. სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.07წ. განჩინებით საქმის არსებითი განხილვა არ დასრულებულა, აღნიშნულით რეგულირებულ იქნა სამართალწარმოების ეტაპზე წარმოშობილი სადავო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა, რომელზეც საქმის არსებითად დამთავრების გარემოება მოახდენს ზეგავლენას და აისახება შესაბამისი სამართლებრივი შედეგით, ამდენად საქმის არსებითად განხილვის მიმდინარეობისას წარმოშობილი სადავო საპროცესო სამართალურთიერთობებით დამდგარი შედეგები შემადგენელი ნაწილია სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებითად განხილვის სამართალწარმოებისათვის და სსკ-ის 421-ე-432-ე მუხლების მიზნებისათვის ცალკე არ შეიძლება გადასინჯულ იქნას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.12.07წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც სსკ-ის 414-ე-420-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა აღნიშნული განჩინების გაუქმება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების დაკმაყოფილება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.03.07წ. განჩინებაზე წარმოდგენილ სამინისტროს საჩივარზე საქმის წარმოების განახლება. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ განცხადების დაუშვებლად ცნობის საფუძველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლზე მითითება არასწორია, რადგან იგი საქმის წარმოების განახლებას ითხოვს სწორედ 421-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. კერძოდ, 421-ე მუხლი მიუთითებს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლება დასაშვებია, თუ არსებობს 423-ე მუხლში მითითებული ერთი გარემოება მაინც. 423-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ვინაიდან სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 27.03.07წ. საჩივრის განხილვა მოხდა ზეპირი მოსმენის გარეშე, სამინისტროსათვის მხოლოდ განჩინების ჩაბარების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ფინანსთა სამინისტროს საჩივრის განუხილველად დატოვების მიზეზი გახდა სამინისტროს მიერ თითქოსდა საჩივრის შეტანის ვადის გაშვება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტროს მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაში ფოსტისათვის საჩივრის დროულად გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა იყო სწორედ ისეთი მტკიცებულება, რომელიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საჩივრის განხილვის დროს, გამოიწვევდა სამინისტროსთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დაცული იყო როგორც 07.03.07წ. განჩინებაზე საჩივრის წარდგენის ხუთ დღიანი ვადა, ისე 28.05.07წ. განჩინებაზე განცხადების წარდგენის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ვადა. როგორც საჩივარი, ისე, განცხადება სრულად შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 421-ე მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამდღვრები. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, შესაბამისი განცხადება დასაშვებია კანონიერ ძალაში შესულ განჩინებაზე ან გადაწყვეტილებაზე, რომლითაც

დამთავრდა საქმის წარმოება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გარდა ამ თუ იმ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისა ან განჩინებისა, ბათილად ცნობა ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია ასევე სასამართლოს იმ განჩინებებზე, რომლებიც საბოლოოა და მათი გასაჩივრება, როგორც ცალკე, ისე საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად შეუძლებელია.

სსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთის სახის მეორეთი შეცვლის შესახებ გამოტანილი განჩინების გასაჩივრების 5-დღიანი ვადა. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ამავე კოდექსის 197¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ამავე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილია, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. 419.3 მუხლით დადგენილია, რომ ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება. ამდენად, ზემოაღნიშნულ ნორმათა შესაბამისად მიღებული განჩინება საბოლოოა და მისი გასაჩივრება როგორც დამოუკიდებლად, ასევე შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.07წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჩივარი დარჩა განუხილველი. აღნიშნული განჩინება თავისი არსით საბოლოოა. მითითებული განჩინებით, მართალია, არ დასრულებულა საქმის წარმოება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარჩელო განცხადებაზე, თუმცა დასრულდა საქმის წარმოება სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.07წ. განჩინებაზე დასაშვებია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წარდგენა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.12.07წ. განჩინება;
2. საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადების დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე

განჩინება

#ბს-949-910(კს-07) 19 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წეკულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 20 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ზ. ზ-მემ და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველით:

განცხადებლის მითითებით, 1990 წელს გამოეყო ცალკე კომლად მამის -ჯ. ზ-ძის ოჯახიდან და 1992 წლის 18 მარტის შუალედური მიზომვის აქტით მიწის რეფორმის ადგილობრივი კომისიის

გადაწყვეტილებით შ. ზ-ძის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოეყო სარეზერვო სამოსახლო ფონდიდან 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთი სამოსახლოდ. 1995 წლის 13 მარტის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტით მიწის ნაკვეთი გადაეცა ზ. ზ-ძეს საკუთრებაში. მიწის რეფორმის პერიოდში ნაკვეთის ზ. ზ-ძისათვის გადაცემა სადავოდ არ გამხდარა. 1999 წელს, მიწის რეფორმის დასრულების შემდეგ, სოფ. ალისუბანში მცხოვრებმა შ. ზ-ძემ სარჩელი აღძრა თერჯოლის რაიონულ სასამართლოში და მოითხოვა სოფ. ... მიწის რეფორმის კომისიის 1995 წლის 15 მარტის მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობა ზ. ზ-ძის საკუთრებაში მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ. თერჯოლის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით შ. ზ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 1999 წლის 11 ნოემბრის განჩინებით. საკასაციო სასამართლოს 2000 წლის 12 მაისის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 1999 წლის 11 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით შ. ზ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით შ. ზ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თერჯოლის რ-ნის სოფ. ... მიწის რეფორმის კომისიის 1995 წლის 15 მარტის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც სადავო მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცა ზ. ზ-ძეს და მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცა შ. ზ-ძეს. სააპელაციო სასამართლოს 2000 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საკასაციო სასამართლოს 2000 წლის 3 მაისის განჩინებით.

განმცხადებლის მითითებით, 2001 წლის 15 ოქტომბერს განცხადებით მიმართა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით და სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ სადავო მიწის ნაკვეთის 0,25 ჰა-ის ზ. ზ-ძის სამოსახლოდ გამოყოფის ფაქტს. ასევე მიწის მართვის სამმართველოს 2001 წლის 3 ოქტომბრის #194 წერილი და თერჯოლის რ-ნის საკრებულოს 1992 წლის 28 ოქტომბრის #338 გადაწყვეტილება, რომელთა თანახმად, სადავო მიწის ნაკვეთი გამოყოფილ იქნა სარეზერვო სამოსახლო ფონდში და თერჯოლის რ-ნის გამგეობის მიმართვის ასლი, რომლითაც ასევე დასტურდება მიწის ნაკვეთის ზ. ზ-ძისათვის გამოყოფისა და შ. ზ-ძის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ასლების სიყალბე. ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 26 დეკემბრის განჩინებით განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 5 ივლისის განჩინებით.

განმცხადებლის მითითებით, სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 13 სექტემბრის #612 ცნობით დასტურდებოდა, რომ ზ. ზ-ძე იყო II კატეგორიის კომლი, ფლობდა 0,35 ჰა მიწის ნაკვეთს, ირიცხებოდა ცალკე კომლად, იყო კომლის უფროსი, კომლში ცხოვრობდა მარტო და მის სახელზე არ ირიცხებოდა საცხოვრებელი სახლი. სადავო მიწის ნაკვეთი გამოეყო სამოსახლოდ სამოსახლო-სარეზერვო მიწის ფონდიდან მიწის რეფორმის მიზომების აქტის საფუძველზე, ხოლო შემდეგ გაიცა მიღება-ჩაბარების აქტი. განმცხადებლის მითითებით, სასამართლომ აღნიშნულ ფაქტებს არ მისცა სათანადო შეფასება. ამჟამად ზ. ზ-ძე ფლობს 3500 კვ.მ საყანე მიწის ნაკვეთს, ზღვრულ ნორმამდე აკლია 2500 კვ.მ, ანუ ის ნაკვეთი, რომელიც გადაწყვეტილების საფუძველზე მიაკუთვნეს შ. ზ-ძეს, რომელსაც შეესებოდა 3 ჰა-ზე მეტი ზღვრული ნორმა 1 ჰა-მდე.

განმცხადებლის მითითებით, 2007 წლის 5 ივნისს თერჯოლის რ-ნის გამგეობაში აღმოაჩინა თერჯოლის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის 2002 წლის 12 მარტის #38 წერილი, რომელიც საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის განხილვის დროს არ იყო წარდგენილი და არ გამოუკვლევია სასამართლოს. ამდენად, განმცხადებელმა მიიჩნია, რომ მითითებული წერილი წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას და მისი სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში გამოტანილი იქნებოდა განმცხადებლისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება, რადგან მითითებული წერილით დგინდება, რომ 1992 წელს სადავო მიწის ნაკვეთი გამოიყო როგორც სამოსახლო-სარეზერვო ფონდში მამინდელი მიწის რეფორმის ადგილობრივი კომისიის მიერ და გაიცა ზ. ზ-ძეზე 1992 წლის 18 მარტის აქტით, ხოლო 1995 წლის 15 მარტს ზ. ზ-ძეს გადაეცა მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი. შ. ზ-ძის კომლი თავისი სახლის ტერიტორიაზე ფლობს 1 ჰა მიწის ნაკვეთს, რაც წარმოადგენს I კატეგორიის კომლებისათვის გამოყოფილი მიწის რაოდენობის ზღვრულ ნორმას. აღნიშნული მიწის ნაკვეთი გამოყოფილი იყო სარეზერვო სამოსახლო ფონდში, რის გამოც მისი გაცემა გარდა სამოსახლოსი არ შეიძლებოდა და გადაეცა ზ. ზ-ძის კომლს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ივლისის განჩინებით ზ. ზ-ძეს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სათანადო მტკიცებულების წარდგენა თუ როდის გახდა ზ. ზ-ძისათვის ცნობილი თერჯოლის მიწის მართვის სამმართველოს 2002 წლის 13 მარტის #38 წერილის არსებობის შესახებ, ასევე გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და განცხადების ასლების წარდგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს განჩინებით ზ. ზ-მის განცხადება დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განცხადებელმა სასამართლოს მითითების მიუხედავად არ წარმოადგინა არავითარი დოკუმენტი თუ როდის გაეცა პასუხი თერჯოლის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ. ასევე არ წარადგინა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი და მის მიერ ხარვეზის გამოსწორება გამოიხატა მხოლოდ განცხადებისა და თანდართული მასალების ასლების წარდგენაში, რაც სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის შეუსრულებლობად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ზ-მემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძველით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოს წარუდგინა ადვოკატის მიმართვის წერილობითი საბუთი, რომელიც დათარიღებულია 2007 წლის 4 ივნისით, რის საფუძველზეც გაიცა საჯარო რეესტრის #38 წერილი და რის საფუძველზეც გახდა ცნობილი წერილის შინაარსი. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება არ უნდა ყოფილიყო სასამართლოსათვის მიუღებელი, რადგან სასამართლოსათვის ცნობილი იყო, რომ ზ. ზ-მეს არ დაურღვევია გასაჩივრების ვადა, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ ზ. ზ-მის ადვოკატმა საჯარო რეესტრს მიმართა 4 ივნისს, ხოლო განცხადება წარადგინა სასამართლოში 9 ივნისს. ამდენად, 4-დან 9 ივნისამდე გაიცა რეესტრის პასუხი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზ. ზ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 421.1 მუხლის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდღვრები. სსსკ-ის 423.3 მუხლის შესაბამისად, ამავე კოდექსის 423.1 მუხლის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით განცხადება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მითითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, განმცხადებელი ახლად აღმოჩენილ გარემოებად უთითებდა თერჯოლის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის 2002 წლის 12 მარტის #38 წერილზე, რომელიც, მისი მოსაზრებით, წარდგენილი რომ ყოფილიყო უზენაეს სასამართლოში, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა განუხილველად ზ. ზ-მის განცხადება დაუშვებლობის მოტივით და მართებულად მიიჩნია განცხადება სსსკ-ის 426.1 მუხლით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით წარდგენილად. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 427.1 მუხლის "გ" ქვეპუნქტი ავალდებულებს მხარეს განცხადებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა და ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. კონკრეტულ შემთხვევაში ზ. ზ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო არ შეიცავდა ამგვარ მითითებას, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 427.2 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, მართებულად დაუდგინა განმცხადებელს ხარვეზი და ხარვეზის შეუსრულებლობის გამო განცხადება ცნო დაუშვებლად.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ზ. ზ-მის განცხადების დასაშვებობის პროცესუალური წინაპირობა, რადგან მიწის მართვის სამმართველოს უფროსის 2002 წლის 12 მარტის #38 მიმართვა, რომელიც განცხადებელმა მიიჩნია ახლად აღმოჩენილ გარემოებად და რომლითაც განცხადებლის მოსაზრებით დასტურდებოდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი გამოიყო სამოსახლო-სარეზერვო ფონდში მაშინდელი მიწის რეფორმის ადგილობრივი კომისიის მიერ და გაიცა ზ. ზ-მეზე 1992 წლის 18 მარტის აქტით, ხოლო შ. ზ-მის კომლი თავისი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ფლობდა 1 ჰა მიწის ნაკვეთი, რაც წარმოადგენდა პირველი კატეგორიის კომლისათვის გამოსაყოფი მიწის რაოდენობის ზღვრულ ნორმას, წარდგენილი იყო უზენაეს სასამართლოში 2002 წლის 18 მარტს უზენაეს სასამართლოს მიმართვის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ზ. ზ-მის განცხადების განხილვისას და აღნიშნული მიმართვის ასლი წარმოდგენილია საქმეში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ მითითებული მიმართვის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა 2007 წლის 4-დან 9

ივნისამდე, როდესაც მიმართა საჯარო რეესტრის სამსახურს, რადგან მას შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა მითითებულ დოკუმენტს 2002 წელს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მისი განცხადების განხილვისას, ამასთან, საკასაციო სასამართლოსათვის ცნობილი იყო მიწის მართვის სამმართველოს #38 მიმართვის შესახებ, მაგრამ აღნიშნული მტკიცებულების წარდგენას გავლენა არ მოუხდენია საქმის განხილვის შედეგზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მის მიერ დაცულია სსსკ-ის 426.1 მუხლით განსაზღვრული განცხადების შეტანის ერთოვიანი ვადა, რადგან არ არსებობს სსსკ-ის 423.3 მუხლით გათვალისწინებული განცხადების დასაშვებად ცნობის წინაპირობა.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და განმარტების შედეგად არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს საფუძვლიან არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორს ზ. ზ-ძეს სსსკ-ის 39.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 50 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის, 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-420-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ზ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს განჩინება;
3. კერძო საჩივრის ავტორს ზ. ზ-ძეს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე

განჩინება

#ბს-588-560(კს-07) 20 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. შ-ძისა და ზ. ც-ძის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.07წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

02.02.2000წ. გ. მ-ძემ სარჩელით მიმართა ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სადაო ფერმიდან მოპასუხეების -ნ. შ-ძისა და ზ. ც-ძის იძულებითი წესით გამოსახლება. მოპასუხეებმა არ ცნეს სარჩელი და შეგებებული სარჩელით მოითხოვეს გ. მ-ძისა და სააღსრულებო ბიუროს უფროსს შორის 02.02.2000წ. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება.

ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 20.03.01წ. გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. მ-ძის სარჩელი მოპასუხეების ფერმიდან გამოსახლების თაობაზე, დაკმაყოფილდა ნ. შ-ძისა და ზ. ც-ძის შეგებებული სარჩელი 02.02.2000წ. ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებისა და სადაო ფერმაზე მათი საკუთრების ცნობის თაობაზე.

ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.11.01წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, დაკმაყოფილდა გ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი სადაო ფერმიდან ზ. ც-ძისა და ნ. შ-ძის გამოსახლების თაობაზე და არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი

02.02.2000წ. ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და მეცხოველეობის ფერმაზე შ-ძე-ც-ძის საკუთრების ცნობის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გ. მ-ძემ ლაგოდების რ-ნის სოფ. ... მდებარე სადავო ობიექტი შეიძინა ლაგოდების სააღსრულებო ბიუროს მიერ 29.11.99წ. ჩატარებული აუქციონის საფუძველზე. ნ. შ-ძეს და ზ. ც-ძეს შეგებებული სარჩელით აღნიშნული აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა არ მოუთხოვიათ, რის გამოც სასამართლო ვერ იმსჯელებდა მის საფუძველზე, 02.02.2000წ. ლაგოდების სააღსრულებო ბიუროს უფროსსა და გ. მ-ძეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების არაკანონიერებაზე, რომელიც დამოწმებულია სანოტარო წესით და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 170-ე მუხლების საფუძველზე გ. მ-ძის მოთხოვნა კანონიერად მიიჩნია. სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სადავო ფერმა ი. ტ-ძისაგან შეძენილი ჰქონდათ ნ. შ-ძესა და ზ. ც-ძეს და რომ 02.02.2000წ. ხელშეკრულებით ხელმეორედ გასხვისებულ იქნა ერთხელ უკვე გაყიდული ქონება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ნ. შ-ძესა და ზ. ც-ძეს სადავო ფერმის შეძენაზე სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი არ გააჩნიათ და არც აღნიშნული ფართის შემძენებად არიან რეგისტრირებულნი საჯარო რეესტრში, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცებულა მათი უზუსტობა.

ზ. ც-ძემ და ნ. შ-ძემ სააპელაციო სასამართლოს 20.11.01წ. გადაწყვეტილება გაასაჩივრეს საკასაციო წესით, რომლითაც სამოქალაქო კოდექსის 303-ე-304-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვეს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების გამოტანა, მოსარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმა, პირველი აუქციონის შედეგების კანონიერად ცნობა და სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლის თანახმად, ფერმის მათთვის მიკუთვნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 03.04.02წ. განჩინებით ნ. შ-ძისა და ზ. ც-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 20.11.01წ. გადაწყვეტილება. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორების მოსაზრება სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 394-ე მუხლების დარღვევით გამოტანისა და სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის არასწორედ განმარტების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმის მართებული განმარტებით სააპელაციო პალატამ სწორი შეფასება მისცა აღმასრულებელ ი. ტ-ძესა და გ. მ-ძეს შორის სოფ. ... მდებარე "ნინიგორის" საქონლის ფერმის სანოტარო წესით დამოწმებულ და რეგისტრირებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას, რის შედეგადაც გ. მ-ძე სწორად იქნა მიჩნეული სადავო ფერმის შენობის მესაკუთრედ. ნ. შ-ძის სახელზე ლაგოდების რ-ნის ტექსტურიცხვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათება საკასაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის საფუძველად არ მიიჩნია და აღნიშნა, რომ მითითებული ცნობა-დახასიათება ნ. შ-ძეს მიეცა ნასყიდობის გასაფორმებლად, სანოტარო კანტორაში წარსადგენად და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების გარეშე ცნობა-დახასიათება საკუთრების უფლებას ვერ წარმოშობდა. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო ფერმა მათ გ. მ-ძის მიერ ამავე ფერმის შესყიდვამდე შეიძინეს კანონით დადგენილი წესით და აღნიშნულის გამო გ. მ-ძესთან 02.02.2000წ. დადებული ხელშეკრულება უნდა გაუქმებულიყო. საკასაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ფერმაზე საკუთრების უფლება კასატორებს არ შეუძენიათ სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით დადგენილი წესით, ამიტომ ფერმის მესაკუთრეებად ვერ ჩაითვლებოდნენ. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კასატორებს არ მოუთხოვიათ 29.11.99წ. აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა, არ უდავიათ მეორე აუქციონის ჩატარების კანონიერებაზე. შესაბამისად, საოლქო სასამართლო ვერ გააუქმებდა მეორე აუქციონის საფუძველზე, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით დადგენილი წესით გაფორმებულ 02.02.2000წ. ნასყიდობის ხელშეკრულებას. საკასაციო პალატამ განუმარტა კასატორ ნ. შ-ძეს, რომ კოოპერატივ "ნინიგორის" ქონების შესაძენად გადახდილი 3300 ლარის დაბრუნების მოთხოვნა შეეძლო სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.

08.05.06წ. ზ. ც-ძემ და ნ. შ-ძემ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ "სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმის და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ" გურჯაანის პროკურატურის 09.02.06წ. დადგენილებით დადასტურდა ი. ტ-ძის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტი. აღნიშნული დადგენილება ჩაჰბარდათ 2006 წლის 17 აპრილს. დადგენილების თანახმად, ი. ტ-ძემ თავისი ქმედებით სახელმწიფოს და საზოგადოებას კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია და მოქალაქეებს, ნ. შ-ძესა და ზ. ც-ძეს დამატებით გადახდევინებული თანხებით მიაყენა 593 ლარის ზიანი. განმცხადებლებმა მიუთითეს, რომ მოცემულ სამოქალაქო საქმეზე დადგენილია მხარის დანაშაულებრივი ქმედება, რაც სსკ-ის 423-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების

განახლების საფუძველია. განმცხადებლებმა საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 20.11.01წ. გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.07წ. განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ზ. ც-ძის და ნ. შ-ძის განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 423-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თუ დადგენილია საქმეზე მხარეთა დანაშაულებრივი ქმედება. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 423-ე მუხლის შესაბამისად, მხარის დანაშაულებრივი ქმედება დადგენილი უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. განმცხადებლებს შესაბამისი დოკუმენტი არ წარმოუდგენიათ. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებლების მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი გურჯაანის რაიონული პროკურორის მოადგილის 09.02.06წ. დადგენილებით უკანონოდ იქნა მიჩნეული აღმასრულებელ ი. ტ-ძის მიერ ჩატარებული არა ის აუქციონი, რომლის საფუძველზეც გ. მ-ძემ შეიძინა ფერმა, არამედ ის, რომლის მეშვეობითაც განმცხადებლები ცდილობდნენ, აღმასრულებელ ი. ტ-ძის მეშვეობით შეეძინათ ხსენებული ფერმა. დადგენილების თანახმად, ი. ტ-ძის მიერ კანონდარღვევით ჩატარებული აუქციონის შედეგების შესახებ ცნობილი გახდა საზოგადოებისათვის, რომელთა კანონიერი ინტერესებიც დარღვეულ იქნა აღმასრულებლის უკანონო ქმედებით და მათი ძალისხმევის შედეგად, ი. ტ-ძის დანაშაულებრივი განზრახვა ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი. ი. ტ-ძემ თავისი ქმედებით სახელმწიფოს და საზოგადოებას კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია და მოქალაქეებს ნ. შ-ძესა და ზ. ც-ძეს დამატებით გადახდევინებული თანხებით მიაყენა 593 ლარის ზიანი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხსენებული დადგენილება ეხებოდა აღმასრულებელ ი. ტ-ძის კანონსაწინააღმდეგო მცდელობას აუქციონის უკანონო ჩატარების გზით საკუთრების უფლება გადაეცა ხსენებულ ფერმაზე ნ. შ-ძესა და ზ. ც-ძისათვის, თუმცა მას ამის საშუალება არ მისცეს. დადგენილება არ ეხებოდა იმ აუქციონის ჩატარების კანონიერებას, რომლის მეშვეობითაც მ-ძის მიერ შეძენილი იქნა კოოპერატივ "ნინიგორის" კუთვნილი ქონება (ფერმა).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.07წ. განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრეს ნ. შ-ძემ და ზ. ც-ძემ. კერძო საჩივრის ავტორებმა აღნიშნეს, რომ მათი განცხადება აკმაყოფილებდა განცხადების წარდგენის დროს მოქმედ სსკ-ის 423-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება. ი. ტ-ძე წარმოადგენს მხარეს, მან ჩაიდინა დანაშაული იმ ქონების გაყიდვის დროს, რომელიც არის დავის საგანი. განმცხადებელთა აზრით, საქმის წარმოების განახლების გარეშე დაუშვებელია სადავო საკითხის შეფასება. დავის საგანს წარმოადგენს ფერმა, რომელიც ორჯერ გაიყიდა და ჩადენილია დანაშაული, დავის საგანი აუქციონები კი არ არის, არამედ, უძრავი ქონება, რაც დანაშაულის ობიექტად იქცა და შეილახა მათი უფლება. კერძო საჩივრის ავტორთა განცხადებით, ბაჟის შესახებ კანონს არა აქვს უკუქცევითი ძალა, მათი განცხადება შეტანილი იქნა ძველი კანონის მოქმედების დროს და ამის გამო მათთვის 100 ლარის დაკისრება უკანონოა. კერძო საჩივრის ავტორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძველიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. შ-ძისა და ზ. ც-ძის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში ნ. შ-ძე და ზ. ც-ძე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველად უთითებენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება. ამავე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია ამ მუხლის პირველი ნაწილის "ა"-ს "გ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით, სისხლის სამართლის საქმეზე თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. ამდენად, ზემოაღნიშნული საფუძველებით წარდგენილი განცხადების დასაშვებობის პირობას ქმნის მასზე თანდართული კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. განსახილველ შემთხვევაში განმცხადებლებს, ნ. შ-ძესა და ზ. ც-ძეს სასამართლოსათვის არ წარუდგენიათ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დადასტურებული იქნებოდა ამ საქმეზე მხარის დანაშაულებრივი ქმედება. განცხადებას თან ერთვოდა "სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ" გურჯაანის რაიონული პროკურატურის 09.02.06წ. დადგენილება.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423.2 მუხლის იმ სახით, რომელიც მოქმედებდა მათ მიერ განცხადების სასამართლოში წარდგენის დროს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ზ. ც-ძისა და ნ. შ-ძის განცხადება სასამართლოს 08.05.06წ. წარედგინა. "საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" 13.07.06წ. კანონით სსკ-ის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილში შეტანილ იქნა ცვლილება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა"-გ ქვეპუნქტების შესაბამისად საქმის წარმოების განახლების საფუძვლად განისაზღვრა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. ზ. ც-ძისა და ნ. შ-ძის განცხადების დასაშვებობის საკითხზე სასამართლომ 11.05.07წ. იმსჯელა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად იხელმძღვანელა განჩინების მიღების დროს მოქმედი ნორმით, რომელიც კონკრეტულ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის წარმოდგენას ითვალისწინებს. ამასთანავე, ნ. შ-ძესა და ზ. ც-ძის მიერ წარმოდგენილ "სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ" გურჯაანის რაიონული პროკურატურის 09.02.06წ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ აღმასრულებელმა ი. ტ-ძემ კანონდარღვევით ჩაატარა აუქციონი, რომლის მეშვეობითაც ნ. შ-ძე და ზ. ც-ძე ცდილობდნენ სადავო ფერმის შეძენას, ამდენად, ხსენებული აქტით არ დასტურდება კერძო საჩივრის ავტორების მიერ ფერმის შეძენა. ხსენებულ დადგენილებაში არაფერია ნათქვამი იმ აუქციონის ჩატარების შესახებ, რომლის მეშვეობითაც გ. მ-ძის მიერ შეძენილ იქნა კოოპერატივ "ნინიგორის" კუთვნილი ქონება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. შ-ძესა და ზ. ც-ძეს არ უნდა დაჰკისრებოდათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 ლარის ოდენობით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.07წ. განჩინებით ზ. ც-ძისა და ნ. შ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განუხილველად იქნა დატოვებული. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 425-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი. 374-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ზ. ც-ძესა და ნ. შ-ძეს არასწორედ დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე, 390-ე, 401-ე, 419-ე 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. შ-ძისა და ზ. ც-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.07წ. განჩინება ზ. ც-ძისა და ნ. შ-ძისათვის 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.07წ. განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე

განჩინება

#ბს-48-48(კს-08)

28 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ჩინჩალაძე

მ. ცისკაძე

დავის საგანი: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების განხილვა

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 30 იანვარს ძ. ჭ-ძემ, ლ. ე-შვილმა, ე. ლ-ძემ, ნ. ს-ძემ, რ. ქ-შვილმა, ზ. ბ-ძემ, შ. ბ-ურმა და რ. ვ-ძემ სარჩელით მიმართეს დუშეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე დუშეთის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ, მესამე პირი - დუშეთის რაიონის სოცდახმარების სამსახური. მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხისათვის თანხების გადახდის დაკისრება შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების გამო.

დუშეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხე დუშეთის რაიონის გამგეობას 1995 წლის 1 ნოემბრიდან 2003 წლის 1 თებერვლამდე პერიოდისათვის დაეკისრა. ძ. ჭ-ძის სასარგებლოდ -10800 ლარის, ლ. ე-შვილის სასარგებლოდ -12952 ლარის, ე. ლ-ძე-ქ-შვილის სასარგებლოდ -13704.90 ლარის, ნ. ს-ძის სასარგებლოდ -13233,6 ლარის, რ. ქ-შვილის სასარგებლოდ -15606 ლარის, ზ. ბ-ძის სასარგებლოდ -16197,6 ლარის, შ. ბ-ურის სასარგებლოდ -11923,2 ლარის, რ. ვ-ძის სასარგებლოდ -12405,6 ლარის ერთდროულად გადახდა; ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა 2003 წლის 1 თებერვლიდან მოსარჩელებისათვის სარჩოს ანაზღაურება ყოველთვიურად. ძ. ჭ-ძის სასარგებლოდ -160 ლარის, ლ. ე-შვილის სასარგებლოდ -160 ლარის, ე. ლ-ძე-ქ-ძის სასარგებლოდ -140 ლარის, ნ. ს-ძის სასარგებლოდ -160 ლარის, რ. ქ-შვილის სასარგებლოდ -200 ლარის, ზ. ბ-ძის სასარგებლოდ -160 ლარის, შ. ბ-ურის სასარგებლოდ -160 ლარის, რ. ვ-ძის სასარგებლოდ -120 ლარის ოდენობით მდგომარეობის შეცვლამდე.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დუშეთის რაიონის გამგეობამ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; დუშეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ძ. ჭ-ძის, ლ. ე-შვილის, ე. ლ-ძის, ნ. ს-ძის სარჩელები არ დაკმაყოფილდა; რ. ქ-შვილის, ზ. ბ-ძის, შ. ბ-ურის, რ. ვ-ძის სარჩელები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადასახდელად დაეკისრა. რ. ქ-შვილის სასარგებლოდ 2001 წლის 11 დეკემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დროისათვის ერთდროული თანხა, თვეში 60 ლარის გაანგარიშებით, ხოლო შემდეგ - ყოველთვიურად 60 ლარი მდგომარეობის შეცვლამდე; ზ. ბ-ძის სასარგებლოდ 2001 წლის 11 დეკემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დროისათვის ერთდროული თანხა თვეში 48 ლარის გაანგარიშებით, ხოლო შემდეგ - ყოველთვიურად 48 ლარი, მდგომარეობის შეცვლამდე; შ. ბ-ურის სასარგებლოდ 2001 წლის 1 დეკემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დროისათვის ერთდროული თანხა თვეში 48 ლარის გაანგარიშებით, ხოლო შემდეგ - ყოველთვიურად 48 ლარი მდგომარეობის შეცვლამდე, რ. ვ-ძის სასარგებლოდ 2001 წლის 1 დეკემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დროისათვის ერთდროული თანხა თვეში 36 ლარის გაანგარიშებით, ხოლო შემდეგ - ყოველთვიურად 36 ლარი მდგომარეობის შეცვლამდე.

გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2007 წლის 30 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით საქმის წარმოების შესახებ მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე #38/716-05), ნაწილობრივ დაკმაყოფილდა რ. ქ-შვილის, ზ. ბ-ძის, შ. ბ-ურისა და რ. ვ-ძის სარჩელები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მათ სასარგებლოდ დაეკისრა სარჩოს გადახდა 2001 წლის 11 დეკემბრიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე.

განმცხადებელმა განმარტა, რომ სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო (შეცვლილიყო) და საქმის წარმოება განახლებულიყო იმ ნაწილში, რომლითაც სამინისტროს დაევალია ყოველთვიური სარჩოს გადახდა 2007 წლის 1 მარტიდან.

განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების საფუძველზე. აღნიშნული #48 ბრძანებულება გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება დასაჩივრებულიყო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა. მოცემულ შემთხვევაში გაუქმებული იყო სხვა ორგანოს დადგენილება - საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა გადაწყვეტილების გამოტანისას. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ საფუძველს იმ ნაწილში, რომლითაც სამინისტროს დაევალია ყოველთვიური სარჩოს გადახდა 2007 წლის 1 მარტიდან.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება გაუქმდა 2007 წლის 1 მარტიდან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი უნდა ყოფილიყო ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვებოდა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვადის დენა იწყებოდა იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდებოდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველების არსებობა. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება გაუქმდა 2007 წლის 1 მარტიდან, ხოლო განცხადება სასამართლოში შეტანილი იყო 2007 წლის 27 მარტს. შესაბამისად, სამინისტროს მიერ დაცული იყო განცხადების შეტანის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა.

განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილების მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სსიპ "საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს" უნდა უზრუნველყო "საქნახშირის დეპარტამენტის შახტებისა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 15 ოქტომბრის #429-ა ბრძანებულებისა და "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების 42¹ პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე ფონდში რეგისტრირებულ, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე.

განმცხადებელმა განმარტა, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის წყდებოდა სარჩოსა და სხვა გასაცემების გაცემის ვალდებულება 2007 წლის 1 მარტიდან, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებზეც არ იყო განხორციელებული მათი გაცემის ვალდებულების დაკისრება, მითითებული ვალდებულებები აღარ შეიძლება წარმოშობილიყო. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის "ფონდის მიერ სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტის გამო დამატებით უნდა გაცემულიყო ერთჯერადი კომპენსაცია დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩოს ექვსი თვის ოდენობით". რაც შეეხებოდა განცხადების სასამართლოში შეტანისას განსჯადობის წესების დაცვის საკითხს, ვინაიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იყო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი უნდა ყოფილიყო თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

განმცხადებელმა, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოითხოვა, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც სამინისტროს დაევალია მოსარჩელებისათვის სარჩოს გადახდა 2007 წლის 1 მარტიდან და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოსარჩელების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო

პალატის 2005 წლის 28 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, დაუშვებლობის მოტივით დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მოითხოვდა რა სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილი იყო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებით გაუქმდა; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, ეს კოდექსი განსაზღვრავდა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი), ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულიყო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდებოდა. აღნიშნული მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სხვა ორგანოს დადგენილებაში არ მოიაზრებოდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ და არა ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენდა, რომელსაც, სააპელაციო სასამართლოს აზრით, მითითებული ნორმა გულისხმობდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების დაშვების წანამდღვრები არ არსებობდა ანუ, წარმოდგენილი განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ იყო დასაშვები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს თავისი ინიციატივით უნდა შეემოწმებინა, დასაშვები იყო თუ არა განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და თუ არ არსებობდა განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლოს თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დაეტოვებინა, რაც შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით. წარმოდგენილი განცხადება არ იყო დასაშვები, იგი დატოვებული უნდა ყოფილიყო განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების წარმოებაში მიღება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ უფუძნება იმ გარემოებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ", რომლითაც გათვალისწინებული იყო ყოველთვიური სარჩოს მიღების უფლება. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს გარემოება არ წარმოადგენდა საქმის წარმოების განახლების სამართლებრივ საფუძველს.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ არ ეთახმება სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობას, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ორგანო ან დაწესებულება, რომელიც კანონის საფუძველზე ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და დასაშვებია ვარაუდი, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის ზემოხსენებული დათქმა გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტის აქტებსაც. გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი

ნაწილის "დ" ქვეპუნქტში აღნიშნულ სხვა ორგანოს დადგენილების ცნებაში არ იგულისხმება მოცემული შემთხვევა, მით უმეტეს, რომ მითითებული ნორმა ასეთ დათქმას არ შეიცავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 იანვრის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაიწყო 2008 წლის 28 თებერვალს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) საკასაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში.

დადგენილია, რომ განმცხადებელი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი მუხლის "დ" ქვეპუნქტზე და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველად ასახელებს იმ გარემოებას, რომ გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა გადაწყვეტილების გამოტანისას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, დაუშვებლობის მოტივით დატოვებულ იქნა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების დაშვების წანამძღვრები არ არსებობს ანუ, წარმოდგენილი განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ არის დასაშვები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს. წარმოდგენილი განცხადება არ არის დასაშვები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების გაუქმება არ შეიძლება ჩაითვალოს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებად. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები, ანუ წარმოდგენილი განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ არის დასაშვები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ გარემოებათა ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას, ამომწურავია და მათი წრის გაფართოება დაუშვებელია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე

განჩინება

#ბს-1148-1099(კს-07) 22 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ნ. ნ-ძის, ა. ნ-ძის და მ. მ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.05.06წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

01.11.01წ. ნ. ნ-ძემ, ა. ნ-ძემ და მ. მ-შვილმა აღიარებითი სარჩელი აღძრეს თბილისის მერიისა და კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიმართ და მესამე პირად დაასახელეს შპს "თბილისის მთაწმინდის რაიონის მეორე საბინაო-კომუნალური მომსახურების სერვისული ცენტრი". მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხეებსა და მესამე პირს ეღიარებინა ... ჩიხის #3-ში მდებარე ქონების, როგორც უმკვიდრო ქონების, თავის ბალანსზე აღრიცხვის იურიდიული ფაქტი. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 18.01.02წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდა მოსარჩელების მიერ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 17.04.03წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 18.01.02წ. გადაწყვეტილება და ნ. ნ-ძის, ა. ნ-ძისა და მ. მ-შვილის აღიარებითი სარჩელი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რაიონულ სასამართლოს არ შეუმოწმებია სარჩელის დასაშვებობის საკითხი. მოსარჩელები აღიარებითი სარჩელით ითხოვდნენ მოპასუხეებსა და მესამე პირებს ეღიარებინათ უმკვიდრო ქონების თავიანთ ბალანსზე აღრიცხვის იურიდიული ფაქტი. აღიარებითი სარჩელი მიმართული იყო არა სასამართლო წესით რაიმე უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენაზე, არამედ მოპასუხეებისა და მესამე პირების დავალდებულებაზე. სააპელაციო სასამართლოს განცხადებით, მოსარჩელეთა მოთხოვნა არ შეესაბამებოდა აღიარებითი სარჩელის სახით განსახილველ მოთხოვნას.

04.05.05წ. ა. ნ-ძის, ნ. ნ-ძისა და მ. მ-შვილის რწმუნებულმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას. განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა "20-50-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ყველა მსხვერპლის უფლებების აღდგენის შესახებ" სსრკ-ის ყოფილი პრეზიდენტის 13.08.1990წ. ბრძანებულებაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 05.04.05წ. #2/4/324 განჩინებასა და "საქართველოს მოქალაქეთა

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ” კანონპროექტის განმარტებით ბარათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.05.06წ. განჩინებით განცხადება მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და დარჩა განუხილველი. პალატამ აღნიშნა, რომ 17.04.03წ. განჩინება, რომლის გაუქმებასაც ითხოვს განმცხადებელი, დასაბუთებული იყო იმაზე მითითებით, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა თავისი იურიდიული ბუნებით არ წარმოადგენდა აღიარებით სარჩელს. პალატის ამგვარ დასკვნას არსებითად დაეთანხმნენ აპელანტებიც, რადგან განჩინება არ გასაჩივრებულა და იგი კანონიერ ძალაშია შესული. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადებაში მითითებული გარემოებანი არ წარმოადგენდა სსკ-ის 423-ე მუხლის “ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას. განცხადებაში აღნიშნული აქტები ეხებოდა მოსარჩელის ქონებრივი უფლებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას და გავლენას არ ახდენდა უფლების რეალიზაციის პროცესულურ ფორმაზე, რაც საფუძვლად დაედო სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ განჩინებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.05.06წ. განჩინება 30.05.06წ. კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ნ-ძის, ა. ნ-ძისა და მ. მ-შვილის რწმუნებულმა და მოითხოვა: უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად იქნეს დადგენილი სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მათ მიერ საკასაციო საჩივრის წარუდგენლობა 17.04.03წ. განჩინების დათანხმებას წარმოადგენდა; 01.05.06წ. განჩინების მიმღებმა მოსამართლეებმა სსკ-ის 261-ე მუხლის საფუძველზე განჩინების ფორმით მიიღონ დამატებითი გადაწყვეტილება; საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინოს 01.11.01წ. აღიარებითი სარჩელი; სასამართლომ გაითვალისწინოს, რომ სადავო სახლის ფართი შეადგენს 1032.8 კვ.მ-ს, ხოლო 1 კვ.მ-ის საბაზრო ფასი 24.11.2000წ. შეადგენდა 1525.8 აშშ დოლარს. ამდენად, 391-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოში განსახილველი კერძო საჩივარი ეხება ქონებრივ-სამართლებრივ დავას, რომლის ღირებულება გაცილებით მეტია ამ ნორმით დადგენილ 50 000 ლარზე, რის გამოც საკასაციო ინსტანციის სასამართლომ უნდა განიხილოს წარმოდგენილი კერძო საჩივარი; დადგენილ იქნეს, რომ 01.05.06წ. გასაჩივრებული განჩინების მიმღებმა მოსამართლეებმა არ გამოიყენეს კანონები, რომლებიც უნდა გამოიყენებინათ და გამოიყენეს კანონები, რომლებიც არ უნდა გამოიყენებინათ, არ გამოიყენეს სსკ-ის II თავის სპეციალური ნორმები; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება; ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება დასაშვებად იქნეს მიჩნეული და მიღებულ იქნეს წარმოებაში.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად 17.04.03წ. #3/ზ-166-03 განჩინებით აპელანტების კანონიერი ინტერესის დაუდგენლობა განიშარტა. კანონიერ ინტერესს ადასტურებდა ახლად აღმოჩენილი გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს რომ ყოფილიყო წარდენილი, დაადგენდა აპელანტების კანონიერ ინტერესს და სასამართლო სრულად დააკმაყოფილებდა სააპელაციო მოთხოვნებს, რაც არის სსკ-ის 423.1 “ე” ქვეპუნქტის ძირითადი მოთხოვნა. სააპელაციო პალატამ ახლად აღმოჩენილ გარემოებად არ გაითვალისწინა “20-50-იანი წ.წ. პოლიტიკური რეპრესიების ყველა მსხვერპლის უფლებების აღდგენის შესახებ” სსრკ პრეზიდენტის 13.08.1990წ. #556 ბრძანებულება, რომელსაც საქართველოს უზენაესი საბჭოს 09.03.1990წ. #214-XI დადგენილების საფუძველზე, სავალდებულო ძალა აქვს მინიჭებული, ხოლო უზენაესი საბჭოს 20.06.90წ. #217-XI დადგენილებით, უკანონოდ და ბათილად გამოცხადდა ყველა აქტი, რომლებიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სამართლებრივ ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებებით. ამდენად, თვით ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის მიერ ბათილად და უკანონოდ იქნა გამოცხადებული მერიის უფლება ... ჩიხის #3-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, რომელიც აღრიცხული იყო ტექნიურში, მერიის ერთ-ერთ სამსახურში, რომელიც 20.08.1990წ. #217-XI დადგენილების თანახმად, უკანონოდ და გაუქმებულად იქნა გამოცხადებული.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მეორე ახლად აღმოჩენილი გარემოება, “საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ” კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, ადასტურებდა, რომ კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტმა 17.04.03წ. განჩინების მიმღები კოლეგია შეცდომაში შეიყვანა და 24.10.2000წ. #2/1750 და 24.11.2000წ. #2/1882 სასამართლო გადაწყვეტილებებით დარღვეულად დადგენილი საკუთრების სამოქალაქო უფლებები “... რეპრესიების ... შესახებ” კანონის მე-8 მუხლის I პუნქტის საფუძველზე აღდგენილად არ მიიჩნიეს, რის გამოც აპელანტების კანონიერი ინტერესი ვერ დაადგინეს. ახლად აღმოჩენილი გარემოებით, კერძოდ, ზემოაღნიშნული განმარტებითი ბარათით დგინდება, რომ კანონის მიღების მიზნად დასახულია “იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსისა და უფლებების შესახებ” ყენევის კონვენციის, საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის I პუნქტისა და სკ-ის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნების უზრუნველყოფა. კანონპროექტის, როგორც მტკიცებულების (გარემოების) გათვალისწინება დადგენილ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს 28.07.05წ. #1/14/184, 228 გადაწყვეტილებით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საისტორიო არქივის 17.04.06წ. #01-21/734-მ საარქივო ცნობის, მისი დანართების, 25.11.1928წ. მდგმურების საჩივრის და 05.12.1928წ. მდგმურის ანონიმური საჩივრის თანახმად, მერიის ბალანსზე უმკვიდრო ქონებად აღრიცხული ...

ჩიხის #3-ში მდებარე სახლი მერამ უსასყიდლოდ, პრივატიზების წესით გადასცა მდგმურების კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლოს 05.04.05წ. #2/4/324 განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგინდა იქნა "რეპრესიების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ბათილობა, რაც 17.04.03წ. განჩინების მიღების დროს ცნობილი რომ ყოფილიყო, აპელანტების დარღვეულად დადგინდა სამოქალაქო უფლებებს აღდგენილად მიიჩნევა და მათ კანონიერ ინტერესს დაადგინდა. იგივეს ადასტურებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს 20.02.06წ. #7-0217 წერილი და საქართველოს პარლამენტის 06.06.05წ. #1507-3 წერილი. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოებების ცოდნის შემთხვევაში საქმეზე აპელანტების სასარგებლო გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში აპელანტები გაასაჩივრებდნენ განჩინებას საკასაციო წესით. სასამართლომ იგნორირება გაუკეთა და არ იმსჯელა სსკ-ის 423.1 მუხლის "ე" ქვეპუნქტის მოთხოვნებთან ახლად აღმოჩენილ გარემოებად წარმოდგენილი საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის შესაბამისობაზე. სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა მის მიერ მითითებულ გარემოებებზე, სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნის მიუხედავად, ყოველმხრივ არ შეისწავლა საქმე და მიკერძოებული, მცდარი შინაგანი რწმენით მიიღო გადაწყვეტილება. 01.05.06წ. განჩინება დაუსაბუთებელია და უსაფუძვლო, რასაც, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადასტურებს აღნიშნული განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ არ იხელმძღვანელა სსკ-ის II თავით გათვალისწინებული სპეციალური ნორმებით. სსკ-ის 429-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს თავისი ინიციატივით უნდა შეემოწმებინა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობა. აღნიშნული მიზნით კოლეგიას უნდა შეემოწმებინა, დაცული იყო თუ არა სსკ-ის 423.3 მუხლი, 427-ე მუხლის I პუნქტის "გ" ქვეპუნქტი, 426-ე მუხლის I და IV ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები. 429-ე მუხლით განცხადების დასაშვებობის შემოწმების ფარგლები იქნა განსაზღვრული, რაც სასამართლო კოლეგიამ არ გაითვალისწინა. მოსამართლეების მიერ დარღვეულ იქნა განცხადების წარმოებაში მიღების ვადები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტითაა გარანტირებული ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ საპროცესო ვადებში საქმეების სასამართლოში განხილვისა და მასზე გადაწყვეტილებების მიღების უფლება, რაც უზრუნველყოფს მე-13 მუხლით გარანტირებულ ეფექტურ ზომაზე უფლებას და საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის საფუძველზე, საქართველოში მოქმედებს, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი.

ნ. ნ-ძის, ა. ნ-ძისა და მ. მ-შვილის რწმუნებულის ზ. ი-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოში რეგისტრირებულ იქნა 30.05.06წ., ხოლო 26.12.07წ. განსახილველად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას. კერძო საჩივრის წარდგენის დროს მოქმედი სსკ-ის 440-ე მუხლის თანახმად, პირებს, რომლებსაც გავლილი არ აქვთ ადვოკატთა ტესტირება, 2006 წლის 1 ივნისიდან ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატასა და საოლქო სასამართლოში. "საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" 13.07.06წ. კანონის თანახმად სსკ-ის 440-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და განისაზღვრა, რომ პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებულნი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლებისა - ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე. ნ. ნ-ძის, ა. ნ-ძისა და მ. მ-შვილის რწმუნებული ზ. ი-შვილი არ ირიცხება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში. 30.05.06წ., როდესაც ზ. ი-შვილმა კერძო საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, კერძო საჩივარი აკმაყოფილებდა წარმოებაში მიღების პირობებს. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ნ. ნ-ძის, ა. ნ-ძისა და მ. მ-შვილის რწმუნებულის ზ. ი-შვილის კერძო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.01.08წ. განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატას საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ ნ. ნ-ძის, ა. ნ-ძისა და მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განმცხადებლებმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 17.04.03წ. განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს. მითითებული განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. ნ-ძის, ა. ნ-ძის და მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი - გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 18.01.02წ. გადაწყვეტილება, ნ. ნ-ძის, ა. ნ-ძის და მ. მ-შვილის აღიარებითი სარჩელი მიჩნეული იქნა დაუშვებლად. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა არ პასუხობდა აღიარებითი სარჩელის მოთხოვნებს, რის გამოც მათი სარჩელი დაუშვებლად ცნო. ამდენად, სასარჩელო განცხადების დაუშვებლად მიჩნევის საფუძველი გახდა ის

გარემოება, რომ სასარჩელო განცხადება ადმინისტრაციული წარმოებით განსახილველი სარჩელის არც ერთ სახეს არ შეესაბამებოდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განცხადებაში მითითებული გარემოებანი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ გარემოებებად, რომლებიც ადრე საქმის განხილვის დროს რომ ყოფილიყო სასამართლოში წარდგენილი, გამოიწვევდა მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. აღიარებითი სარჩელი ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული სარჩელის ერთ-ერთი სახეა. განცხადებაში დასახელებული აქტები მოსარჩელის უფლების რეალიზაციის პროცესულურ ფორმაზე გავლენას ვერ ახდენს. განმცხადებლებს არ მიუთითებიათ გარემოებებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სასარჩელო განცხადება მიჩნეული იქნებოდა აღიარებით სარჩელად და შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში წარდგენილი სარჩელი უნდა პასუხობდეს ასკ-ის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა სასარჩელო განცხადების დაუშვებლად ცნობის საფუძველია. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, იგივე მოთხოვნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სარჩელის რომელიმე სახით კვლავ წარადგინოს სასამართლოში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს განცხადების დაშვების საფუძველი, კერძოდ, სასარჩელო განცხადების აღიარებით სარჩელად მიჩნევასთან დაკავშირებით განმცხადებლებს არ მიუთითებიათ რაიმე მტკიცებულების ან გარემოების შესახებ. ამდენად, წარმოდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებს სსკ-ის 427.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნას, განმცხადებლების მიერ მითითებული გარემოებანი არ უკავშირდება სასარჩელო განცხადების აღიარებით სარჩელად მიჩნევას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. ნ-მის, ა. ნ-მისა და მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.05.06წ. განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე

განჩინება

#ბს-666-638-(კს-08) 17 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 12 ივნისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. შ-იამ, შ. ძ-ძემ, ნ. ნ-ურმა და ე. ბ-ძემ 2003 წელს სასარჩელო განცხადებით მიმართეს სასამართლოს, მოპასუხეების -თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის, ქ. თბილისის "არქმშენინსპექციის", სს "ბანკი თეთრისა" და შპს "გამა-ცენტრის" მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 20 თებერვლის #20/79 ბრძანების, ქ. თბილისის "არქმშენინსპექციის" 2003 წლის 12 მარტის #57 მშენებლობის წარმოების ნებართვისა და ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 25 მარტის #6/51 მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ თბილისის მთავარი არქიტექტორის სს "ბანკი თეთრის"

საოფისე შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ 2003 წლის 20 თებერვლის #20/79 ბრძანების ბათილად ცნობაზე; ასევე უარი ეთქვათ ქ. თბილისის "არქიმენინს-პეკიის" მიერ 2003 წლის 12 მარტს გაცემული #57 მშენებლობის წარმოების ნებართვის ბათილად ცნობაზე; ასევე უარი ეთქვათ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 25 მარტის #6/51 მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობაზე; მოსარჩელებს უარი ეთქვათ ქ. თბილისში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე, ... ქუჩის # 1- ში მდებარე სს "ბანკი თეთრის" საოფისე შენობის დემონტაჟზე.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. შ-იამ, ნ. ნ-ურმა, შ. ძ-ძემ და ე. ბ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 12 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შ. ძ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 იანვრის განჩინებით შ. ძ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 12 ივნისის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

შ. ძ-ძემ 2007 წლის 22 ივნისის განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 12 ივნისის განჩინების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლება. მან საქმის წარმოების განახლება მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის I ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე და ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი ისე განიხილა, რომ არსებითად არ იმსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე. აღნიშნულის დამადასტურებლად განმცხადებელი მიუთითებს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების იდენტურობაზე, რაც იმის მანიშნებელია, რომ სააპელაციო სასამართლომ სიტყვა სიტყვით გადაიწერა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთან, მას არ მისცემია საშუალება, მონაწილეობა მიეღო სასამართლო პროცესზე, ვინაიდან არ ჰქონდა ინფორმაცია სასამართლო სხდომის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, ამიტომ მან ვერ წარადგინა მტკიცებულებანი და ვერ გამოთქვა მოსაზრება აღნიშნულ სადავო საკითხებთან დაკავშირებით, რასაც შეეძლო მისთვის სასარგებლო შედეგი მოეტანა. განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ მან 2007 წლის 22 მაისს მიიღო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან პასუხი მის საჩივარზე #1038/303-03, რომელიც შეტანილი ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უკანონო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ამ პასუხის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2007 წლის 4 აპრილს განიხილა მისი განცხადება და მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ თუ რა სახის გადაწყვეტილება მიიღო, ეს მისთვის უცნობია, საკითხის კონფიდენციალურობის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივნისის განჩინებით შ. ძ-ძის განცხადება განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აპრილის განჩინებით შ. ძ-ძის განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო პალატის განჩინება დასაბუთებულია იმით, რომ განცხადებაში მითითებული გარემოებანი არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესულურ სამართლებრივ საფუძველს. სააპელაციო პალატის განმარტებით, ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია არსებითად ფაქტობრივ გარემოებებზე და რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 12 ივნისის განჩინება იდენტურია, არ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით გათვალისწინებულ საქმის წარმოების განახლებისა და სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული წარმოადგენს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების საფუძველს, რაც გააკეთა კიდევაც განმცხადებელმა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მითითება იმასთან დაკავშირებით, თითქოს მას არ ჰქონდა ინფორმაცია სასამართლო სხდომის ადგილისა და დროის შესახებ, რადგან სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით დასტურდებოდა ის გარემოება, რომ სხდომის დღის შესახებ კანონით დადგენილი წესით ცნობილი იყო როგორც განმცხადებლისათვის, ისე მისი წარმომადგენლისათვის.

სააპელაციო პალატის განმარტებით, განმცხადებელ შ. ძ-ძეს გაშვებული ჰქონდა ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით დადგენილი საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ერთოვანი ვადა. საქმის მასალებით დგინდება, რომ შ. ძ-ძეს სააპელაციო სასამართლოს

გასაჩივრებული განჩინება ჩაბარებული ჰქონდა 2006 წლის 5 ივლისისათვის, რაც მან საკასაციო წესით გაასაჩივრა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 იანვრის განჩინებით სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 12 ივნისის განჩინება უცვლელად იქნა დატოვებული.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ შ. ძ-ძემ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ შეიტანა 2007 წლის 22 ივნისს, რითაც, პალატის განმარტებით, დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი გასაჩივრების ვადა, რომლის გაგრძელება არ დაიშვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აპრილის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შ. ძ-ძემ. კერძო საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მისი განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე ვადის დარღვევით იყო შეტანილი. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლზე და განმარტა, რომ ხსენებული მუხლის თანახმად, მის მიერ ერთი თვის ვადაში შეტანილ იქნა განცხადება საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძველია.

ამასთან, რაც შეეხება სასამართლოს სხდომაზე დასწრების საკითხს, კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ, მართალია, მათ ეცნობათ სასამართლო სხდომის დღისა და ადგილის თაობაზე, თუმცა სასამართლოზე გამოცხადებულებს სხდომის დარბაზი დაკეტილი დახვდათ, ხოლო მათი მცდელობის მიუხედავად, ისინი ვერ დაუკავშირდნენ მოსამართლის თანაშემწეს, რათა გაერკვიათ, თუ სად ტარდებოდა სასამართლო სხდომა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აპრილის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, შ. ძ-ძის კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს, შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შ. ძ-ძემ თბილისის სააპელაციოს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 12 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი ისე განიხილა, რომ არსებითად არ იმსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე; პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები აბსოლუტურად იდენტურია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სიტყვა სიტყვით გადაიწერა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება; ამასთან, გამცხადებლის განმარტებით, მას არ მისცემია საშუალება, მონაწილეობა მიეღო სასამართლო პროცესზე, ვინაიდან არ ჰქონდა ინფორმაცია სასამართლო სხდომის თარიღის, დროის და ადგილის შესახებ, ამიტომ მან ვერ წარადგინა მტკიცებულებანი და ვერ გამოთქვა მოსაზრება აღნიშნულ სადავო საკითხებთან დაკავშირებით, რასაც შეეძლო მისთვის სასარგებლო შედეგი მოეტანა. მან 2007 წლის 22 მაისს მიიღო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან პასუხი #1038/303-03 მის საჩივარზე, რომელიც შეტანილი ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უკანონო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პასუხის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა მისი განცხადება 2007 წლის 4 აპრილს და მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ თუ რა სახის გადაწყვეტილება მიიღო, ეს მისთვის არ იყო ცნობილი საკითხის კონფიდენციალურობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის ერთ-ერთი წინაპირობა მითითებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილში მითითებულია, რომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად

ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. მოცემული სამართლებრივი ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული საქმის წარმოების განახლების ის საფუძველი, რომ სააპელაციო პალატის 2006 წლის 12 ივნისის სხდომის შესახებ, მას არ ეცნობა კანონით დადგენილი წესით, ასევე სააპელაციო პალატის განჩინება დაუსაბუთებელია და იგი სიტყვა სიტყვითაა გადაწერილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ არის დასაშვები, რადგან აღნიშნული გარემოების შესახებ მისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 2006 წლის 21 ივლისს, როდესაც მან საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 12 ივნისის განჩინებაზე და ზემოაღნიშნული საფუძვლების შესახებ მან მიუთითა საკასაციო საჩივარშიც. შ. ძ-ძემ იმავე საფუძვლებით საქმის წარმოების განახლების შესახებ განაცხადებით სასამართლოს მიმართა 2007 წლის 22 ივნისს, ე.ი. ერთი წლის შემდეგ, რითაც დაარღვია კანონით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ერთთვიან ვადაში შეტანის გარდა, საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების დასაშვებობის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ისიც, რომ უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამდღვრები. დადგენილია, რომ შ. ძ-ძემ საქმის წარმოების განახლება მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით. ამ ნორმის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გამცხადებელი საქმის წარმოების განახლების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მისივე განცხადების პასუხად 2007 წლის 22 მაისს #1038/303-03 მიღებულ წერილს; ამ წერილიდან ირკვევა, რომ შ. ძ-ძის მიერ წარდგენილი განცხადება განხილულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 4 აპრილის სადისციპლინო სხდომაზე და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება. ამასთანავე განმცხადებელს ეცნობა, რომ "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება კონფიდენციალურია და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირები, სახელმწიფო მოხელეები და მათი დამხმარე პერსონალი ვალდებული არიან დაიცვან ყველა ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა დისციპლინური სამართალწარმოების დროს. იქვე აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას აცნობოს შ. ძ-ძეს მისივე საჩივართან დაკავშირებით მოსამართლეთა მიმართ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შ. ძ-ძის მოთხოვნა, 2007 წლის 22 მაისის #1038/303-03 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული წერილის საფუძველზე საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებელია, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილში იმპერატიულადაა მითითებული, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით, დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ გარემოებათა ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას, ამომწურავია და მათი წრის გაფართოება დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შ. ძ-ძის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. შ. ძ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე

განჩინება

#ბს-673-645(კს-08) 18 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

1988 წლის 11 ივლისს ს. ა-ოვმა სარჩელი შეიტანა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სასამართლოში ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის აღმასკომის მიმართ, კომუნალური საცხოვრებელი სახლის პირად საკუთრებაში დაბრუნების მოთხოვნით. მოსარჩელის განმარტებით, 1931 წელს მის მამას -ბ. ა-ოვს საფინანსო განყოფილებამ უკანონოდ ჩამოართვა ქ. თბილისში, ... ქუჩის მე-2 შესახვევში მდებარე #5 საცხოვრებელი სახლი და გადასცა საბინაო ტრესტს. ამასთან, 1931 წლიდან მოყოლებული მოსარჩელემ დაფარა ბ. ა-ოვის ყველა ფულადი დავალიანება, ხოლო მოსარჩელის თხოვნაზე დაებრუნებინათ მისთვის აღნიშნული სახლი, საფინანსო განყოფილებამ უარი განაცხადა.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 1988 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ს. ა-ოვის სარჩელი უსაფუძვლოდ გამო, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს 1988 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით უცვლელად დარჩა. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის 1990 წლის 27 ივლისის დადგენილებით გაუქმდა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 1988 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება, აგრეთვე, საქალაქო სასამართლოს 1988 წლის 11 ოქტომბრის განჩინება და საქმის წარმოება შეწყდა.

1992 წლის 21 თებერვალს ს. ა-ოვმა კიდევ ერთხელ მიმართა სასარჩელო განცხადებით თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს, მოპასუხე ჩუღურეთის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის მიმართ და მოითხოვა უკანონოდ ჩარიცხული სადავო სახლის კომუნალური ფონდიდან ამორიცხვა და ამავე სახლზე მისი მემკვიდრედ ცნობა. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1992 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით ს. ა-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა; 86 კვ.მ-ის სადავო სახლთმფლობელობა -4 ოთახი, დამხმარე სათავსებით ამოირიცხა კომუნალური ფონდიდან და ს. ა-ოვს აღუდგა ფართზე მემკვიდრეობის მიღების ვადა და ცნობილ იქნა სადავო ქონებაზე მემკვიდრედ. ხსენებული გადაწყვეტილება გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის 1993 წლის 12 მარტის დადგენილებით და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

1992 წლის 13 ოქტომბერს ს. ა-ოვმა სარჩელი აღძრა მოპასუხეების -ვ. ნ-ანისა და ა. ნ-ოვის მიმართ, ხოლო მესამე პირებად მიუთითა #14 სანოტარო კანტორასა და ჩუღურეთის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო უბანზე და ზემოაღნიშნული პრივატიზების ხელშეკრულებების გაუქმება მოითხოვა. ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1993 წლის 6 ივლისის განჩინებით ს. ა-ოვის სარჩელზე საქმის წარმოება კვლავ შეწყდა, რაც ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 1993 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით.

1999 წლის 6 აპრილს გ. ა-ოვმა სასარჩელო განცხადებით კვლავ მიმართა თბილისის ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების -ს. ა-ოვისა და ა. ნ-ოვის მიმართ, ხოლო მესამე პირებად მიუთითა ჩუღურეთის რაიონის სერვის ცენტრის უბან "ჩუღურეთის" ადმინისტრაციასა და #26 სანოტარო კანტორაზე. მოსარჩელემ მოითხოვა ჩუღურეთის #46 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის მიერ ვ. ნ-ანთან 1992 წლის 16 ივლისს გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების, ასევე ჩუღურეთის რაიონის სანოტარო კანტორის მიერ 1992 წლის 7 აგვისტოს ა. ნ-ოვისთვის დამტკიცებული პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმება და მოპასუხეთა გამოსახლება პრივატიზებული ოთახებიდან.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით გ. ა-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გ. ა-ოვს, როგორც პოლიტრეპრესიების მსხვერპლის პირველი რიგის მემკვიდრეს, საკუთრების უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, ... მე-2 შესახვევის #5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი; გაუქმდა ჩუღურეთის რაიონის სანოტარო კანტორის მიერ 1992 წლის 7 აგვისტოს დამტკიცებული პრივატიზაციის ხელშეკრულება მოპასუხე ა. ნ-ოვისთვის 24 კვ.მ-ის გადაცემის შესახებ, აგრეთვე, 1992 წლის 16 ივლისის პრივატიზაციის ხელშეკრულება, დამოწმებული #26 სანოტარო კანტორის მიერ, ვ. ნ-ანისათვის 15 კვ.მ ფართის გადაცემის შესახებ; გ. ა-ოვს უარი ეთქვა ა. ნ-ოვისა და ვ. ნ-ანის მემკვიდრე ს. ა-ოვის გასახლებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-ოვმა და მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ცალ-ცალკე გაასაჩივრეს მოპასუხეებმაც -ს. ა-ოვის წარმომადგენელმა ე. ნ-ანმა და ა. ნ-ოვმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით გ. ა-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა -ს. ა-ოვის წარმომადგენელ ე. ნ-ანისა და ა. ნ-ოვის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება; გ. ა-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-ოვმა, რომელმაც გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 11 სექტემბრის განჩინებით გ. ა-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა -უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება.

2004 წლის 15 ივნისს გ. ა-ოვმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 11 სექტემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 24 ივნისის განჩინებით გ. ა-ოვის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას.

2004 წლის 15 ოქტომბერს გ. ა-ოვმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე კიდევ ერთი განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას და ამავე პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. განმცხადებელმა მიუთითა იმავე გარემოებებზე, რაც პირველ განცხადებაში.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 დეკემბრის განჩინებით გ. ა-ოვის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-ოვმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის განჩინებით გ. ა-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა -უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 დეკემბრის განჩინება.

2005 წლის 26 დეკემბერს გ. ა-ოვმა კვლავ მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 28 აპრილის განჩინებით გ. ა-ოვის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად, მაგრამ მას ამ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია -წარადგინა შინაარსით იგივე განცხადება.

2007 წლის 18 ივლისს გ. ა-ოვმა კვლავ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 28 აპრილის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის 2007 წლის 16 ივლისის დადგენილებით საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. წინასწარი და დამატებითი ძიებით დადგენილ იქნა, რომ ნოტარიუს ა. შ-შვილის მიერ ჩადენილი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული სამსახურებრივი სიყალბე, ვინაიდან არც პრივატიზაციის ხელშეკრულებას და არც ანდერძის გაფორმებას ვ. ნ-ანი არ ესწრებოდა და არც ხელმოწერა არ შეუსრულებია მათზე, თუმცა ნოტარიუსი ა. შ-შვილი ვერ იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით იმ მოტივით, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან გასული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო შეწყდა

ასევე მიემა ყოფილი ჩუღურეთის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის თანამშრომელთა მიმართ, მათ მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ფაქტზე, რამაც ა. ნ-ოვისა და ვ. ნ-ანის მიერ ბინების უკანონო პრივატიზაცია გამოიწვია.

ამდენად, განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ, როგორც წინასწარმა, ასევე დამატებითა გამოძიებამ დაადგინა ყოფილი ჩუღურეთის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის თანამშრომელთა და ნოტარიუს ა. შოშიაშვილის მიერ დანაშაულის ჩადენა, კერძოდ, სამსახურებრივი სიყალბე, მოხელის მიერ ყალბი დოკუმენტების შედგენა, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა და ა. ნ-ოვისა და ვ. ნ-ანის მიერ სადავო ბინების უკანონო პრივატიზაცია.

მოგვიანებით, გ. ა-ოვმა დაზუსტებული განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა: ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1993 წლის 6 ივლისის განჩინების გაუქმება, რომლითაც ს. ა-ოვის სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს 1993 წლის 8 ოქტომბრის განჩინების გაუქმება, რომლითაც ძალაში დარჩა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1993 წლის 6 ივლისის განჩინება; თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც გ. ა-ოვის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მას, როგორც პოლიტერპრესიების მსხვერპლის პირველი რიგის მემკვიდრეს, საკუთრების უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, ... მე-2 შესახვევის #5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, გაუქმდა ჩუღურეთის რაიონის სანოტარო კანტორის მიერ 1992 წლის 7 აგვისტოს დამტკიცებული პრივატიზაციის ხელშეკრულება მოპასუხე ა. ნ-ოვისათვის 24 კვ.მ-ის გადაცემის შესახებ, აგრეთვე, 1992 წლის 16 ივლისის პრივატიზაციის ხელშეკრულება, დამოწმებული #26 სანოტარო კანტორის მიერ ვ. ნ-ანისათვის 15 კვ.მ ფართის გადაცემის შესახებ, თუმცა უარი ეთქვა ა. ნ-ოვისა და ვ. ნ-ანის მემკვიდრე ს. ა-ოვის სადავო ფართიდან გასახლებაზე; თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც გ. ა-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ს. ა-ოვის წარმომადგენელ ე. ნ-ანისა და ა. ნ-ოვის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება და გ. ა-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 11 სექტემბრის განჩინების გაუქმება, რომლითაც გ. ა-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება. გ. ა-ოვმა ასევე მოითხოვა 1992 წლის 21 ივლისის #26 სანოტარო კანტორაში ს. ა-ოვზე გაცემული ანდერძის, 1992 წლის 16 ივლისს ვ. ნ-ანისა და იმავე წლის 7 აგვისტოს ა. ნ-ოვის მიერ უკანონოდ განხორციელებული 15 კვ.მ სადავო ბინისა და 24 კვ.მ-ის პრივატიზაციის ხელშეკრულებების გაუქმება, ასევე მამამისის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ ცნობა და ქ. თბილისში, ... შესახვევის #5-ში მდებარე სადავო ბინიდან ს. ა-ოვისა და ა. ნ-ოვის გამოსახლება.

განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის 2007 წლის 16 ივლისის დადგენილებით, შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ყოფილი ჩუღურეთის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის თანამშრომელთა მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისა და ნოტარიუს ა. შ-შვილის მიერ სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ამდენად, მოცემულ საქმეზე გაუქმებული უნდა ყოფილიყო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება და განჩინება, რადგან ისინი მიღებულ იქნა კანონდარღვევით, ყალბ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინებით გ. ა-ოვის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განუხილველი დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გ. ა-ოვი ითხოვდა 1992-2002 წლებში მიღებული სასამართლო აქტების გაუქმებას, რომლებიც კანონიერ ძალაში იყო შესული.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით არ დაიშვებოდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გ. ა-ოვის მიერ დასახელებული ზემოხსენებული სასამართლო აქტების კანონიერ ძალაში შესვლიდან გასული იყო 5 წელზე მეტი. განმცხადებლის სხვა მოთხოვნები კი წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნებს და მათი განხილვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მომწესრიგებელ ნორმათა გამოყენებით დაუშვებელი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა გ. ა-ოვმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივლისის განჩინებით მისი განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიღებულ იქნა წარმოებაში. ხსენებული განცხადების მიღების დროს სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ 5-წლიან ვადაზე და ვერც იმსჯელებდა, ვინაიდან თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ განჩინება მოცემულ საქმეზე გამოიტანა 2004 წლის 9 დეკემბერს, რომლითაც მისი განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დააკმაყოფილა. შესაბამისად, მას არ ჰქონდა დარღვეული ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული 5-წლიანი ვადა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ქ. თბილისის პროკურატურის 2008 წლის გ.16.05.2008/50 წერილში აღნიშნული იყო, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჩუღურეთის რაიონის #46 საბინაო-საექსპლუატაციო სამსახურის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე გამოიძიება დაიწყო 2005 წლის 6 მაისს, გ. ა-ოვის განცხადების საფუძველზე. დადგენილება გამოიძიების შეწყვეტის შესახებ გ. ა-ოვს ჩაჰბარდა 2007 წლის 16 ივლისს. აღნიშნული დადგენილება წარმოადგენდა მოცემულ საქმეზე ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რადგან ხსენებული დადგენილებით დადასტურდა ყოფილი ჩუღურეთის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო სამსახურის თანამშრომელთა მიერ სიყალბის ჩადენის ფაქტები, რის საფუძველზეც გ. ა-ოვს უკანონოდ ჩამოერთვა მისი კუთვნილი ბინა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით გ. ა-ოვის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 18 სექტემბერს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გ. ა-ოვის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლოს მოცემული საქმის მასალების მიხედვით დადგენილად მიაჩნია შემდეგი გარემოებები: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 28 აპრილის განჩინებით გ. ა-ოვის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ხარვეზის შეუვსებლობის გამო დატოვებულ იქნა განუხილველად. 2007 წლის 18 ივლისს გ. ა-ოვმა კვლავ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 28 აპრილის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. მოგვიანებით, გ. ა-ოვმა დაზუსტებული განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა: ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1993 წლის 6 ივლისის განჩინების გაუქმება, რომლითაც ს. ა-ოვის სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს 1993 წლის 8 ოქტომბრის განჩინების გაუქმება, რომლითაც ძალაში დარჩა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1993 წლის 6 ივლისის განჩინება; თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც გ. ა-ოვის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მას, როგორც პოლიტრეპრესიების მსხვერპლის პირველი რიგის მემკვიდრეს, საკუთრების უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, ... მე-2 შესახვევის #5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, გაუქმდა ჩუღურეთის რაიონის სანოტარო კანტორის მიერ 1992 წლის 7 აგვისტოს დამტკიცებული პრივატიზაციის ხელშეკრულება მოპასუხე ა. ნ-ოვისათვის 24 კვ.მ-ის გადაცემის შესახებ, აგრეთვე 1992 წლის 16 ივლისის პრივატიზაციის ხელშეკრულება, დამოწმებული #26 სანოტარო კანტორის მიერ ვ. ნ-ანისათვის 15 კვ.მ-ის გადაცემის შესახებ, თუმცა უარი ეთქვა ა. ნ-ოვისა და ვ. ნ-ანის მემკვიდრე ს. ა-ოვის სადავო ფართიდან გასახლებაზე; თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც გ. ა-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ს. ა-ოვის წარმომადგენელ ე. ნ-ანისა და ა. ნ-ოვის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება და გ. ა-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 11 სექტემბრის განჩინების გაუქმება, რომლითაც გ. ა-ოვის საკასაციო საჩივარი არ

დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება. გ. ა-ოვმა ასევე მოითხოვა 1992 წლის 21 ივლისის #26 საწარმო კანტორაში ს. ა-ოვზე გაცემული ანდერის, 1992 წლის 16 ივლისის ვ. ნ-ანისა და იმავე წლის 7 აგვისტოს ა. ნ-ოვის მიერ უკანონოდ განხორციელებული 15 კვ.მ სადავო ბინისა და 24 კვ.მ-ზე პრივატიზაციის ხელშეკრულებების გაუქმება, ასევე მამამისის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ ცნობა და ქ. თბილისში, ... მე-2 შესახვევის #5-ში მდებარე სადავო ბინიდან ს. ა-ოვისა და ა. ნ-ოვის გამოსახლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამძღვრები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული ნორმის თანახმად, ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების ობიექტი შეიძლება იყოს: პირველი ინსტანციის სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, აგრეთვე განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტისა თუ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, ასევე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები და განჩინებები გასაჩივრებული გადაწყვეტილებების უცვლელად დატოვების შესახებ, აგრეთვე განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტის თუ საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. სასამართლოს ყველა სხვა განჩინება არ შეიძლება იყოს საქმის განახლების მიზნით ბათილად ცნობისა თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების ობიექტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე გ. ა-ოვის განცხადების ობიექტი ვერ იქნება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 28 აპრილის განჩინება, ვინაიდან ხსენებული განჩინებით განუხილველი დარჩა მისი განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამდენად, აღნიშნული განჩინებით მოხდა არა საქმის წარმოების დამთავრება, არამედ შესაბამისი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის წარმოება დამთავრდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 11 სექტემბრის განჩინებით, რომლითაც გ. ა-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე გ. ა-ოვის განცხადების ობიექტი შეიძლება იყოს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 11 სექტემბრის განჩინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ. ა-ოვის მოთხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ არის ხანდაზმული, ვინაიდან მისთვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული 5-წლიანი ვადის ათვლა 2002 წლის 11 სექტემბრიდან დაიწყო, ხოლო გ. ა-ოვმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 ივლისის მიმართა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება ამ ნაწილში უკანონოა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული 5-წლიანი ვადა დარღვეულ იქნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე გ. ა-ოვის განცხადებაში მითითებულ სხვა მოთხოვნასთან -ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1993 წლის 6 ივლისის განჩინების გაუქმებასთან მიმართებაში, რომლითაც შეწყდა საქმის წარმოება ს. ა-ოვის სარჩელზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული განჩინება კანონიერ ძალაში

შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 1993 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით, საიდანაც გასული იყო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანის 5-წლიანი ვადა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხსენებულ ნაწილში გასაჩივრებულია გადაწყვეტილება კანონიერია.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე გ. ა-ოვის განცხადების სხვა მოთხოვნების დაუშვებლობის შესახებ, ვინაიდან ხსენებული მოთხოვნები წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნებს და მათი განხილვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მომწესრიგებელ ნორმათა გამოყენებით დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს, აგრეთვე, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა მისი განცხადების განუხილველად დატოვების უფლება მას შემდეგ, რაც მან ხსენებული განცხადება წარმოებაში მიიღო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის (განცხადების) წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ, იმის მიუხედავად, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ იგი თავად ვერ იმსჯელებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე გ. ა-ოვის განცხადების საფუძვლიანობაზე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია ამ განცხადებაზე და ხანდაზმულობის მოტივით დატოვა იგი განუხილველი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გ. ა-ოვის განცხადების განხილვისას ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილის ახალ რედაქციას (2006 წლის 13 ივლისისა და 2007 წლის 28 დეკემბრის ცვლილებები), "ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება განახლდება ამ მუხლის პირველი ნაწილის "ა"- "გ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ა-ოვის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ა-ოვის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე გ. ა-ოვის განცხადების განუხილველად დატოვების ნაწილში და განცხადება ამ ნაწილში განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე

განჩინება

ბს-795-764(კს-08)

30 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

გ. ლ-ტმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, შემდეგი საფუძველით:

2004 წლის 27 მაისს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა ოზურგეთის რ-ნის სოფ. ... თემის საკომლო წიგნებში ლ. ტ-ძის რეგისტრაცია აწ გარდაცვლილი ქ. ლ-ტის, ამჟამად გ. ლ-ტის საკომლო ობიექტებში კომლთან კავშირის გაწყვეტის გამო და ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლ. ტ-ძის შეგებებული სარჩელი. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ტ-ძემ, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა სოფ. ... თემის საკრებულოს საკომლო წიგნებში ლ. ტ-ძის რეგისტრაცია აწ გარდაცვლილ ქ. ლ-ტის, ამჟამად გ. ლ-ტის საკომლო ობიექტებში კომლთან კავშირის გაწყვეტის გამო, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

განმცხადებლის მითითებით, მან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიმართა თხოვნით, განემარტათ მისთვის, იყო თუ არა სავალდებულო კომლში ჩაწერისას კომლის მეთაურის თანხმობა და კომლში შემსვლელის წერილობითი განცხადება. განცხადების პასუხად გ. ლ-ტს ეცნობა, რომ კომლის მეთაურის თანხმობა და კომლში შემსვლელის წერილობითი განცხადება იყო სავალდებულო და ამასთან, განმცხადებელს განუმარტეს, რომ კომლის წევრების თანხმობასთან ერთად სავალდებულო იყო საკრებულოს გადაწყვეტილება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მან განცხადებით მიმართა არქივს, რათა მოეძია სოფ. ... საკრებულოს 1991-1993 წლების გადაწყვეტილებები, კერძოდ, იყო თუ არა გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ტ-ძეს ქ. ლ-ტის კომლში რეგისტრაციის ნება დაერთო, არქივის პასუხით კი ეცნობა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება არ არსებობდა.

განმცხადებლის მითითებით, აღნიშნული წარმოდგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რომელიც სასამართლოსთვის რომ ყოფილიყო ცნობილი, მიიღებდა სხვაგვარ გადაწყვეტილებას, კერძოდ, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1992 წლიდან ლ. ტ-ძე და მისი შვილი გ. ლ-ტი გახდნენ ქ. ლ-ტის კომლის წევრები და მტკიცებულებად მიუთითა ის, რომ ლ. ტ-ძე, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ მაინც ღებულობდა შრომით მონაწილეობას კომლის საერთო მეურნეობაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ შრომითი საქმიანობა საკმარისი იყო იმისათვის, რომ ლ. ტ-ძე გამხდარიყო ქ. ლ-ტის კომლის წევრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა სსსკ-ის 423.1 მუხლის "ვ" პუნქტის საფუძველზე მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით გ. ლ-ტის განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

2004 წლის 4 თებერვალს გ. ლ-ტმა სარჩელით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ლ. ტ-ძის, როგორც უკანონო და უსაფუძვლოდ რეგისტრირებული კომლის წევრის საკომლო წიგნიდან ამოწერა. მოსარჩელის განმარტებით, ვინაიდან არ იყო კომლის უფროსის თანხმობა ლ. ტ-ძის კომლის წევრად რეგისტრაციაზე, ამდენად, უნდა გაუქმებულიყო მისი, როგორც კომლის წევრის, ჩანაწერი.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი

გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ე"- "ვ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოდგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში, გ. ლ-ტის სარჩელიდან, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებით და საქმეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით დასტურდება, რომ ლ. ტ-ძის კანონის მოთხოვნათა დარღვევით კომლის წევრად ჩაწერის ფაქტი არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებამდე. გ. ლ-ტმა იცოდა აღნიშნული ფაქტის შესახებ, რაც მას მითითებული აქვს საქმის განხილვისას, რის თაობაზეც მიმდინარეობდა საქმის განხილვა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არ არსებობდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა გ. ლ-ტმა, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითა, რომ განმცხადებლისათვის ცნობილი იყო ის ფაქტობრივი გარემოება, რაც ახლად აღმოჩენილ გრემობას დაედო საფუძვლად, რაც არასწორია, რამდენადაც აღნიშნული გარემოება ცნობილი გახდა მიმდინარე წლის 19 თებერვალს, როდესაც კერძო საჩივრის ავტორმა დაიწყო ... საკრებულოს გადაწყვეტილების ძებნა. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანამდე, კერძო საჩივრის ავტორმა 1 თვით ადრე შეიტყო საკრებულოს გადაწყვეტილების არარსებობის შესახებ, შესაბამისად, მისთვის აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არ იყო ცნობილი საქმის განხილვის დროს.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სსსკ-ის 423.1. "ვ" და 423.3 მუხლები, რის გამოც განჩინება ექვემდებარება გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ლ-ტის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდღვრები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423.1. "ვ" მუხლით გათვალისწინებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423.3 მუხლის თანახმად კი ამ მუხლის პირველი ნაწილის "ე"- "ვ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

კერძო საჩივრის ავტორი ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მისთვის საქმის განხილვის დროს არ იყო ცნობილი ის გარემოება, რომ არ არსებობდა საკრებულოს გადაწყვეტილება ლ. ტ-ძის ქ. ლ-ტის კომლში რეგისტრაციის თაობაზე, რაც სრულიად დაუსაბუთებელია, რამდენადაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (რომლის გაუქმებასაც ითხოვს კერძო საჩივრის ავტორი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო) დასტურდება, რომ ლ. ტ-ძის კანონის მოთხოვნათა დარღვევით კომლის წევრად ჩაწერის ფაქტი არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებამდე. კერძო საჩივრის ავტორისათვის ცნობილი იყო აღნიშნული ფაქტის შესახებ, რამდენადაც მას ამის შესახებ მითითებული აქვს საქმის განხილვისას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, ის გარემოება, რომ საქმის განხილვის დროს გ. ლ-ტისათვის არ იყო ცნობილი საკრებულოს გადაწყვეტილების არსებობის სავალდებულობა კომლის წევრის რეგისტრაციისათვის, არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველს, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ

კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, რის გამოც გ. ლ-ტის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს იმ ახალ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ლ-ტის კერძო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, შესაბამისად, არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მატერიალური და პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421.1, 422-ე-427-ე, 429-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ლ-ტის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.